საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
17 სექტემბერი სამშაბათი 2013
№219 (14 135) ფასი 1 ლარი

# იწყება



წინათქმა 5




## ლელოს დღევანდელ ნომერში ტრადიციულად გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგისადმი მიძღვნილ პლაკატ-კალენდარს

# პლეი ოფი დალაგდა

## ფავორიტი შინ წავიდა



### 1/4 ფინალი

ხორვატია-უკრაინა
ლიტვა-იტალია
საფრანგეთი-სლოვენია
ესპანეთი-სერბეთი

EuroBasket SLOVENIA 2013

14



# რევიშვილი ქუთაისში ბრუნდება

წინათქმა 3

დღეს გადადებული მატჩებია:
ტორპედო-დილა, დინამო (თბ)-სპარტაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლ

| A | ჯგუფი | | | | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | | | | | | | | | |
| შახტარი | | | | | | | | | |
| ლევერკუზენი | | | | | | | | | |
| სოსიედადი | | | | | | | | | |

**I ტური. 17 სექტემბერი**
სოსიედადი-შახტარი
მანჩესტერი-ლევერკუზენი

**II ტური. 2 ოქტომბერი**
შახტარი-მანჩესტერი
ლევერკუზენი-სოსიედადი

**III ტური. 23 ოქტომბერი**
ლევერკუზენი-შახტარი
მანჩესტერი-სოსიედადი

**IV ტური. 5 ნოემბერი**
სოსიედადი-მანჩესტერი
შახტარი-ლევერკუზენი

**V ტური. 27 ნოემბერი**
ლევერკუზენი-მანჩესტერი
შახტარი-სოსიედადი

**VI ტური. 10 დეკემბერი**
მანჩესტერი-შახტარი
სოსიედადი-ლევერკუზენი

| B | ჯგუფი | | | | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | | | | | | | | | |
| იუვენტუსი | | | | | | | | | |
| გალათასარაი | | | | | | | | | |
| კოპენჰაგენი | | | | | | | | | |

**I ტური. 17 სექტემბერი**
გალათასარაი-რეალი
კოპენჰაგენი-იუვენტუსი

**II ტური. 2 ოქტომბერი**
იუვენტუსი-გალათასარაი
რეალი-კოპენჰაგენი

**III ტური. 23 ოქტომბერი**
რეალი-იუვენტუსი
გალათასარაი-კოპენჰაგენი

**IV ტური. 5 ნოემბერი**
იუვენტუსი-რეალი
კოპენჰაგენი-გალათასარაი

**V ტური. 27 ნოემბერი**
რეალი-გალათასარაი
იუვენტუსი-კოპენჰაგენი

**VI ტური. 10 დეკემბერი**
კოპენჰაგენი-რეალი
გალათასარაი-იუვენტუსი

| C | ჯგუფი | | | | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | | | | | | | | | |
| პსჟ | | | | | | | | | |
| ოლიმპიაკოსი | | | | | | | | | |
| ანდერლეხტი | | | | | | | | | |

**I ტური. 17 სექტემბერი**
ოლიმპიაკოსი-პსჟ
ბენფიკა-ანდერლეხტი

**II ტური. 2 ოქტომბერი**
პსჟ-ბენფიკა
ანდერლეხტი-ოლიმპიაკოსი

**III ტური. 23 ოქტომბერი**
ანდერლეხტი-პსჟ
ბენფიკა-ოლიმპიაკოსი

**IV ტური. 5 ნოემბერი**
ოლიმპიაკოსი-ბენფიკა
პსჟ-ანდერლეხტი

**V ტური. 27 ნოემბერი**
ანდერლეხტი-ბენფიკა
პსჟ-ოლიმპიაკოსი

**VI ტური. 10 დეკემბერი**
ბენფიკა-პსჟ
ოლიმპიაკოსი-ანდერლეხტი

| D | ჯგუფი | | | | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | | | | | | | | | |
| ცსკა | | | | | | | | | |
| სიტი | | | | | | | | | |
| პლზენი | | | | | | | | | |

**I ტური. 17 სექტემბერი**
ბაიერნი-ცსკა
პლზენი-სიტი

**II ტური. 2 ოქტომბერი**
ცსკა-პლზენი
სიტი-ბაიერნი

**III ტური. 23 ოქტომბერი**
ცსკა-სიტი
ბაიერნი-პლზენი

**IV ტური. 5 ნოემბერი**
პლზენი-ბაიერნი
სიტი-ცსკა

**V ტური. 27 ნოემბერი**
ცსკა-ბაიერნი
სიტი-პლზენი

**VI ტური. 10 დეკემბერი**
პლზენი-ცსკა
ბაიერნი-სიტი

## კალენდარი (ტ

**I ტური**

**17 სექტემბერი**
სოსიედადი-შახტარი
მანჩესტერ იუნ-ლევერკუზენი
გალათასარაი-რეალი
კოპენჰაგენი-იუვენტუსი
ოლიმპიაკოსი-პსჟ
ბენფიკა-ანდერლეხტი
ბაიერნი-ცსკა
პლზენი-მანჩესტერ სიტი

**18 სექტემბერი**
ჩელსი-ბაზელი
შალკე-სტიაუა
მარსელი-არსენალი
ნაპოლი-დორტმუნდი
აუსტრია-პორტუ
ატლეტიკო-ზენიტი
ბარსელონა-აიაქსი
მილანი-სელტიკი

**1 ოქ**
ზენიტ
სტია
ბაზე
დორტმუ
არსენა
პორტუ
აიაქ
სელტიკ

**2 ოქ**
ცსკა
შახტარი-
ლევერკუზ
იუვენტუსი
რეალი-
პსჟ-
ანდერლეხტ
მანჩესტე

**პლეი ოფი**

**1/8 ფინალი**
18-19 თებერვალი, 2014
25-26 თებრვალი, 2014
11-12 მარტი, 2014
18-19 მარტი, 2014

**1/4 ფინალი**
1-2 აპრილი, 2014
8-9 აპრილი, 2014

**1/2 ფინალი**
22-23 აპრილი, 2014
29-30 აპრილი, 2014

**ფინალი. 24 მაისი. ლისაბონი, პორტუგალია**



**IV ტური**

**5 ნოემბერი**
სოსიედადი-მანჩესტერ იუნ
შახტარი-ლევერკუზენი
იუვენტუსი-რეალი
კოპენჰაგენი-გალათასარაი
ოლიმპიაკოსი-ბენფიკა
პსჟ-ანდერლეხტი
პლზენი-ბაიერნი
მანჩესტერ სიტი-ცსკა

**6 ნოემბერი**
ზენიტი-პორტუ
ჩელსი-შალკე
ბაზელი-სტიაუა
დორტმუნდი-არსენალი
ნაპოლი-მარსელი
ატლეტიკო-აუსტრია
ბარსელონა-მილანი
აიაქსი-სელტიკი

**26**
ზენიტ
ბაზ
სტი
არსენ
დორტმ
პორ
სელტ
აიაქს

**27**
ცს
ლევერკუზ
შახტა
რეალი
იუვენტ
ანდერ
პსჟ-
მანჩესტ

## ყვე

| | | |
|---|---|---|
| 1955-56 (პარიზი, 38 239) | რეალი-რეიმსი | 4:3 |
| 1956-57 (მადრიდი, 120 000) | რეალი-ფიორენტინა | 2:0 |
| 1957-58 (ბრიუსელი, 67 000) | რეალი-მილანი | 3:2 დ.დ. |
| 1958-59 (შტუტგარტი, 80 000) | რეალი-რეიმსი | 2:0 |
| 1959-60 (გლაზგო, 135 000) | რეალი-აინტრახტი | 7:3 |
| 1960-61 (ბერნი, 33 000) | ბენფიკა-ბარსელონა | 3:2 |
| 1961-62 (ამსტერდამი, 65 000) | ბენფიკა-რეალი | 5:3 |
| 1962-63 (ლონდონი, 45 700) | მილანი-ბენფიკა | 2:1 |
| 1963-64 (ვენა, 72 000) | ინტერი-რეალი | 3:1 |
| 1964-65 (მილანი, 85 000) | ინტერი-ბენფიკა | 1:0 |
| 1965-66 (ბრიუსელი, 55 000) | რეალი-პარტიზანი | 2:1 |
| 1966-67 (ლისაბონი, 56 000) | სელტიკი-ინტერი | 2:1 |
| 1967-68 (ლონდონი, 92 225) | მანჩესტერ იუნ-ბენფიკა | 4:1 დ.დ. |
| 1968-69 (მადრიდი, 50 000) | მილანი-აიაქსი | 4:1 |
| 1969-70 (მილანი, 50 000) | ფეიენოორდი-სელტიკი | 2:1 დ.დ. |
| 1970-71 (ლონდონი, 90 000) | აიაქსი-პანათინაიკოსი | 2:0 |
| 1971-72 (როტერდამი, 67 000) | აიაქსი-ინტერი | 2:0 |
| 1972-73 (ბელგრადი, 93 500) | აიაქსი-იუვენტუსი | 1:0 |
| 1973-74 (ბრიუსელი, 49 000) | ბაიერნი-ატლეტიკო | 1:1 |

(ბრიუსელი, 23 000)
1974-75 (პარიზი, 50 000)
1975-76 (გლაზგო, 54 864
1976-77 (რომი, 52 000)
1977-78 (ლონდონი, 92 00
1978-79 (მიუნხენი, 57 00
1979-80 (მადრიდი, 50 00
1980-81 (პარიზი, 48 360)
1981-82 (როტერდამი, 46
1982-83 (ათენი, 75 000)
1983-84 (რომი, 69 693)
1984-85 (ბრიუსელი, 59
1985-86 (სევილია, 70 00
1986-87 (ვენა, 62 000)
1987-88 (შტუტგარტი, 7
1988-89 (ბარსელონა, 97
1989-90 (ვენა, 57 500)
1990-91 (ბარი, 56 000)
1991-92 (ლონდონი, 70 8

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. გამოტოვებული მატჩები

**17.09. თბილისი. დინამო არენა. 18:00**

**დინამო (თბ)-სპარტაკი**

ურთიერთშეხვედრები:
15 მატჩი, 10 მოგება, 4 ფრე, 1 წაგება. ბურ. 32-10

**17.09. ქუთაისი. ტორპედო. 18:00**

**ტორპედო-დილა**

ურთიერთშეხვედრები:
45 მატჩი, 29 მოგება, 4 ფრე, 12 წაგება. ბურ. 96-49
დისკვალიფიკაცია: ნ. ფირცხალავა (ტ), გ. დევდარიანი (მთ. მწვრთნელი, დ)

პირდაპირი რეპორტაჟი პირველ არხზე

# ცხრადღიანი იმერული ტურნე

დღესორი გამოტოვებული მატჩი უნდა ჩატარდეს: „დინამო“-“სპარტაკი“ და „ტორპედო“-“დილა“. კალენდარის თანახმად, ეს მატჩები 25 აგვისტოს, III ტურში უნდა გამართულიყო, მაგრამ მოგეხსენებათ, „დინამოც“ და „დილაც“ იმ დროისთვის ევროპალიგის პლეი ოფის სტადიაზე ასპარეზობდნენ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამაც ორივე გუნდს შეღავათი გაუკეთა.

აქვე, არც ის დაგვავიწყდეს, კოლეგიალობის როგორი კეთილი ჟესტი გააკეთეს „ტორპედოს“ ხელმძღვანელობამ: ქუთაისური კლუბის წარმომადგენლები თავად გამოვიდნენ ინიციატივით, რომ „დილასთან“ კალენდარული მატჩი მოგვიანებით გამართულიყო. ანუ, გორელებმა მთელი კონცენტრაცია ევროტურნირებისაკენ მიმართონ და „დილას“ წარმატება კი, საერთოდ, ქართული ფეხბურთის წარმატება იქნებაო, - აი, დაახლოებით ასეთი იყო ქუთაისელთა პარტნიორული (ალბათ, უფრო მეტიც) და კეთილი ნების გამომხატველი გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი.

ისე, ვერაფერს ვიტყვით: საქართველოს ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში მსგავსი ფაქტების გახსენება, ცოტა არ იყოს, გვიჭირს; ჰოდა, ბარაქალა „ტორპედოს“ ხელმძღვანელობასა თუ სამწვრთნელო შტაბს: კალენდრით გათვალისწინებულ დღეს რომ ჩატარებულიყო „ტორპედო“-„დილას“ შეხვედრა, წარმატების ძალიან დიდი შანსი ხომ მასპინძლებს ექნებოდათ, რამეთუ გორელთა გუნდი, ფაქტობრივად ვენიდან პირდაპირ... ქუთაისში უნდა წამოსულიყო! აი, დღეს კი, „ტორპედოც“ და „დილაც“ თანაბარ პირობებში არიან: ორივე გუნდმა (ისე როგორც „დინამომ“ და „სპარტაკმა“) პარასკევს ითამაშა, ოღონდ, სხვაობა ის არის, რომ დღევანდელი მეტოქეები ამ გადადებულ შეხვედრას აშკარად სხვადასხვა განწყობით ხვდებიან.



ნუკრი რევიშვილი

### რვა წლის შემდეგ: რევიშვილი ქუთაისში!

...13 სექტემბერს „დილამ“ ზესტაფონში ითამაშა, დღეს „ტორპედოსთან“ გასვლითი მატჩი აქვს, შაბათს, კი ისევ... ქუთაისში უნდა ჩავიდეს და ამჯერად „ჩიხურას“ დაუპირისპირდეს! ჰო, ვერაფერს ვიტყვით, მართლაც „დატვირთული იმერული ტურნე“ გამოუვათ გორელებს; მით უფრო, რომ **ლაშა გვალიასა** და **გიორგი ილურიძის** გარეშე დარჩენილმა გიორგი დევდარიანის გუნდმა ჩემპიონატის პირველი მარცხი სწორედ ზესტაფონში განიცადა.

თუმცა, დღევანდელ შეხვედრას სატურნირო თვალსაზრისითაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს: არწაგების შემთხვევაში „ტორპედო“ კვლავაც ერთპიროვნულ ლიდერად დარჩება, აი, „დილას“ გამარჯვების შემთხვევაში კი, დიდი შანსია, რომ ცხრილში ისევ „სამხელისუფლებიანობა“ ვიხილოთ (პარალელურ მატჩში „დინამოს“ გამარჯვების შემთხვევაში). მაგრამ, ეს ყველაფერი ვარაუდებია. თუმცა ის კი ფაქტია, რომ დღევანდელი შეხვედრა, უდავოდ, საინტერესო რომ უნდა გამოდგეს: ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი ხომ შემტევ და სანახაობრივ ფეხბურთს ანიჭებს უპირატესობას!

ამას გარდა, არანაკლებ საინტერესო იქნება ფეხბურთელთა გარკვეული ჯგუფის ყოფილ გუნდთან დაპირისპირებაც: „დილას“ წამყვანი მოთამაშეები **გრიგოლ დოლიძე** და **ალექსანდრე კვახაძე** წინა სეზონში ხომ „ტორპედოში“ ასპარეზობდნენ, არაფერს ვამბობთ **გიორგი გურულზე**, ქუთაისელთა გუნდში შვიდი სეზონი რომ აქვს გატარებული.

თუმცა, სტუმართა გუნდის ერთი ფეხბურთელისათვის დღევანდელი მატჩი, ალბათ, ყველაზე მეტად განსაკუთრებული იქნება: გორის „დილასა“ და საქართველოს ნაკრების მეკარე **ნუკრი რევიშვილი** მშობლიური ქალაქის სტადიონზე... რვაწლიანი პაუზის მერე უნდა გამოვიდეს! ოღონდ, ამჯერად უკვე მეტოქის რანგში და ბარემ იმასაც შეგახსენებთ, რომ სწორედ „ტორპედოში“ ასპარეზობით გაიცნო ქართულმა საფეხბურთო სამყარომ ეს ნიჭიერი მეკარე, რომელიც 18 წლის ასაკში გაემგზავრა რუსეთში და აი, ნუკრი რევიშვილი დღეს ქუთაისში ბრუნდება!..

...დღევანდელ მეტოქეთა ურთიერთშეხვედრებს თუ გადავხედავთ, უპირატესობა „ტორპედოს“ მხარესაა; აი, თუგინდ წინა სეზონი გავიხსენოთ: ქუთაისელებმა ოთხიდან სამი მატჩი მოუგეს მეტოქეს და ამ დაკარგულმა 9 ქულამ დიდადაც იმოქმედა „დილას“ საჩემპიონო შანსების განიავებაში...

### განსხვავებული პრობლემები

„ტორპედო“-“დილას“ დაპირისპირებაში ვერც ერთ გუნდს ფავორიტად ვერ მივიჩნევთ და ამ წყვილში დაფიქსირებული ნებისმიერი შედეგიც არავის უნდა გაუკვირდეს; აი, მეორე გადმოტანილ შეხვედრაში კი, აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა: მოქმედი ჩემპიონი და ამ გათამაშების უპირველესი ფავორიტი ეთამაშება გუნდს, წინა ოთხივე დაპირისპირება რომ წააგო!

სამწუხაროდ, ერთწლიანი პაუზის მერე უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ „სპარტაკს“ ერთობ წარუმატებელი სტარტი გამოუვიდა; ამას ისიც დაემატა, რომ ისედაც არასახარბიელო სატურნირო სიტუაციაში მყოფ **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდს ზედიზედ უწევს ჩემპიონატის ფავორიტებთან დაპირისპირება: „ტორპედოსა“ და „მეტალურგის“ (ორივე მატჩი მინიმალური ანგარიშით, 0:1 წააგო) მერე „დინამოა“, შემდეგ „ზესტაფონი“ და „დილა“!

თუმცა, ეს კიდევ არ არის საკმარისი: „სპარტაკის“ მდგომარეობა საკადრო პრობლემებითაც „დამძიმდა“ და როგორი საქმეა, „დინამოსთან“ ძირითადი შემადგენლობით ხუთი-ექვსი ფეხბურთელის გარეშე ასპარეზობა? **თეიმურაზ შონია, ნიკა მგელაძე, დავით მეგრელიშვილი**, - ამ ფეხბურთელებმა წინა ტურის მატჩიც გამოტოვეს ტრავმის გამო; ამათ გარდა, დღეს „სპარტაკს“ ვერც **ნიკა კვეკვესკირი** და **გიორგი თექთურმანიძე** ვერ დაეხმარებიან, - ორივე ფეხბურთელი ხომ „დინამოს“ კუთვნილებაა და ცხინვალელთა გუნდში იჯარით ასპარეზობენ.

მოკლედ, ამ მატჩის უდავო ფავორიტის გამოცნობა უადვილესი საქმეა; თანაც, დინამოელებსაც ხომ არანაკლები სატურნირო მოტივაცია უნდა ჰქონდეთ: მოვლენების ისეთ განვითარებასაც ნუ გამოვრიცხავთ, რომ ამ ორი გადადებული მატჩის დამთავრების შემდეგ ერთპიროვნულ ლიდერად სწორედ „დინამო“ მოგვევლინოს! ამისათვის კი, „სულ რაღაც“ ორი რამ არის საჭირო: პარალელურ მატჩში „დილამ“ უნდა მოიგოს, ხოლო „დინამომ“ ორი ან მეტი ბურთის სხვაობით აჯობოს ჩემპიონატის აუტსაიდერს...

...ზემოთ „სპარტაკის“ კალენდარი ვახსენეთ და ბარემ „დინამოზეც“ ვთქვათ: დუშან უჰრინის გუნდს ზედიზედ ხუთი ისეთი მატჩი აქვს, ქულათა მაქსიმუმის ალება რომ „მოეთხოვება“. მოვლენები თუ ასეთი „სცენარით“ წარიმართა, მაშინ, ალბათ, საკადრო ცვლილებების თემაც აღარ იქნება აქტუალური: ანუ, **დუშან უჰრინის** დარჩენა-არდარჩენაზე საუბარი დროებით მაინც შეწყდება.

თუმცა, მოდი ისიც ვთქვათ, რომ მხოლოდ ქულებში როდია საქმე: „დინამოს“ მწვრთნელ-ფეხბურთელებს რა იდეალური პირობებიც აქვთ შექმნილი, ალბათ, სასურველი იქნებოდა, რომ გუნდის მიერ ნაჩვენები თამაშის ხარისხიც ამ პირობების ადეკვატური მაინც ყოფილიყო...

**გია ტუხაშვილი**

სპარტაკი

# სადღაა ფეხბურთელი?!

## ვლადიმერ ხაჩიძე: ალბათ სელექციას რაღაც დავაკელით...

**უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულმა ცხინვალის „სპარტაკმა“ სეზონი ცუდად დაიწყო - ეროვნულ ჩემპიონატში ოთხივე შეხვედრა წააგო, დღეს კი გამოტოვებულ მატჩში თბილისის „დინამოს“ დაუპირისპირდება და, რა თქმა უნდა, ძალიან რთულ სიტუაციაში ალმოჩნდება. მანამდე კი „ლელოს“ კითხვებს „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ხაჩიძე პასუხობს...**



ვლადიმერ ხაჩიძე

**- ჯერჯერობით, „სპარტაკი“ ერთადერთი გუნდია, ამ ჩემპიონატში ქულაც რომ ვერ აიღო. რითი ახსნიდით ამას?**

- ძნელია ამ კითხვაზე ერთი-ორი სიტყვით პასუხის გაცემა. სეზონისწინა მოსამზადებელი ეტაპი კარგად გავიარეთ, საკონტროლო შეხვედრებშიც რიგიანად წარმოვაჩინეთ თავი... დაიწყო ჩემპიონატი და პირველივე შეხვედრაში „მერანთან“ ცუდად ვითამაშეთ და დავმარცხდით. ამის შემდეგ ჩვენი ფეხბურთელები, თითქოს, ფსიქოლოგიურად გატყდნენ. არ უნდა წაგვეგო ქუთაისის „ტორპედოსთან“, ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ, რუსთაველებთან კი ნაღდი გოლი არ ჩაგვითვალეს და ვიდეოჩანაწერი, ცხადია, ფეხბურთის ფედერაციაში მივიტანეთ. „სპარტაკის“ ნომერ პირველი პრობლემა ახლა ის არის, რომ გოლი ვერ გაგვაქვს, თავდასხმა ჩვენთვის ერთობ პრობლემატური რგოლია. არადა, წინა სეზონში, როცა პირველ ლიგაში ვთამაშობდით, ამ მხრივ პრობლემა არ გვქონია. როგორც ჩანს, სელექციას რაღაც დავაკელით, ისევ იმ ფეხბურთელებს დავეყრდენით, პირველ ლიგაში რომ თამაშობდნენ, რამდენიმე გამოცდილი მოთამაშეც უნდა დაგვემატებინა. როგორც უნდა იყოს, „სპარტაკის“ ამ ფეხბურთელებს გაცილებით უკეთ შეუძლიათ თამაში, ერთი უნდა გაგვიმართლოს და მერე ყველაფერი თავის ადგილას დადგება. ზვიად მეტრეველისა და ნიკა მგელაძის გარდა, „სპარტაკში“ 20-21 წლის ფეხბურთელები არიან, უმაღლეს ლიგაში კი „კაცებმა“ უნდა ითამაშონ, ასეა ყველგან...

**- ამით, ალბათ, იმის თქმაც გსურთ, რომ საქართველოს უმაღლეს და პირველ ლიგებს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა...**

- ასეა. პირველ ლიგაში 18-20 ქულით რომ გაუსწრებ უახლოეს მდევარს, რაზეა ლაპარაკი?!

**- „დინამოსთან“ შეხვედრაშიც გამართლების იმედად იქნებით?**

- მთლად გამართლების იმედზე ვერ ვიქნებით. „დინამოსთან“ ხუთი ფეხბურთელი დაგვაკლდება, მათ შორის - ნიკა კვეკვესკირი და გიორგი თექთურმანიძე, რომლებიც „დინამოსგან“ ვინათხოვრეთ და შეთანხმების მიხედვით, ამ გუნდის წინააღმდეგ ვერ ვათამაშებთ. ჩვენნაირი გუნდისთვის ხუთი ფეხბურთელის არყოფნა ძალიან დიდი დანაკლისია, თუმცა მაინც ვეცდებით ნავსის გატეხვას.

**- ალბათ, ზედმიწევნით დაცვით ვარიანტს აირჩევთ...**

- რაც მწვრთნელი ვარ, ჩემი გუნდი ათი კაცით უკან არ ჩამჯდარა. „დინამოსთან“ კონტრშეტევაზე ვეცდებით თამაშს, ჩვენს შანსს დაველოდებით.

**- „სპარტაკს“ ფინანსურად როგორ აქვს საქმე, ამ მხრივ არის სტაბილურობა?**

- დაფინანსების მხრივ პრობლემები არ გვაქვს.

**- ანუ, არის იმის შესაძლებლობა, რომ გუნდი გამოცდილი ფეხბურთელებით გაძლიერდეს?**

- ამდენიც არ გვაქვს. ერთი წლის ბიუჯეტი უკვე განერილია და ჯერ არ ვიცით, სამომავლოდ რა დაფინანსება გვექნება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სადღა დარჩა კარგი ფეხბურთელი საქართველოში?! უკან მივდივართ, ადრე თუ თითქმის ყველა ქართულ გუნდში იყო ისეთი ფეხბურთელი, ხალხს სტადიონზე რომ მიიყვანდა, ახლა თითქმის ყველა ერთ თარგზეა მოჭრილი.

**- ძალიან პესიმისტურად ხომ არ აფასებთ ვითარებას?**

- ეს პესიმიზმი კი არა, რეალობაა.

**- მიმდინარე ჩემპიონატში ყველაზე უფრო რომელი გუნდი მოგეწონათ?**

- ყველაზე კარგი შთაბეჭდილება „ზესტაფონმა“ დატოვა. ამ გუნდში ახალგაზრდებიც თამაშობენ და გამოცდილი ფეხბურთელებიც, მწვრთნელიც კვალიფიციური ჰყავს და ვფიქრობ, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „დინამოს“ ყველაზე დიდ კონკურენციას სწორედ „ზესტაფონი“ გაუწევს.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს თასი

# დღეს ათი გაირკვევა

დღეს, საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების 1/16-ფინალის საპასუხო მატჩებია, რის მიხედვითაც 10 მერვედფინალისტი გამოვლინდება. დანარჩენი 6 უკვე ცნობილია. შეგახსენებთ, რომ ისე, როგორც ბოლო წლებში, ევროტურნირებზე მოასპარეზე ოთხი ქართული კლუბი საქართველოს თასის გათამაშებაში წლეულსაც მერვედფინალიდან იწყებს ასპარეზობას. ანუ, თბილისის „დინამო“, გორის „დილა“, ქუთაისის „ტორპედო“ და საჩხერის „ჩიხურა“ თასის საწყის ეტაპზე არ მონაწილეობდნენ.

მეხუთე მერვედფინალისტი „ვიტ ჯორჯიაა“, რომლის მეტოქეც 1/16-ფინალში „ლიახვი“ (აჩაბეთი) იყო, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო „ლიახვი“ პირველი ლიგიდანაც მოიხსნა და თასის გათამაშებაში მონაწილეობაზეც უარი თქვა. მოკლედ, „ვეტერინარებამ“ უბრძოლველად მოიპოვეს მერვედფინალის საგზური.

აი, ცხინვალის „სპარტაკმა“ კი საპასუხო 1/16-ფინალური მატჩი „ვადაზე ადრე“ ჩაატარა: მოგეხსენებათ, რომ ამ გუნდმა ჩემპიონატის გამოტოვებული შეხვედრა დღეს უნდა ითამაშოს (თბილისის „დინამოსთან“) და ამიტომაც სანაკრებო პაუზის დროს (კერძოდ, 5 სექტემბერს) გამართა საპასუხო სათასო მატჩი „ჭიათურასთან“.

ისე, როგორც პირველ შეხვედრაში (4:1), „სპარტაკმა“ ამჯერადაც მოიგო (სტუმრად - 3:2) და თასის მომდევნო ეტაპზე გავიდა. რაც შეეხება დანარჩენ წყვილებს, ვფიქრობთ, რომ „ხმაურიან“ სენსაციებს ნაკლებად უნდა ველოდოთ. თუმცა, ვინ იცის...

**გია ტუხაშვილი**

**1/16 ფინალი**

**ლოკომოტივი-ალგეთი (2:1)**
17.09. საგურამო. ლოკომოტივის ბაზა. 11:00

**კოლხეთი (ხ)-ზუგდიდი (1:1)**
17.09. ხობი. ცენტრალური. 15:30

**საპოვნელა-გურია (1:5)**
17.09. თერჯოლა. ცენტრალური. 15:30

**მერანი-სამტრედია (4:2)**
17.09. სამტრედია. ე. მანჯგალაძე. 15:30

**სქური-შუქურა (0:1)**
17.09. წალენჯიხა. ს. კვარაცხელია. 15:30

**სტუ-სიონი (1:6)**
17.09. ბოლნისი. თ. სტეფანია. 15:30

**გაგრა-მეტალურგი (0:2)**
17.09. გორი. თ. ბურჯანაძე. 15:30

**მერცხალი-დინამო ბთ (0:6)**
17.09. ოზურგეთი. ცენტრალური. 15:30

**კოლხეთი (ფ)-სამგურალი (2:1)**
17.09. ფოთი. ფაზისი. 15:30

**ზესტაფონი-სულორი (5:0)**
17.09. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 18:00

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასაკობრივი ნაკრები

# ნემსაძე მწვრთნელობას იწყებს: ნიჭიერი და ხალასი თაობა მოდის...

თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ეროვნული გუნდის ყოფილი კაპიტანი **გიორგი ნემსაძე**, დიდი ალბათობით, ყველაზე უმცროსი ასაკის ნაკრებს ჩაიბარებს. 2011 წლის მარტში ნემსაძე თბილისის „დინამოს" სპორტულ დირექტორად დაინიშნა, მაგრამ წელიწადნახევარში კლუბი დატოვა და სამწვრთნელო საქმიანობას შეუდგა.

„ახლახან გადაწყდა, რომ საქართველოს კიდევ ერთი, 2001 წელს დაბადებულთა ნაკრები ჩამოყალიბდება და ჩემი დანიშვნის აზრიც მაშინ გაჩნდა. ამ საკითხს ალმასკომი მალე განიხილავს და თუ დაამტკიცებენ, მუშაობას იანვრიდან დავიწყებ. საერთოდ, 2001 დაბადებულების ძალიან კარგი თაობა მოდის, უნიჭიერესი ბავშვები არიან და გამიხარდება, თუ მათთან მუშაობის საშუალება მექნება. გეგმის მიხედვით, ეს ბავშვები 4 წელი უნდა ვზარდოთ და 17-წლამდელთა ნაკრებამდე შეთამაშებულ გუნდად ჩამოვაყალიბოთ", - ამბობს ნემსაძე.

მან კარიერა „დინამოში" დაიწყო და ამ კლუბშივე დაასრულა. უთამაშია იტალიის, გერმანიის, შვეიცარიის, შოტლანდიისა და თურქეთის გუნდებში. ნემსაძე წლების განმავლობაში კაპიტნობდა საქართველოს ნაკრებს, რომლის შემადგენლობაშიც 69 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

ნემსაძე არ მალავს, რომ მწვრთნელობის სურვილი ჯერ კიდევ უცხოეთში თამაშის დროს გაუჩნდა:

„ახლახან დავასრულე A კატეგორიის სამწვრთნელო ლიცენზირების კურსები და მალე გამოცდებს ჩავაბარებ. მწვრთნელობის სურვილი ჯერ კიდევ შვეიცარიაში, „ციურიხში" თამაშის დროს გამიჩნდა. უფრო სერიოზულად ამაზე შოტლანდიური „დანდის" კაპიტნობისას დავფიქრდი. ვარჯიშების ჩანაწერებს ვაკეთებდი და მწვრთნელებს ჩემთვის საინტერესო საკითხებზე ველაპარაკებოდი - ვარჯიშების დაგეგმვაზე, მიმართულებებზე, აქცენტებზე და ასე შემდეგ. მაგრამ მწვრთნელობის განსაკუთრებით დიდი სურვილი „დინამოს" სპორტული დირექტორობისას გამიჩნდა - გული ისევ მოედნისკენ მიმიწევდა. მერე უკვე სწავლასაც სერიოზულად მოვკიდე ხელი და გარკვეული პრაქტიკაც მივიღე ბავშვებთან. გოჩა ტყებუჩავასთან 1998 წელს დაბადებულთა ნაკრებში ასისტენტად ვიმუშავე და მივხვდი, რომ ჩემი მოწოდება სწორედ მწვრთნელობა იყო. ძალიან ნიჭიერი და ხალასი თაობა მოდის, გონებაგახსნილი ბავშვები არიან. იმედია, მათ სწორ გზაზე დავაყენებთ".


გიორგი ნემსაძე

ზაფხულში ნემსაძეს ბოლნისის „სიონის" მთავარ მწვრთნელად იწვევდნენ, მაგრამ უარი თქვა:

„ლადო ბურდული მიწვევდა, ნდობამ გამახარა და მეც მსურდა, გვერდში დავდგომოდი, უმაღლეს ლიგაში მუშაობაც საინტერესო გამოწვევა იყო. მაგრამ, ყველაფერი რომ ავწონ-დავწონე, თავი შევიკავე".

ლეგიონერი

## გიორგი ნავალოვსკი:
# მნახონ მაინც, იქნებ არ ვარ ჩამოსაწერი


გიორგი ნავალოვსკი

წლებია, რაც **გიორგი ნავალოვსკი** რუსეთში თამაშობს. თბილისის „დინამოსა" და რუსთავის „ოლიმპის" შემდეგ, მოიარა მახაჩყალის „ანჟი", ბაქოს „ინტერი", ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგა", „ხიმკი", „მეტალურგ-კუზბასი"... ამ სეზონიდან კი ხაბაროვსკის „სკა ენერგიაში" თამაშობს. 27 წლის მარცხენა მცველს საქართველოს ნაკრებში 2 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

დასამალი არ არის, რომ საქართველოს ნაკრებს ბევრი პრობლემა აქვს, განსაკუთრებით - დაცვის ფლანგებზე. ცხადია, გიორგისაც აქვს ამბიცია, რომ ეროვნულ გუნდში ითამაშოს. ნავალოვსკი საქართველოს ნაკრებში მას შემდეგ არ გამოუძახიათ, რაც რუსული პასპორტი აიღო. აი, რას გვეუბნება „სკა ენერგიას" ქართველი მცველი:

„თბილისში, დოლიძეზე ვარ გაზრდილი და ტყუილად ფიქრობთ, რომ რუსული პასპორტის აღებით საქართველოსთან კავშირი გავწყვიტე. როდესაც შანსი მაქვს, თბილისში ჩამოვდივარ და თავისუფალ დროს საქართველოში ვატარებ. ყოველთვის და ყველგან ვამბობ, რომ ვარ ქართველი და ჩემი სამშობლო საქართველოა - ქართველი გოგოლები და სოკოლოვები არ გინახავთ? ასევე ვარ მეც. ამის გამო, რუსეთში ჩხუბიც ბევრჯერ მომსვლია და მაგრად მწყინს, როცა მეკითხებიან, საქართველოზე უარი რატომ თქვიო? ვინ და საიდან მოიტანა, რომ ნაკრებში თამაში არ მსურს? უბრალოდ, გუნდში ჩასარიცხად სხვა გამოსავალი არც მქონდა, ქართული პასპორტით ვერც ვითამაშებდი და რუსული ავიღე. ამის გამო ჩათვალეს, რომ ნაკრებში თამაში აღარ მსურდა. არადა, ბევრჯერ

> ქეცბაიამ ნაკრების კარი რამდენიმე ისეთ ფეხბურთელს გადაუკეტა, რომელიც გუნდს სჭირდებოდა

მიფიქრია - ეკითხათ მაინც, იქნებ, ცდებოდნენ და არასწორი ინფორმაცია ჰქონდათ? პრეტენზია არასოდეს მქონია, მაგრამ ბევრჯერ მიფიქრია, ერთხელ ვარჯიშზე მაინც მიმიწვიონ და თუ არ ვივარგებ, გამიშვან, ხმას არ ამოვიღებ-მეთქი. მნახონ მაინც, იქნებ, ჩამოსაწერი ფეხბურთელი არ ვარ? სამწუხაროდ, ყველამ დამივიწყა. არადა, ახლა რუსეთში ლეგიონერად ვითვლები".

ნავალოვსკიმ ეროვნული ნაკრების ბოლოდროინდელ თამაშებზეც ილაპარაკა: „ჩვენი ფეხბურთის სახე იყო კომბინაციური ფეხბურთი, რომელიც ამ ნაკრებში არ ჩანს. ჩემთვის ეს გასაგებია, რადგან ქეცბაიამ ნაკრების კარი რამდენიმე ისეთ ფეხბურთელს გადაუკეტა, რომელიც გუნდს სჭირდებოდა. ვერავინ დამაჯერებს, რომ კახა კალაძე და ლევან კობიაშვილი ჩამოსაწერები იყვნენ. ისინი იძულებულები გახდნენ, ნაკრებიდან წასულიყვნენ. ფეხბურთში გამოცდილი და მაღალი კლასის მოთამაშეები იგებენ, მხოლოდ მონდომება და ბრძოლა ვერაფერს უშველის. ასევე გაუგებარი იყო დავით სირაძის, ლევან ყენიასა და გოგიტა გოგუასადმი დამოკიდებულებაც. თუ მწვრთნელი ფეხბურთელთან საერთო ენას ვერ პოულობს, ეს ფეხბურთელის პრობლემა არ არის, თავად უნდა ეცადოს. გამოიძახოს ერთად ყენია და გოგუა და ნახავს, ნაკრები უკეთესად თუ არ ათამაშდება. თან გოგიტა ახლა კარგ ფორმაშია, გუნდის ლიდერად ჩამოყალიბდა და ბევრისგან მსმენია, რომ პირველ ლიგაში მისი თამაში საცოდაობაა. საერთოდ, იმის თქმა, რომ ნაკრებში კარგი ფეხბურთელები არ გვყავს და რომ ცუდი შედეგი მათი დაბალი კლასის ბრალია, გაუმართლებელიც არის და უსამართლოც. დარწმუნებული ვარ, ნაკრებს პრობლემები ტაქტიკაში უფრო აქვს, ვიდრე - შემადგენლობაში და რომ თითოეულ გამოძახებულ ფეხბურთელს ბევრად უკეთ თამაში შეუძლია, ვიდრე ეს ბოლო სანაკრებო მატჩებში გამოჩნდა".

ნავალოვსკის საკლუბო ამბებიც გამოვკითხეთ: „ბიჭები ხშირად ვხუმრობთ, რომ ჩვენი სახით რუსეთის ჩემპიონატში იაპონიის გუნდი მონაწილეობს. ხაბაროვსკის „სკა ენერგიაში" თამაში გმირობის ტოლფასია, რადგან რუსეთის მეორე ბოლოში ვართ. გაუთავებელი მგზავრობის გამო, ნორმალური ძილი და დასვენება გვენატრება. წარმოიდგინეთ, ცენტრალურ რუსეთში თამაშის შემდეგ, 8-9-საათიანი მგზავრობა გვჭირდება და ხაბაროვსკში იმ დროს ვბრუნდებით, ნორმალურ ვითარებაში დილის ვარჯიში რომ უნდა გვქონდეს. ამის მიუხედავად, გუნდი მე-4 ადგილზეა და საკმაოდ კარგ ფეხბურთს აჩვენებს. ტრაბახით არ ვამბობ, მაგრამ ივანაუსკასი ამბობს - ქართველების გარეშე ეს შედეგი არ მექნებოდაო. მიხარია, მწვრთნელი და მთლიანად ხელმძღვანელობა რომ გვაფასებს".

> "ბავშვთა სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების საქართველოს ფილიალი" სამძიმარს უცხადებს ვეტერან ფეხბურთელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს თენგიზ სულაქველიძეს ძმის
> **ბონდო სულაქველიძის**
> გარდაცვალების გამო.

ეგვიპტელი საქართველოში

## ამირ აზმი მეგაჰედი:
# ზუგდიდში ფულის ჩადება ნამდვილად ღირს
### ქართველები ბუნებით, ემოციითა და ტემპერამენტით ძალიან ჰგვანან ეგვიპტელებს

**მესამე კვირაა, რაც „ზუგდიდში" ამირ აზმი მეგაჰედი დაიმატეს. ეგვიპტელ ფეხბურთელს ზუგდიდელთა მთავარი მწვრთნელი კობა წიტაიშვილი ფამაგუსტას „ანორთოსისიდან" იცნობს, სადაც ერთად თამაშობდნენ. ტანმაღალი ეგვიპტელი (190 სმ), რომელსაც საკუთარი ქვეყნის ეროვნული ნაკრების ფორმა 5 მატჩში (1 გოლი) მოურგია, „ზუგდიდში" ჩვეულ პოზიციაზე - საყრდენ ნახევარმცველად თამაშობს.**

**საბერძნეთის პაოკ-ი, კვიპროსის „ანორთოსისი", თურქეთის სუპერლიგის „ჰაჩეთეფე", ლარნაკას აეკ-ი, ასევე თურქული „დიარბაქირი" - მეგაჰედს ამ კლუბებში უთამაშია. ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშე იყო თემურ ქეცბაიას იმ „ანორთოსისისა", რომელიც მისი წასვლიდან სამ თვეში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა.**

**ამირ აზმი მეგაჰედს „ლელომ" ინტერვიუ ჩამოართვა.**

**- საქართველოში უკვე რამდენიმე შეხვედრა ჩაატარეთ. როგორია თქვენი შთაბეჭდილებები?**

- აქაურ ფეხბურთზე ბევრი არაფერი ვიცოდი. ცხადია, კობა წიტაიშვილს ველაპარაკე და რაღაცები გავიგე. მაგრამ უშუალოდ თამაშებმა საქართველოს ჩემპიონატის დონეზე უფრო ზუსტი წარმოდგენა შემიქმნა.

**- თქვენი აზრით, რა დონისაა საქართველოს ჩემპიონატი?**

- არც ძალიან მაღალი დონეა და არც - ძალიან დაბალი. ძლიერი და სუსტი გუნდები კი ყველა ჩემპიონატშია. განსხვავება ქართულ კლუბებშიც არის. მაგრამ თვალშისაცემი ისაა, რომ აქ ბევრი ნიჭიერი მოთამაშეა. ძალიან მომეწონა თბილისის „დინამოც", ევროპული დონის გუნდია, საკმაოდ აზრიან ფეხბურთს თამაშობს და რამდენიმე კარგი ფეხბურთელიც ჰყავს. სამწუხაროდ, მათ გვარებით არ ვიცნობ და ვერ დაგიკონკრეტებთ. „დინამოსთან" შეხვედრა ძალიან რთული კი იყო, მაგრამ ამავდროულად - სასიამოვნოც. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, ამ დონის კლუბი რომ ვნახე.

**- მაგრამ საქართველოს ჩემპიონატში საკმაოდ დაბალი ტემპია...**

- დიახ, ესეც თვალშისაცემია. მაგრამ მე ვლაპარაკობდი მოთამაშეებისა და გუნდების პოტენციალზე. მაგალითად, „ზუგდიდი" სეზონისთვის კარგად ვერ მოემზადა, მაგრამ აქ ნიჭიერი ბავშვები არიან. ზოგადად ვიტყვი - ფეხბურთელების 80 პროცენტს შეუძლია, კარიერა მაღალ დონეზე გააგრძელოს. მესმის, რომ ქართული ფეხბურთი დიდი ფულით განებივრებული არ არის, მაგრამ „ზუგდიდში" თანხის ჩადება ნამდვილად ღირს. ეს ბიჭები მომზადებული რომ ყოფილიყვნენ, „დინამოსთან" დიდი ანგარიშით არ წავაგებდით და უფრო ღირსეულად ვითამაშებდით. საერთოდაც, კარგი პირობები რომ გქონდეთ, ბევრად უკეთესი ჩემპიონატი და გუნდები გეყოლებოდათ. ფეხბურთელების შეფასებაში არ ვცდები და კარგად ვიცი, რასაც ვლაპარაკობ. მაგრამ იმასაც არ დავმალავ, რომ ეს ჩემთვის აღმოჩენა იყო.

**- ეგვიპტეში რა დონის ჩემპიონატია?**

- საკმაოდ კარგი ჩემპიონატი გვქონდა, ეგვიპტის კლუბები აფრიკაში მუდამ მოწინავეთა შორის იყვნენ და შემთხვევითი არ იყო, ჩვენს ფეხბურთელებს ევროპულ კლუბებში ხშირად რომ იწვევდნენ. სამწუხაროა, რომ ეგვიპტეში ძალიან ცუდი პროცესები დაიწყო. ამის გამო, ფეხბურთისთვის აღარავის ეცალა და ჩემპიონატიც ჩაიშალა. კობასთან (წიტაიშვილთან - ავტ) „ანორთოსისიდან" ვმეგობრობდი, კარგად იცნობდა ჩემს შესაძლებლობებს, დავუკავშირდი და ასე აღმოვჩნდი ზუგდიდში. მან ისიც იცის, რომ არც ერთ გუნდში შემადგენლობაში მოხვედრის პრობლემა არ მქონია.

**- როგორც ვიცით, „ზუგდიდში" განსაკუთრებული პირობები არ მოგითხოვიათ...**

- ჩემგან რაიმე პირობების წამოყენება სწორი არ იქნებოდა.

**- ჯერ ფორმაში არ ხართ...**

- სამი კვირა ვერ ვვარჯიშობდი და ცხადია, საუკეთესო ფორმაში არ ვარ. მაგრამ ყოველდღე სულ უფრო უკეთ ვგრძნობ თავს. იმედია, მალე კონდიციებს აღვიდგენ და „ზუგდიდს" დავეხმარები, მეც და ჯამალ ჰამზაც. ის ძალიან კარგი ფეხბურთელია და მიხარია, რომ ერთად ვითამაშებთ.


ამირ აზმი მეგაჰედი (მარცხნივ) და კობა წიტაიშვილი

**- ეგვიპტის ნაკრებშიც გითამაშიათ...**

- მქონდა ეს ბედნიერება და იმ დროს დღემდე სიამაყით ვიხსენებ. ეგვიპტეში ფეხბურთი ყოველთვის უყვარდათ და, სხვათა შორის, ერთადერთი ნაკრებია, რომელმაც ზედიზედ სამჯერ მოიგო აფრიკის თასი... ახლა კი არავინ იცის, რა იქნება. ეგვიპტეში ისეთი ამბებია, შესაძლოა, საშინაო შეხვედრები ვერც ჩავატაროთ. ამით ჩვენი ნაკრები ძალიან დაზარალდება. არადა, საკმაოდ ძლიერი გუნდი გვყავს.

**- რამე თუ გსმენიათ იმაზე, რომ 267 წლის განმავლობაში ეგვიპტის მმართველებს შორის 47 - წარმოშობით ქართველი იყო. და შემდგომშიც, ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ეგვიპტის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაშიც...**

- ფეხბურთელი კი ვარ, მაგრამ წიგნის კითხვა მიყვარს და ჩვენი ქვეყნის ისტორიასაც კარგად ვიცნობ. სხვათა შორის, აქ ხალხის ბუნება, ემოცია და ტემპერამენტი იმდენად ახლობელი აღმოჩნდა ჩემთვის, ვიფიქრე - მგონი, ჩვენ ერთი სისხლი გვაქვს და მეც მამლუქების შთამომავალი ვარ-მეთქი. ზუგდიდში ძალიან თბილი და გულიანი ხალხი ცხოვრობს, უცხო ადამიანებს კარგად ექცევიან. ეს ქართველი ხალხის კეთილ ბუნებაზე მეტყველებს.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი თემა

# ხიზანიშვილის შემთხვევა

*„მე შემეძლო, გავმხდარიყავი პოლიტიკოსი, რადგან ეს მწვრთნელის სამუშაოს ჰგავს: აქაც საჭიროა გამოცდილება და უნარი, საჭიროა აკონტროლო საკუთარი თავი. სატელევიზიო დებატებში მარცხდება ის, ვინც იწყებს ნერვიულობას. როგორც კი აგრესიული ხდები, წაგებისთვის ხარ განწირული. ეს წესი ხანდახან სპორტშიც მოქმედებს“* - ეს სიტყვები **არსენ ვენგერს** ეკუთვნის.

**ვუდი ალენს** კი ეკუთვნის მოთხრობა „კუგელმასის შემთხვევა“. ეს მოთხრობა იმად არის საინტერესო, რომ ალენი გვეუბნება: *„არ არის აუცილებელი, ყოველთვის იყო დაშტამპული, მოთხრობის დაწერა ასეც შეიძლება - იუმორით, სისადავით, ფანტაზიით, დრამატიზმითა და ირონიით“*. ვუდი ალენს მრავალმხრივი ტალანტი უბოძა ღმერთმა და აზრი არ აქვს მასთან პაექრობას, ოღონდაც, ნიჭიერი ხალხისგან რალაცის სწავლა ნაღდად შეიძლება.

**თემურ ქეცბაია** არ ჰგავს არსენ ვენგერს და ვერც ერთი ქართველი მწერალი ჟურნალისტი ვერ შეედრება ვუდი ალენს, მაგრამ საქმე გასაკეთებელია - მწვრთნელი ვენგერივით დახვეწილი უნდა იყოს, ჟურნალისტი კიდევ - ცნობისმოყვარე და ვუდი ალენივით არაორდინარული.

იდეალური ვარიანტები სწორედაც რომ არსებობს...

■ ■ ■

**ჯაბა დვალი** „დინამოს“ მეორე გუნდში დროებით რომ გადაიყვანეს, დინამოელთა დამრიგებელმა **დუშან უჰრინმა** ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე თქვა - ეს ჩვენი შიდა სამზარეულოს საქმეაო. აბა, წარმოიდგინეთ, **პეპ გვარდიოლამ არიენ რობენი** რომ გადაუშვას „ბაიერნის“ მეორე გუნდში, ამის მიზეზს არ მოიკითხავენ გერმანელი ჟურნალისტები და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდებიან, რომ „ბაიერნს“ თურმე საკუთარი სამზარეულო აქვს?

თუ არ იქნება ოფიციალური განმარტება, ჟურნალისტი აუცილებლად მოიძიებს კულუარულ ინფორმაციას სანდო წყაროდან და ამბავი მაინც გასკდება. ამიტომაც არიან იქაური ჟურნალისტები უფრო დაფასებულები, ვიდრე ჩვენებურები.

■ ■ ■

**ზურაბ ხიზანიშვილი** ნაკრების ავტობუსში რომ არ ავიდა, ეს ქეცბაიასგან გავიგეთ ფინეთთან მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე. ფეხბურთელი 11 კაცში რომ ვერ მოხვდება და ამის გამო გუნდის ავტობუსში არ ავა, ამას გამართლება არ აქვს, მაგრამ მხოლოდ ეს იყო მიზეზი?

მიმდინარე შესარჩევი ციკლის წინ ქეცბაიამ ხიზანიშვილს კაპიტნობა ჩამოართვა და სამკლავური **ჯაბა კანკავას** გადასცა. კაპიტნობის ჩამორთმევა არავის არ სიამოვნებს, მაგრამ ფეხბურთელს ალბათ არც ამის გამო აქვს იმის უფლება, რომ გაიბუტოს, თუმცა აქვს უფლება, იკითხოს - რატომ მიიღო მწვრთნელმა ასეთი გადაწყვეტილება...

ქეცბაიამ თქვა, ახალი შესარჩევი ციკლი იწყება და ახალი კაპიტანი ავირჩიეთო. ამ ლოგიკით კი საქართველოს ნაკრებში ყოველ ორ წელიწადში ერთხელ უნდა იცვლებოდეს კაპიტანი.

გუნდის კაპიტანი უნდა იყოს ლიდერი, ან ერთ-ერთი ლიდერი მოედანზე და მის მიღმაც, უნდა შეეძლოს რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის დაყენება მწვრთნელის, ფეხბურთელების თუ გუნდის ხელმძღვანელობის წინაშე. აკმაყოფილებს კანკავა ასეთ სტანდარტებს? ვფიქრობ, არ აკმაყოფილებს, სამაგიეროდ, ის ესადაგება იმ სათამაშო სტილს, რის დანერგვასაც ცდილობს ქეცბაია საქართველოს ნაკრებში და აქედან რა გამოვიდა, ეს ტაბლოზე და ცხრილში ჩანს. კანკავა ჩამშლელი, შეუპოვარი, გულიანი ფეხბურთელია თავისი ნაკლითა და ღირსებებით, ოღონდაც, ეს კაპიტნობისთვის არ კმარა.

როგორც უნდა იყოს, ხიზანიშვილს ისე ჩამოართ-



ზურაბ ხიზანიშვილი

ვეს კაპიტნობა, რომ კონფლიქტამდე, ან რაიმე მწვავე განცხადებამდე საქმე არ მისულა...

გახსოვთ საქართველოს ნაკრების საგარეო მატჩი ბელარუსთან? საქმეს ისეთი პირი უჩანს, ავტობუსში ხიზანიშვილის არასვლის ამბავი იქიდან გაღვივდა. იმ კონფიდენციალურმა წყარომ, რომელსაც აქამდე ცრუ ინფორმაცია არასდროს მოუწოდებია, ასეთი ამბავი მოგვიყვა - ბელარუსთან მატჩში ხიზანიშვილმა უხეში შეცდომა რომ დაუშვა და საქართველოს ნაკრებმა გოლი მიიღო, ქეცბაიამ თამაშის მერე ხიზანიშვილს უთხრა - კი მაგრამ, რა მოხდა? თბილისიდან დაგირეკეს და გითხრეს, ასე უნდა გააკეთოო?! ანუ, თუ მართლა ასე ითქვა, ქეცბაიამ ფეხბურთელი, ფაქტობრივად, იმაში დაადანაშაულა, ფეხბურთის ფედერაციის ოპონენტებმა შეგიკვეთეს საგოლე შეცდომის დაშვებაო...

თუ ეს ინფორმაცია არასწორია, კარგი იქნება, თუ ამაზე კომენტარს ქეცბაიაც გააკეთებს და ხიზანიშვილიც, რადგან ეს ჭორი თუ მართალი, მხოლოდ მე როდი ვიცი, ამაზე ყველა ის ადამიანი ლაპარაკობს, ვინც ქართულ ფეხბურთშია დასაქმებული - კულისებში, სცენაზე თუ მის მიღმა...

## სამზარეულოს ამბავი ორ მოქმედებად

მოქმედი პირები:

**თავდამსხმელი**
**სპორტული დირექტორი**
**მწვრთნელი**
**მეკარე**
**პრეზიდენტი**

მოქმედება იწყება ლონდონში, ერთ-ერთ სასტუმროში. თავდამსხმელმა სასტუმროს ჰოლში ნოუთბუქი მოიმარჯვა და თანაგუნდელებთან ერთად „დილა“-“რაპიდის“ მატჩის ყურება დაიწყო.

**თავდამსხმელი:** - ნახეთ, ოთარ ხიზანეიშვილი რა კარგად თამაშობს წლევანდელ ევროტურნირებზე. „დილაში“ ჯარიმასაც კი მას არტყმევინებენ, ჩვენთან კი გუნდიდან გაუშვეს.

თავდამსხმელმა, ალბათ, არ იცოდა, რომ მის უკან სპორტული დირექტორი იდგა და ყველაფერი მოისმინა.

**სპორტული დირექტორი:** - რასაც ახლა შენ ამბობ, მხოლოდ შენი აზრია და მეტი არაფერი.

*მეორე დღეს ირკვევა, რომ თავდამსხმელი 11 კაცში არ არის შეყვანილი.*

**თავდამსხმელი:** - გთხოვთ, მომისმინოთ, თქვენთან საუბარი მინდა.

**მწვრთნელი:** - ახლა მაგისთვის არ მცალია, სხვა დროს იყოს.

**თავდამსხმელი:** - რაღა სხვა დროს, ბარემ ახლა ვისაუბროთ.

**მწვრთნელი:** - როგორც მე ვიტყვი, ისე იქნება, აქ ბოსი მე ვარ!

მოქმედება მეორე. თბილისი

*თავდამსხმელი მეორე გუნდში გადაიყვანეს, პირველმა გუნდმა კი ისევ წააგო. მეკარე პრეზიდენტთან შედის აუდიენციაზე.*

**მეკარე:** - ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ამ გზით წინ ვერ წავალთ.

**პრეზიდენტი:** - მართლა?..

თავდამსხმელს ინტერვიუს სთხოვენ, ის კი ყოყმანობს. კლუბში ისეთი წესია, რომ მეორე გუნდში გადაყვანა ავტომატურად ნიშნავს ხელფასის განახევრებას და ვაითუ, ინტერვიუსთვისაც დასაჯონ თავდამსხმელი.

კლუბის ხელმძღვანელობისთვის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული და სანიმუშო თანამშრომელი ფეხბურთელს ურეკავს და აფრთხილებს, რომ ინტერვიუ არავის მისცეს.

ამბავი იმით მთავრდება, რომ თავდამსხმელს პირველ გუნდში აბრუნებენ...

**დავით თავართქილაძე**

ფუტსალი

# ასათიანი საქართველოში დაბრუნდა

**ავთანდილ ასათიანმა** მალტის ჩემპიონი „ჰიბერნიანსი“ დატოვა. ქართველმა სპეციალისტმა ეს გადაწყვეტილება ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მიიღო. როგორც ცნობილია, ასათიანი ეროვნული ნაკრების დამრიგებელი და ქვეყნის ჩემპიონატის მონაწილე „თელასის“ მოთამაშე-მწვრთნელი გახლდათ, აგვისტოში კი ტამპერეში (ფინეთი) უეფას თასის ჯგუფის ეტაპზე მალტის ჩემპიონს წვრთნიდა.

ასათიანმა „ლელოს“ უთხრა, რომ საბოლოოდ მაინც საქართველოში დარჩენა ამჯობინა: *„მალტაზე დარჩენას მართლაც მთავაზობდნენ. წამოსვლის შემდეგაც დამიკავშირდნენ და კარგი პირობები შემომთავაზეს. „ჰიბერნიანსი“ ძირითად ეტაპზე ვერ გავიდა, მაგრამ მალტის კლუბის კვალობაზე მშვენიერი შედეგი ვაჩვენეთ - ამ ქვეყნის გუნდმა პირველად მოიპოვა ევროთასებზე 4 ქულა, ჯგუფში კი - მეორე ადგილი. რა დასამალია და, არჩევანის წინაშე დავდექი. ერთი მხრივ, იყო ბევრად უკეთესი ფინანსური პირობები, მეორე მხრივ კი - ქვეყანა, სადაც ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი, თუმცა ასეთი პირობები ნამდვილად არ მაქვს. თავიდან ვფიქრობდი კიდეც - დავრჩები, ფინანსურად კარგად ვიქნები-მეთქი. მაგრამ ნაკრებსა და „თელასს“ ვერ ვუღალატე. ორივეგან მთავარი მწვრთნელი ვარ და პასუხისმგებლობაც მაკისრია. და რაც მთავარია - მინდა, საქართველოში ისეთ წარმატებას მივაღწიო, იქნებ ერთხელ ჩვენმა გულშემატკივარმაც გაიხაროს. მართალია, ბევრი ხელის შემშლელი ფაქტორი გვაბრკოლებს, მაგრამ ჩვენი გუნდისა და ნაკრების გაძლიერება შესაძლებელი მგონია. დაფინანსება თუ იქნება, საქართველოს ნაკრებიცა და „თელასიც“ სოლიდური გუნდები გახდებიან“.*

ასათიანი ამბობს, რომ „ჰიბერნიანსში“ ნათამაშები ქართველი ფეხბურთელების მდგომარეობა ახარებს: *„ფინეთში ჩვენმა ბიჭებმა, ლევან კობაიძემ და დავით ბობოხიძემ, ძალიან კარგად ითამაშეს. ორივე ნაკრების წევრია და ცხადია, მათზე დაკვირვების საშუალება მქონდა. მათ კარგი სათამაშო და საერთაშორისო პრაქტიკა მიიღეს და მიმაჩნია, რომ ეროვნული ნაკრების მატჩებს კარგ კონდიციებში შეხვდებიან. სეზონი მალე დაიწყება და იმედია, ეროვნული ჩემპიონატი საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართება. ეს კი ახალი მოთამაშეების შერჩევაში დაგვეხმარება“.*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

| ფეხბურთელი | ას. | კლ. | მეტ. | ანგ. | შენ. | სტატ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. ბუნდესლიგა. V ტური** | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | 36 | ჰერტა | შტუტგარტი | 0:1 (შ) | სათადარიგო | 0 თ |
| **გერმანია. ბუნდესლიგა. VII ტური** | | | | | | |
| ლევან ყენია | 22 | ფორტუნა | დრეზდენი | 1:1 (შ) | 13 წთ, შეცვლაზე | 6 თ, 0 გ |
| **გერმანია. III ლიგა. IX ტური** | | | | | | |
| ლუკას ჰუფნაგელი | 19 | უნტერჰახინ. | მიუნსტერი | 3:2 (გ) | განაცხადში არ იყო | 0 თ |
| **იტალია. სერია B. IV ტური** | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 23 | ემპოლი | კარპი | 2:0 (გ) | 21 წთ, შეცვლაზე | 2 თ |
| ირაკლი შეყილაძე | 20 | ემპოლი | კარპი | 2:0 (გ) | სათადარიგო | 1 თ |
| **ჰოლანდია. ერედივიზიე. VI ტური** | | | | | | |
| გურამ კაშია | 26 | ვიტესი | დენ ჰააგი | გადაიდო | - | 5 თ |
| ვალერი ყაზაიშვილი | 20 | ვიტესი | დენ ჰააგი | გადაიდო | - | 5 თ, 2 გ |
| გიორგი ჭანტურია | 20 | ვიტესი | დენ ჰააგი | გადაიდო | - | 3 თ |
| **პორტუგალია. სუპერლიგა. IV ტური** | | | | | | |
| ავთანდილ ებრალიძე | 21 | ჟილ ვისენტე | პორტუ | 0:2 (გ) | 13 წთ, შეცვლაზე | 1 თ |
| **თურქეთი. სუპერლიგა. IV ტური** | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 31 | კაისერი | გენჩლერი | 1:1 (გ) | 20 წთ, შეცვალეს | 4 თ |
| **რუსეთი. პრემიერლიგა. VIII ტური** | | | | | | |
| ჯანო ანანიძე | 20 | როსტოვი | ცსკა | 0:1 (გ) | 82 წთ, შეცვალეს | 7 თ |
| ელიკო ამისულაშვილი | 30 | კრილია | კრასნოდარი | 1:1 (გ) | 90 წუთი | 8 თ |
| გია გრიგალავა | 23 | ანჟი | ტომი | 2:2 (გ) | 1 წთ, შეცვლაზე | 5 თ/1 თ |
| სოლომონ კვირკველია | 21 | რუბინი | ამკარი | 0:0 (გ) | სათადარიგო | 1 თ |
| **რუსეთი. I დივიზიონი. XIII ტური** | | | | | | |
| აკაკი ხუბუტია | 27 | მორდოვია | ბალტიკა | 1:0 (შ) | 22 წთ, შეცვლაზე | 12 თ, 2 გ |
| დავით სირაძე | 31 | ნალჩიკი | როტორი | 1:1 (შ) | 30 წთ, შეცვლაზე | 12 თ, 1 გ |
| ზურაბ არზიანი | 25 | გაზოვიკი | უფა | 0:0 (შ) | 59 წთ, შეცვლაზე, გააძევეს | 10 თ |
| გიორგი ნავალოვსკი | 27 | სკა-ენერგია | ანგუშტი | 2:1 (შ) | 90 წთ, შეცვალეს | 13 თ, 1 გ |
| გოგიტა გოგუა | 29 | სკა-ენერგია | ანგუშტი | 2:1 (გ) | 90 წუთი | 9 თ, 3 გ |
| გოჩა ხოჯავა | 28 | ალანია | სიბირი | 1:1 (გ) | 59 წთ, შეცვალეს | 4 თ |
| ოთარ მარცვალაძე | 29 | ალანია | სიბირი | 1:1 (გ) | 89 წთ, შეცვალეს | 6 თ, 3 გ |
| **უკრაინა. პრემიერლიგა. VIII ტური** | | | | | | |
| ჯაბა ლიპარტია | 25 | ზორია | ილიჩოვეცი | 0:1 (გ) | 36 წთ, შეცვლაზე, გაფრთხილება | 6 თ |
| მათე ღვინიანიძე | 26 | სევასტოპ. | ვორსკლა | 2:2 (გ) | 90 წუთი | 3 თ |
| ჯაბა კანკავა | 27 | დნიპრო | ტავრია | 1:0 (შ) | 90 წთ, გააფრთხილეს | 7 თ |
| ალექსანდრე კობახიძე | 26 | დნიპრო | ტავრია | 1:0 (შ) | 45 წთ, შეცვალეს | 1 თ |
| უჩა ლობჟანიძე | 26 | დნიპრო | ტავრია | 1:0 (შ) | განაცხადში არ იყო | 0 თ |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 21 | ილიჩოვეცი | ზორია | 1:0 (შ) | 90 წუთი | 8 თ |
| დავით თარგამაძე | 23 | ილიჩოვეცი | ზორია | 1:0 (შ) | სათადარიგო | 6 თ, 1 გ |

| ფეხბურთელი | ას. | კლ. | მეტ. | ანგ. | შენ. | სტატ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **უკრაინა. პერშა ლიგა. X ტური** | | | | | | |
| გიორგი ჯვერენაია | 19 | მიკოლაივი | ოლიმპიკი | 0:1 (გ) | 45 წთ, შეცვლაზე | 9 თ |
| ირაკლი ციკოლია | 26 | ბუკოვინა | დესნა | 1:0 (შ) | განაცხადში არ ყოფილა | 5 თ |
| **დანია. სუპერლიგა. VIII ტური** | | | | | | |
| მათე ვაწაძე | 24 | ორჰუსი | ვიბორგი | 0:1 (შ) | განაცხადში არ ყოფილა | 0 თ |
| დავით დევდარიანი | 25 | ორჰუსი | ვიბორგი | 0:1 (შ) | სათადარიგო | 2 თ, 1 გ |
| დავით სხირტლაძე | 20 | ორჰუსი | ვიბორგი | 0:1 (შ) | 23 წთ, შეცვლაზე | 5 თ |
| **ბელარუსი. უმაღლესი ლიგა. გასავარდნი ზონა. XXIII ტური** | | | | | | |
| უჩა გოგოლაძე | 23 | ბრესტი | დნეპრი | 0:1 (შ) | 85 წთ, შეცვალეს | 19 თ, 2 გ |
| ირაკლი დევაძე | 24 | ნაფტანი | მინსკი | 0:4 (გ) | განაცხადში არ ყოფილა | 0 თ |
| **პოლონეთი. ეკსტრაკლასა. VII ტური** | | | | | | |
| ვლადიმერ დვალიშვილი | 27 | ლეგია | კორონა | 5:3 (გ) | 90 წთ, 3 გოლი | 6 თ, 5 გ |
| ნიკა ძალამიძე | 21 | იაგელონია | რუხი | 6:0 (შ) | ტრავმა | 0 თ |
| გიორგი ფოფხაძე | 26 | იაგელონია | რუხი | 6:0 (შ) | განაცხადში არ ყოფილა | 2 თ |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XXVII ტური** | | | | | | |
| ირაკლი სირბილაძე | 30 | ინტერი | ტპს | 1:1 (გ) | 90 წთ | 24 თ, 7 გ |
| **აზერბაიჯანი. პრემიერლიგა. VI ტური** | | | | | | |
| ნიკოლოზ გელაშვილი | 27 | ყარაბახი | რავანი | 0:1 (შ) | 18 წთ, შეცვლაზე | 5 თ, 2 გ |
| გიორგი ლომაია | 33 | ინტერი | ნეფთჩი | 1:3 (გ) | სათადარიგო | 1 თ |
| ბაჩანა ცხადაძე | 25 | ინტერი | ნეფთჩი | 1:3 (გ) | განაცხადში არ ყოფილა | 5 თ, 3 გ |
| ალექსანდრე იაშვილი | 35 | ინტერი | ნეფთჩი | 1:3 (გ) | 89 წთ, შეცვალეს | 6 თ |
| ლაშა სალუქვაძე | 31 | ინტერი | ნეფთჩი | 1:3 (გ) | ტრავმა | 1 თ |
| **მოლდოვა. დივიზია ნაციონალა. VII ტური** | | | | | | |
| თორნიკე სტეფნიაშვილი | 20 | ზიმბრუ | ტირასპოლი | 0:1 (გ) | ტრავმა | 3 თ |
| **ლატვია. ვირსლიგა. XX ტური** | | | | | | |
| გიორგი დიაკანიშვილი | 21 | დაუგავა | ლიეპაია | 2:2 (შ) | 83 წთ შეცვალეს, | 16 თ, 1 გ |
| მამუკა ღონღაძე | 27 | დაუგავპილ. | ვენტსპილსი | 0:0 (გ) | 63 წთ, შეცვალეს | 9 თ |
| გიორგი ჩიხრაძე | 25 | დაუგავპილ. | ვენტსპილსი | 0:0 (გ) | 90 წუთი | 8 თ |
| ბიძინა ცინცაძე | 24 | დაუგავპილ. | ვენტსპილსი | 0:0 (გ) | 90 წუთი | 6 თ |
| თორნიკე თარხნიშვილი | 23 | ვენტსპილსი | დაუგავპილსი | 0:0 (შ) | განაცხადში არ ყოფილა | 15 თ, 2 გ |
| ლადო დათუნაშვილი | 26 | სკონტო | ილუკსტე | 2:0 (გ) | სათადარიგო | 6 თ |
| ლაშა დვალი | 18 | სკონტო | ილუკსტე | 2:0 (გ) | განაცხადში არ იყო | 3 თ |
| ირაკლი კლიმიაშვილი | 25 | სკონტო | ილუკსტე | 2:0 (გ) | 90 წუთი | 9 თ, 1 გ |
| გიორგი ხუმარაშვილი | 24 | ილუკსტე | სკონტო | 0:2 (შ) | 90 წუთი | 6 თ |
| ჯემალ ჯალიაშვილი | 22 | ილუკსტე | სკონტო | 0:2 (შ) | 90 წუთი | 8 თ, 2 გ |
| გიორგი ტუხაშვილი | 22 | ილუკსტე | სკონტოძ | 0:2 (შ) | 68 წთ, შეცვალეს | 4 თ, 1 გ |
| **სომხეთი. პრემიერლიგა. V ტური** | | | | | | |
| თენგიზ უგრეხელიძე | 32 | ულისი | პიუნიკი | 3:3 (გ) | სათადარიგო | 4 თ |
| შოთა ჯიძია | 28 | განძასარი | ალაშკერტი | 9:2 (შ) | 90 წთ, 1 გოლი | 5 თ, 1 გ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაზილია. სერია A. XXI ტური

# ლიდერთა დუეტი გამოიკვეთა

**კრუზეირო-ატლ. პარანაენსე 1:0**

**გოლი:** 1:0 ნილტონი (36)

**ფლუმინენსე-პორტუგეზა 2:1**

**გოლები:** 0:1 დიოგო (34), 1:1 რაფაელ სობისი (60-პენ), 2:1 ვაგნერი (72)

**ვასკო-სან პაულო 0:2**

**გოლები:** 0:1 როდრიგო კაიო (31), 0:2 ანტონიო კარლოსი (70)

**კორინთიანსი-გოიასი 1:2**

**გოლები:** 0:1 უგო (57), 1:1 პატო (78), 1:2 ამარალი (85)

**პონტე პრეტა-ფლამენგო 1:1**

**გოლები:** 1:0 არტური (68), 1:1 ანდრე სანტოსი (87)

**გაძევება:** სამირი (65. ფლამენგო), სეზარი (90. პონტე პრეტა)

**კრისიუმა-ინტერნასიონ. 0:1**

**გოლი:** 0:1 ოტავინიო (51)

**კორიტიბა-ბაია 2:2**

**გოლები:** 0:1 ვალისონი (20), 0:2 ვილიამ ბარბიო (53), 1:2 ტიტი (65-საკ. კარში), 2:2 ალექსი (90)

**ვიტორია-ნაუტიკო 2:1**

**გოლები:** 0:1 უგო (14), 1:1 დინეი (20), 2:1 დინეი (71)

**გრემიო-ატლ. მინეირო 0:1**

**გოლი:** 0:1 ფერნანდინიო (62)

**სანტოსი-ბოტაფოგო 1:2**

**გოლები:** 0:1 ელიასი (39), 0:2 ელიასი (57), 1:2 სისერო (67)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კრუზეირო | 21 | 14 | 4 | 3 | 45-19 | 46 |
| 2. ბოტაფოგო | 21 | 12 | 6 | 3 | 35-22 | 42 |
| 3. გრემიო | 21 | 11 | 4 | 6 | 28-20 | 37 |
| 4. ატლ. პარანაენ. | 21 | 9 | 8 | 4 | 35-26 | 35 |
| 5. ინტერნასიონ. | 21 | 8 | 10 | 3 | 35-29 | 34 |
| 6. კორინთიანსი | 21 | 7 | 9 | 5 | 20-11 | 30 |
| 7. კორიტიბა | 21 | 7 | 8 | 6 | 25-25 | 29 |
| 8. გოიასი | 21 | 7 | 8 | 6 | 22-25 | 29 |
| 9. სანტოსი | 20 | 7 | 7 | 6 | 24-19 | 28 |
| 10. ატლ. მინეირო | 20 | 7 | 7 | 6 | 22-22 | 28 |
| 11. ვიტორია | 21 | 7 | 6 | 8 | 27-30 | 27 |
| 12. ფლუმინენსე | 21 | 7 | 5 | 9 | 25-28 | 26 |
| 13. ფლამენგო | 21 | 6 | 8 | 7 | 22-25 | 26 |
| 14. ბაია | 21 | 6 | 7 | 8 | 22-28 | 25 |
| 15. კრისიუმა | 21 | 7 | 3 | 11 | 27-34 | 24 |
| 16. სან პაულო | 21 | 6 | 6 | 9 | 20-22 | 24 |
| 17. ვასკო | 21 | 6 | 6 | 9 | 29-36 | 24 |
| 18. პორტუგეზა | 21 | 5 | 7 | 9 | 29-34 | 22 |
| 19. პონტე პრეტა | 20 | 4 | 4 | 12 | 21-32 | 16 |
| 20. ნაუტიკო | 20 | 2 | 3 | 15 | 10-36 | 9 |

**ბომბარდირები:** 13 - ედერსონი (ატლეტიკო პარანაენსე); 11 - ვილიამი (პონტე პრეტა); 10 - ალექსი (კორიტიბა); 8 - ბიანკუჩი (ვიტორია), დალესანდრო (ინტერნასიონალი), ვალტერი (გოიასი), რაფაელ მარკეში (ბოტაფოგო), ანდრე (ვასკო და გამა), ფერნანდაო (ბაია)

**21-ე ტურის შემდეგ ბრაზილიის ჩემპიონატში ორი გუნდის, „კრუზეიროს“ და „ბოტაფოგოს“ უპირატესობა გამოიკვეთა. დღევანდელი გადასახედიდან, ჩემპიონობისთვის სწორედ ამ დუეტმა უნდა იბრძოლოს.**

**ძალიან დაიძაბა სიტუაცია ცხრილის მეორე ნახევარში, სადაც უკიდურესი სიმჭიდროვეა - მე-6 ადგილზე მყოფ „კორინთიანსს“ და გასავარდნ ზონაში მყოფ „ვასკო და გამას“ შორის სხვაობა მხოლოდ 6 ქულაა...**

## შესანიშნავი შვიდეული

21-ე ტურის ცენტრალური შეხვედრა ბელუ ორიზონტიში გაიმართა, სადაც „კრუზეირომ“ „ატლეტიკო პარანაენსეს“ უმასპინძლა და ამ უკანასკნელის ხანგრძლივი დაუმარცხებელი სერია შეწყვიტა. ამ მატჩამდე სტუმრებს 13 შეხვედრის განმავლობაში არ ჰქონდათ წაგებული, რის გამოც გასავარდნი ზონიდან მეოთხე ადგილამდე ალზევდნენ. ზედიზედ 6 შეხვედრა ჰქონდა მოგებული ჩემპიონატის ლიდერსაც, რომელმაც შესანიშნავი ფორმა აკრიფა და საკუთარი გულშემატკივრები არც ამჯერად გაანბილა.

შეხვედრის ერთადერთი გოლი 36-ე წუთზე, **ვილიანის** და **ნილტონის** კომბინაციის შედეგად გავიდა. „ვასკოს“ ყოფილმა ნახევარმცველმა ახალ კლუბში თავისი მეხუთე გოლი გაიტანა და ამ მაჩვენებლით, გუნდის ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე მყოფ **არაუჟოს** და **ლუანს** დაეწია, პირველზე კი 6 გატანილი ბურთით **რიკარდო გულარტი** გახლავთ.

აღსანიშნავია, რომ „კრუზეიროს“ მეტოქე უკანასკნელ 6 შეხვედრაში არ ჰყავდა დამარცხებული და საერთოდ, ბოლო წლებში, „ატლეტიკო“ „მელიებისთვის“ უხერხულ მეტოქედ ჩამოყალიბდა. თავად განსაჯეთ - 2003 წლიდან მოყოლებული გამართულ 18 შეხვედრაში, „კრუზეირომ“ კურიტიბელებს მხოლოდ მესამედ მოუგო.

ამ გამარჯვების შემდეგ, გუნდებს შორის სხვაობა 11 ქულამდე გაიზარდა, რაც „ატლეტიკოს“ შანსს, რომ ისტორიაში მეორედ გახდეს ჩემპიონი, მიზერულს ხდის.

## ბოტაფოგო დევნას აგრძელებს

18 მოგება, 18 ფრე და 18 მარცხი - ასეთია „სანტოსის“ და „ბოტაფოგოს“ ურთიერთშეხვედრათა სტატისტიკა (სერია A-ში) გუშინდელი მატჩის შემდეგ. შეხვედრის გმირი გახდა **ელიასი** (მადრიდის „ატლეტიკოს“ და ლისაბონის „სპორტინგის“ ყოფილ ფეხბურთელში არ აგერიოთ. „ის“ ელიასი „ფლამენგოში“ თამაშობს), რომელმაც დუბლი შეასრულა. თავის გამოჩენა კვლავ მოახერხა **იურიმ**, ვინც ამჯერად ვერ გაიტანა, მაგრამ საგოლე პასი გააკეთა.

„სანტოსმა“ ამ ჩემპიონატში შინ პირველი მატჩი წააგო. საინტერესოა, რომ ბოლო საშინაო მარცხი **კლაუდინეი ოლივეირას** გუნდს თითქმის ერთი წლის წინათ, 2012 წლის 23 სექტემბერს ჰქონდა განცდილი, როდესაც თანამტატელ „პორტუგეზასთან“ 1:3 წააგო.

„ბოტაფოგომ“ მიჯრით მეოთხე გამარჯვება მოიპოვა და ლიდერთან 4-ქულიანი ჩამორჩენა შეინარჩუნა. მომდევნო ტურში ბრაზილიის ჩემპიონატის ცენტრალური შეხვედრა უნდა გაიმართოს: 18 სექტემბერს (ჩვენი დროით 19-ში) „კრუზეირო“ „ბოტაფოგოს“ უმასპინძლებს.

## ტურის სენსაცია

ტურის მთავარი სენსაცია „პაკაემბუზე“ დაფიქსირა. „კორინთიანსმა“ „გოიასთან“ წააგო და ლიბერტადორესის თასის ზონაში მყოფ გუნდებთან მიახლოვების საშუალება გაუშვა ხელიდან. რთული სათქმელია, რა უფრო მოულოდნელი იყო, ის, რომ „ტიმაო“ დამარცხდა, თუ ის, რომ **ტიტეს** გუნდმა საკუთარ კარში ორი გოლი გაუშვა. დიახ, ამ სეზონში ასეთი რამ აქამდე არ მომხდარა - ერთ შეხვედრაში, „კორინთიანსს“ ერთზე მეტი ბურთი მიღებული არ ჰქონდა და როგორი გასაოცარიც არ უნდა იყოს, ამის გაკეთება მაინცდამაინც „გოიასმა“ მოახერხა.

სხვათა შორის, ამ გუნდებს შორის სან პაულოში გამართული ბოლო 5 მატჩიდან „გოაისმა“ უკვე მესამე მოიგო. ზოგადად კი ურთიერთშეხვედრებში, „სანტოსი“-“ბოტაფოგოს“ დაპირისპირების არ იყოს, აქაც თანაფარდობაა: 12 მატჩი „ტიმაომ“ მოიგო, 12 „გოიასმა“, 16 შეხვედრა კი ფრედ დასრულდა.

## ფლუმ და სან პაულომ გამოიღვიძეს

„ფლუმინენსემ“ ბოლო 4 შეხვედრაში 8 ქულა მოაგროვა და სახიფათო ზონას (დროებით მაინც) მოშორდა. ამ ტურში **ვანდერლეი ლუშემბურგოს** შეგირდებმა უკვე ხსენებულ „პორტუგეზას“ სძლიეს. შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელი **რაფაელ სობისი** გახდა, რომელმაც კარგი ფორმა აკრიფა. „ბეტისის“ და ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, რამდენიმე წუთში კი **ვაგნერს** გაატანინა. სობისის ანგარიშზე უკვე 7 გოლია და ის „ფლუს“ საუკეთესო სნაიპერია.

ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა „სან პაულომ“, რომელმაც „ვასკო და გამას“ მოუგო და სატურნირო ცხრილში ადგილი გაუცვალა. **მურისი რამალიომ** გუნდს მეორედ უხელმძღვანელა და მოედანი კვლავ გამარჯვებულმა დატოვა. აღსანიშნავია, რომ „ვასკოს“ ბრაზილიის 6-გზის ჩემპიონი საკუთარ მოედანზე 2005 წლის შემდეგ არ დაუმარცხებია (3 ფრე და 4 წაგება).

იმარჯვა „ინტერნასიონალმაც“. ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა **ანდრეს დალესანდრომ** ამჯერად ვერ გაიტანა, სამაგიეროდ ერთადერთ გოლში მონაწილეობა მაინც მიიღო და თავი საგოლე პასით გამოიჩინა. გოლი კი 18 წლის **ოტავინიომ** გაიტანა, ვისთვისაც ეს ბურთი ამ სეზონში უკვე მესამე იყო.

**ტატო ბაციკაძე**



დედეს (მარცხნივ) და ნილტონის „კრუზეირომ“ მორიგი მატჩი მოიგო

## ამბები



ჟორდი ალბა

### ალბა სამ კვირას გამოტოვებს

„სევილიასთან“ შეხვედრის საწყის წუთებზე **ჟორდი ალბამ** ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად მინდორზე **ადრიანო** გამოვიდა, რომელმაც რამდენიმე წუთში საგოლე პასიც გააკეთა.

სამედიცინო შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ „ბარსელონას“ და ესპანეთის ნაკრების მარცხენა მცველს ბარძაყის ტრავმა აქვს, რომლის გამოც ის სამ კვირას გამოტოვებს. ალბას გამოკლების შემდეგ, „ბარსას“ ადრიანოს სახით განაცხადში მხოლოდ ერთი ნომინალური მარცხენა მცველი დარჩა.

ამ დაზიანების გამო, 24 წლის ფეხბურთელი ესპანეთის ჩემპიონატის ოთხ და ჩემპიონთა ლიგის ორ შეხვედრას გამოტოვებს. სავარაუდოდ, ალბა მინდორზე ოქტომბრის სანაკრებო პაუზის დასრულების შემდეგ დაბრუნდება და „ოსასუნასთან“ (19 ოქტომბერს) სათამაშოდ მზად იქნება.

### აფრიკა დაწყვილდა

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის აფრიკის ზონაში გადამწყვეტი მატჩების დრო დადგა. 10 ჯგუფის გამარჯვებული პლეი ოფში გავიდა, სადაც კენჭისყრის შედეგად ხუთი წყვილი შედგა. წყვილების გამარჯვებულები მუნდიალის საგზურს მიიღებენ.

ყველაზე დიდ ინტერესს კონტინენტის ორი ყველაზე ტიტულოვანი ნაკრების, ეგვიპტის (7-გზის ჩემპიონი) და განის (4-გზის ჩემპიონი) დაპირისპირება იწვევს. განამ უკანასკნელ მუნდიალზე აფრიკელთაგან ყველაზე უკეთ ითამაშა და რომ არა ურუგვაისთან **ასამოა გიანის** მიერ გაფუჭებული პენალტი, პირველი აფრიკული გუნდი გახდებოდა, რომელიც 1/2-ფინალში გავიდოდა. ეგვიპტე კი მიუხედავად აფრიკის ერთა თასზე მიღწეული წარმატებებისა, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის სტუმარი ძალიან იშვიათად არის. თავად განსაჯეთ - „ფარაონებმა“ მუნდიალზე სულ ორჯერ ითამაშეს (1934, 1990). აღსანიშნავია, რომ ორივე ჩემპიონატი იტალიაში გაიმართა.

პირველი მატჩები 11 ოქტომბერს, საპასუხო შეხვედრები კი 15 ნოემბერს შედგება.

**ყველა წყვილი:**

კოტ დივუარი-სენეგალი
ეთიოპია-ნიგერია
ტუნისი-კამერუნი
განა-ეგვიპტე
ბურკინა ფასო-ალჟირი

### ანრის 400

კვირას, „ნიუ იორკ რედ ბულსმა“, MLS-ის რეგულარული სეზონის მორიგ ტურში „ტორონტოს“ უმასპინძლა და 2:0 მოუგო. ამ შეხვედრაში ანგარიში **ტიერი ანრიმ** გახსნა, ვისთვისაც ეს გოლი კარიერაში მე-400 იყო. ამ გამარჯვების წყალობით, „არსენალის“ (228 გოლი) და საფრანგეთის ნაკრების (51 გოლი) ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირის გუნდმა აღმოსავლეთ კონფერენციაში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. სულ, კლუბების მიხედვით ანრის მონაგარი ასე გამოიყურება:

მონაკო: **141 მატჩი, 28 გოლი**
იუვენტუსი: **19 მატჩი, 3 გოლი**
არსენალი: **377 მატჩი, 228 გოლი**
ბარსელონა: **121 მატჩი, 49 გოლი**
რედ ბულსი: **94 მატჩი, 41 გოლი**
საფრანგეთის ნაკრები: **123 მატჩი, 51 გოლი**
სულ: **865 მატჩი, 400 გოლი**

**ტატო ბაციკაძე**

### ლორენტე რეალსაც მოუნდა

„ბარსელონური“ გაზეთი იუწყება, რომ **ფერნანდო ლორენტეს** დამატების მსურველი კლუბების რიცხვი ერთით გაიზარდა - ბასკის გადაბირება ახლა მადრიდის „რეალსაც“ სურს. საქმე იმაშია, რომ ფერნანდო ჯერჯერობით ვერ შეეწყო ახალ კლუბს, ტურინის „იუვენტუსს“, რამაც პრესაში ათასი სპეკულაცია გააჩინა. სხვადასხვა წყაროს მტკიცებით, თუ ასე გაგრძელდა, იანვარში ლორენტე დატოვებს ტურინულ კლუბს.

27 წლის ბასკი ფორვარდის შეძენა „რეალის“ გარდა „ბარსელონას“, „ჩელსის“, „არსენალსა“ და „ტოტენჰემს“ სურთ.

### არდა თურანი მადრიდში 2017 წლამდე რჩება

„დიარიო AS“-ის ცნობით, მადრიდის „ატლეტიკოს“ თურქმა ვარსკვლავმა **არდა თურანმა** გადაწყვიტა, კლუბთან კონტრაქტი გააახანგრძლივოს.

არდა 2 სექტემბერს კინაღამ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა - მხარეები შეთანხმდნენ, მაგრამ ინგლისელებმა სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ვერ მოასწრეს სათანადო საბუთების შეგროვება.

### კაკა ერთი თვე ვერ ითამაშებს

მადრიდის „რეალიდან“ „მილანში“ გადასული ბრაზილიელი ნახევარმცველი კაკა დაიმტვრა. „მილანის“ ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოაცხადა, რომ „ტორინოსთან“ 2:2 დასრულებულ შეხვედრაში კაკა იმიტომ გამოცვალეს, რომ ბრაზილიელი ტრავმირებულია.

ტესტირებამ აჩვენა, რომ 31 წლის კაკა დაახლოებით ერთ თვეს დაისვენებს, თუმცა ახალი ტესტირება 10 დღის ვადაშია დანიშნული.

*„ძალიან ცუდი დღე გამოდგა შაბათი ჩემთვის. ნამდვილად არ ველოდი ტრავმას. მეგონა, ყველა უარყოფითი წარსულს ჩაბარდა. მე უკვე ვესაუბრე „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის და ვუთხარი, სანამ ტრავმირებული ვარ, ხელფასი არ მინდა. ერთადერთი რაც „მილანისგან“ მჭირდება ახლა მხარდაჭერაა“.*

### AS: რონალდო ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელია

15 სექტემბერს **კრიშტიანო რონალდომ** მადრიდის „რეალთან“ 2018 წლამდე გააახანგრძლივა ხელშეკრულება. ოფიციალური ინფორმაცია უცნობია, ხოლო „მარკას“ ვერსიით ფეხბურთელი წელიწადში 17 მილიონ ევროს მიიღებს.

თუმცა ამ ვერსიას არ იზიარებს „დიარიო AS“ და პორტუგალიური მედია.

მათი ინფორმაციით, რონალდო წელიწადში 21 მილიონ ევროს მიიღებს და ის მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. ასე რომ, პორტუგალიის ნაკრების ლიდერი „რეალში“ თვეში 1,7 მილიონ ევროს იღებს. მისი ხელფასი დღეში 58 ათასი ევროა, ხოლო წუთში 40 ევრო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. პირველი ტურის წინ

# რეალის უძვირფასესი ფრთები და ბაიერნის მისია


პრიმერადივიზიონის შემდეგ, კრიშტიანო რონალდოსა და გარეთ ბეილის დუეტის დებიუტი ჩემპიონთა ლიგაშიც შედგება

## A ჯგუფი

**სოსიედადი-შახტარი** 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კარლოს მარტინესი, ანსოტეგი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - გრანერო, ბერგარა - კარლოს ველა, ჩაბი პრიეტო, გრიზმანი - სეფეროვიჩი.

**შახტარი (4-2-3-1):** კანიბოლოცკი - სრნა, ჩიგრინსკი, რაკიცკი, შევჩუკი - სტეპანენკო, გრეჩიშკინი - დუგლას კოშტა, ალექს ტეიშეირა, ტაისონი - ლუის ადრიანო.

**არბიტრი:** ოვიდიუ ჰატეგანი (რუმინეთი)

**იუნაიტედი-ლევერკუზენი** 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იუნაიტედი (4-4-2):** დე ხეა - ფ. და სილვა, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ვალენსია, კერიკი, გიგზი, იანგი - ვან პერსი, რუნი.

**ლევერკუზენი (4-3-2-1):** ლენო - დონატი, თოფრაქი, სპაჰიჩი, ბიონიში - ჩანი, რაინარტცი, როლფესი - სემი, სონი - კისლინგი.

**არბიტრი:** დამირ სკომინა (სლოვენია)

## B ჯგუფი

**გალათასარაი-რეალი** 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**გალათასარაი (4-2-2-2):** მუსლერა - ებუე, შედიუ, კაია, ბალთა - ფელიპე მელო, ინანი - ამრაბატი, სნეიდერი - ბ. ილმაზი, დროგბა.

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - კარვახალი, პეპე, რამოსი, არბელოა - ხედირა, მოდრიჩი - კ. რონალდო, ისკო, ბეილი - ბენზემა.

**არბიტრი:** მარკ კლატენბურგი (ინგლისი)

**კოპენჰაგენი-იუვენტუსი** 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**კოპენჰაგენი (3-4-3):** კრისტენსენი - იაკობსენი, კრისი, მარგრეიტერი - დელანეი, ბოლანოსი, რემერი, კლაუდემირი - ამანკვაა, ადი, ვეტოკელე.

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბონუჩი, ბარძალი, კიელინი - ლიხტშტაინერი, პოგბა, პირლო, ვიდალი, ასამოა - ტევესი, ვუჩინიჩი.

**არბიტრი:** ივან ბებეკი (ხორვატია)

## C ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი-პსჟ** 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ოლიმპიაკოსი (4-2-2-2):** რობერტო - ლეანდრო სალინო, მანოლასი, სიოვასი, ბონგი - სამარისი, მანიატისი - დავიდ ფუსტერი, კემპბელი - სავიოლა, მიტროლლუ.

**პსჟ (4-3-3):** სირიგუ - ვან დერ ვილი, ალექსი, ტიაგო სილვა, მაქსველი - პასტორე, ტიაგო მოტა, მატუიდი - კავანი, იბრაჰიმოვიჩი, ლავეცი.

**არბიტრი:** ფელიქს ბრიხი (გერმანია)

**ბენფიკა-ანდერლეხტი** 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბენფიკა (4-1-2-1-2):** არტური - მაქსი პერეირა, ლუიზაო, გარაი, ბრუნო კორტესი - მატიჩი - სალვიო, გაიტანი - ენცო პერესი - კარდოსო, ლიმა.

**ანდერლეხტი (4-2-3-1):** პროტო - ჟილე, კუიატე, ნუიტინკი, დეშახტი - მილივოევიჩი, კლიესტანი - ბრუნო, პრო, აშემპონგი - მატიას სუარესი.

**არბიტრი:** მანუელ გრეფე (გერმანია)

## D ჯგუფი

**ბაიერნი-ცსკა** 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბაიერნი (4-1-4-1):** ნოიერი - ლამი, ჟ. ბოატენგი, დანტე, ალაბა - შვაინშტაიგერი - რობენი, თ. მიულერი, ტ. კროოსი, რიბერი - მანჯუკიჩი.

**ცსკა (4-2-3-1):** აკინფეევი - ნაბაბკინი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, შჩენნიკოვი - ვერნბლუმი, ცაუნია - ზუბერი, ჰონდა, ვიტინიო - მუსა.

**არბიტრი:** ჯანლუკა როკი (იტალია)

**პლზენი-სიტი** 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პლზენი (4-2-3-1):** კოზაჩიკი - რეზნიკი, პროჩაზკა, ჩისოვსკი, ლიმბერსკი - ჰორავა, ჰორვატი - რაიტორალი, კოლარი, კოვარიკი - ტეკლი.

**სიტი (4-2-3-1):** ჰარტი - საბალეტა, ლესკოტი, ნასტასიჩი, კოლაროვი - ფერნანდინიო, იაია ტურე - ხესუს ნავასი, აგუერო, დავიდ სილვა - ჯეკო.

**არბიტრი:** პაოლო ტალიავენტო (იტალია)

ჩემპიონთა ლიგის გერმანული ფინალიდან თითქმის ოთხი თვე გავიდა, მაგრამ დორტმუნდის „ბორუსიას" და მიუნხენის „ბაიერნის" სუპერჯახის პერიპეტიები ალბათ ყველას ზეპირად გვახსოვს. თუმცა დღეიდან ის ფინალი და „ბაიერნის" ტრიუმფი უკვე საბოლოოდ ისტორიას ჩაბარდება, რადგან დღეს ჩემპიონთა ლიგის ახალი გათამაშება იწყება. „ბაიერნი" ტიტულის შენარჩუნების მისიას ახალი მწვრთნელითა და კიდევ უფრო გაძლიერებული შემადგენლობით იწყებს და რეკორდმაისტერის მთავარი კონკურენტები ამ სეზონშიც ტრადიციული სუპერგრანდები იქნებიან - „ბარსა", „რეალი", „იუვენტუსი", პსჟ, მანჩესტერული გრანდები. იქნებ „ჩელსი", იქნებ „მილანიც" და, რა თქმა უნდა, არც „დორტმუნდი" უნდა დაგვავიწყდეს. გერმანული ფინალის შემდეგ დაწყებული საუბრები იმის შესახებ, რომ ბუნდესლიგა მსოფლიოში საუკეთესო ლიგაა, ან, მინიმუმ ამ გზაზე დგას, ლეგიტიმურია, რადგან 2001/2002 წლების სეზონის შემდეგ პირველად ხდება ისე, რომ გერმანია ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ოთხი კლუბითაა წარმოდგენილი. რაც ყველაზე საინტერესოა, ეს ზუსტად ის ოთხი გუნდია, რომლებიც მაშინაც ჯგუფურ ეტაპზე იყვნენ: „ბაიერნი", „დორტმუნდი", „შალკე" და...

### A ჯგუფი: აქეთ ვან პერსი, იქით კისლინგი

...ლევერკუზენის „ბაიერი". „ფარმაცევტებს" პირველივე ტურში ურთულესი მატჩი ელით: **სამი ჰიიპიას** გუნდი ინგლისის მოქმედ ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს" სტუმრობს. და თითქოს ეს საკმარისად რთული ამოცანა არ იყო, ლევერკუზენელთა მდგომარეობას ის ფაქტიც ამძიმებს, რომ **გონსალო კასტრო** და **ლარს ბენდერი** ვერ ითამაშებენ (ორივე ტრავმირებულია). „ბაიერის" ფინელი დამრიგებელი ამ დანაკლისს კატასტროფად არ მიიჩნევს - შესაძლოა იმიტომაც, რომ „ვოლფსბურგთან" (3:1) **სიმონ როლფესმა** შესანიშნავად ითამაშა. ამ უკანასკნელის თქმით, „იუნაიტედისგან" საჩუქრებს არ უნდა ველოდოთ, ეს გუნდი ზედმეტად გამოცდილია იმისათვის, რომ რამე გვაჩუქოსო. „იუნაიტედის" გამოცდილებაზე საუბარი შორს წაგვიყვანს - სამაგიეროდ, ევროსარბიელზე გამოუცდელია მანკუნიანელთა ახალი თავკაცი **დევიდ მოიესი**...

თუკი ლევერკუზენელებს „ოლდ ტრეფორდზე" ვინმეს იმედი უნდა ჰქონდეთ, ეს პირველ რიგში გოლეადორ **შტეფან კისლინგზე** ითქმის. გერმანულ კლუბს, შესაძლოა, მწვრთნელ ჰიიპიას გამოცდილებაც გამოადგეს - ეს უკანასკნელი ხომ ლივერპულში ასპარეზობდა და „იუნაიტედის" წინააღმდეგ არაერთხელ უთამაშია. მანჩესტერელთაგან ყველაზე სახიფათო ამ ეტაპზე **რობინ ვან პერსია**, რომელსაც პრემიერლიგაში სამი გოლი აქვს გატანილი.

ჯგუფის მეორე დუელი კი სან სებასტიანში, „რეალ სოსიედადსა" და იმ დონეცკის „შახტარს" შორის შედგება, რომელმაც ზაფხულში **ჰენრიხ მხითარიანისა** (დორტმუნდშია) და **ფერნანდინიოს** (სიტი) სახით ორი ლიდერი დაკარგა. უკრაინულმა გრანდმა მათ სანაცვლოდ ჯამში 62.5 მილიონი ევრო მიიღო და ამ თანხის დიდი ნაწილი ბრაზილიელებში, **ბერნარდსა** და **ფრედში** დააბანდა. ესპანური კლუბი კი ჩემპიონთა ლიგაში 10-წლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა. ათი წლის წინათ „სოსიედადმა" მერვედფინალამდე გააღწია, სადაც „ლიონთან" დამარცხდა. გაგახსენებთ, რომ ახლა ბასკებმა პლეიოფში სწორედ „ლიონი" დაჯაბნეს.

### B ჯგუფი: მსოფლიოში უძვირფასესი „ფრთები"

მადრიდის „რეალი" ჩემპიონთა ლიგის მეათედ მოგების მისიას ამჯერად **კარლო ანჩელოტის** თაოსნობით შეეცდება და „სამეფო გუნდის" პირველი მეტოქე თურქული გრანდი „გალათასარაია". შეგახსენებთ, რომ „რეალი" და „გალა" ერთმანეთს წინა სეზონის მეოთხედფინალში გადაეყარნენ და ის ორმატჩიანი დუელი ესპანურმა გრანდმა მოიგო (3:0, 2:3). სტამბოლში დღეს მსოფლიოში უძვირფასესი „ფრთების" საჩემპიონთალიგო დებიუტი შედგება: „რეალს" **კრიშტიანო რონალდოსა** და **გარეთ ბეილის** სახით ხომ საუკეთესო გარემარბები ჰყავს.

თუკი ბეილში 100 მილიონი ევრო გადაიხადეს, რითაც უელსელი მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე ძვირფასი მოთამაშე გახდა, ამ სტატუსის დამთმობ რონალდოს „რეალმა" ახალი კონტრაქტი გაუფორმა და გული რომ არ დასწყვეტოდა, მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად (17 მილიონი წელიწადში, ზოგი ცნობით - 21) აქცია. რონალდო-ბეილის ტანდემის დებიუტი ესპანეთის ჩემპიონატში გასულ უქმეებზე შედგა, მაგრამ წარუმატებელი გამოდგა: მართალია, ორივემ გაიტანა, მაგრამ მადრიდელები „ვილიარეალთან" ფრეს (2:2) დასჯერდნენ. „გალათასარაი" თურქეთის სუპერლიგაში ძველებურად ველარ დაფრინავს (4 ტურის შემდეგ 6 ქულით მე-8 ადგილზეა), მაგრამ თურქთა თავკაც **ფათიჰ თერიმს** „რეალის" ძლევის იმედი აქვს, რაც არც გუშინდელ პრესკონფერენციაზე დამალა - უნდა მოვიგოთო. „იმპერატორი" იმედებს პირველ რიგში **დიდიე დროგბაზე, ბურაქ ილმაზსა** და **ვესლი სნეიდერზე** ამყარებს.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში კი „იუვენტუსი" ვალდებულია, კოპენჰაგენიდან სამი ქულა წაიღოს - **ანტონიო კონტეს** გუნდს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშებას მომავალ გამარჯვებულ „ბაიერნთან" გამოეთიშა, სხვა შედეგი მიუღებელი იქნება. თუმცა **სტალე სოლბაკენის** გუნდის არაფრად ჩაგდება არ შეიძლება - მართალია, „კოპენჰაგენი" დანიის ჩემპიონატში ოდენ მეათე ადგილზეა, მაგრამ ამ გუნდს აქვს იმის რესურსი, რომ ჯგუფში რომელიმე მეტოქე გაამწაროს.

### C ჯგუფი: ზლატანი და კავანი

ამ ჯგუფს პსჟ-ს სახით გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს, პარიზელთა მთავარ მწვრთნელ **ლორან ბლანს** კი არა მარტო ჯგუფიდან გასვლა, არამედ ჩემპიონთა ლიგის მოგებაც რეალურად ეჩვენება. მიზანი მართლაც მიღწევადია, რადგან პსჟ-ს ისედაც შესანიშნავ შემადგენლობას **ედინსონ კავანიც** დაემატა და ახლა მარტო ამ კლუბის თავდასხმა რად ღირს - კავანი, **იბრაჰიმოვიჩი, ლავეცი**. იბრამ შვედურ პრესაში ახალი სიტყვა დაამკვიდრა: „ზლატანიზირება", რაშიც ჯგუფში მაქსიმალურ დომინირებას გულისხმობს. ვნახოთ, იქნება თუ არა დღეს „ოლიმპიაკოსი" „ზლატანიზირებული".

მეორე მატჩში ლისაბონის „ბენფიკა" „ანდერლეხტის" დამარცხებას და მეორე ადგილისთვის ბრძოლაში უპირატესობის მოპოვებას შეეცდება. ევროპალიგის ფინალის წაგების შემდეგ პორტუგალიელთა მიზანი ჩემპიონთა ლიგის მინიმუმ მერვედფინალში გასვლაა, „ანდერლეხტისთვის" კი რეალური უფრო მესამე ადგილზე ოცნებაა. ბელგიელებისთვის ამ მიზნის მიღწევა ახლა უფრო ადვილი იქნება, ვიდრე შარშან, როცა ჯგუფში „მალაგა", „მილანი" და „ზენიტი" ჰყავდათ.

### D ჯგუფი: ბაიერნის მიზანი ტიტულის შენარჩუნებაა

მიუნხენის „ბაიერნისთვის" ტიტულის შენარჩუნების მისია დღეს მოსკოვის ცსკა-სთან საშინაო მატჩით იწყება და ეს შეხვედრა რეკორდმაისტერის ახალ თავკაც **ხოსეპ გვარდიოლასთვის** ევროსარბიელზე დაბრუნებასაც ნიშნავს. ალსანიშნავია, რომ ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში მოქმედ გამარჯვებულს სასტარტო მატჩი მხოლოდ ერთხელ აქვს წაგებული: ეს 1994 წელს „მილანს" დაემართა (0:2 ამსტერდამში, „აიაქსთან"). მიუნხენელებს ბასტიან შვაინშტაიგერი უბრუნდებათ. რუსებს მიუნხენის „ალიანს არენაზე" იღბალის იმედი ექნებათ, მაგრამ „ბაიერნი" კონცენტრირებულია.

„ბაიერნთან" ერთად ჯგუფის ფავორიტად „მანჩესტერ სიტიც" მოიაზრება, მაგრამ უკვე აღარ ვიცით, ღირს თუ არა ამ გუნდისთვის ფავორიტის სტატუსის მინიჭება, რადგან „სიტის" ჩემპიონთა ლიგაში ფურორის მოხდენა უკვე ზედიზედ მესამედ უნდა, წინა ორი მცდელობა კი სრულ კრახით, ჯგუფში ჩარჩენით დამთავრდა. თუმცა მანჩესტერელები მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ (ფერნანდინიო, **ხესუს ნავასი, ალვარო ნეგრედო, სტევან იოვეტიჩი**) და **მანუელ პელეგრინის** სახით ახალი მწვრთნელი ჰყავთ.

**გოტფრიდ ლენცი**


ხოსეპ გვარდიოლა ჩემპიონთა ლიგაში ბაიერნის თავკაცის რანგში ბრუნდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. იენს ლემანი

# მუდმივი მოძრაობის კანონი ლემანისგან

**იენს ლემანი** გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული მეკარეა. მიუხედავად იმისა, რომ მისი უშუალო კონკურენტი ოლივერ კანი გახლდათ, ფეხბურთელმა 61 თამაში ჩაატარა ბუნდესგუნდში, რაც ნამდვილად დასაფასებელია. კარიერის საუკეთესო წლები ფეხბურთელმა „არსენალში“ გაატარა. ამ დღეებში „მეთოფეთა“ ვებგვერდმა მასთან ვრცელი ინტერვიუ შემოგვთავაზა, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ.

**- იენს, „არსენალში“ 2003 წელს მოხვედით სათამაშოდ. როგორ გაიხსენებდით ამ დროს?**

- ყველაფერი სწრაფად მოხდა. დამირეკეს და მითხრეს, რომ ლონდონში ორ დღეში უნდა გამოვცხადებულიყავი. ჩემს უფროს შვილს ფსიქოლოგიური პრობლემები დაეწყო გარემოს ცვლილების გამო. ჩვენთვის ეს ცოტა, არ იყოს, შოკისმომგვრელი იყო, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ ყველაფერი დალაგდა.

**- იტალიაში ცოტა ხანს თამაშობდით. ინგლისში გადასვლის ანალოგიური ეჭვები აღარ გაგჩენიათ?**

- ჩემთვის გადაწყვეტილების მიღება იოლი იყო, რადგან ყოველთვის მინდოდა უცხოეთში თამაში. „მილანიდან“ „ლივერპულში“ წასვლის შანსიც მქონდა, თუმცა უარი ვთქვი და „ბორუსიაში“ გადავედი. „არსენალზე“ არჩევანის შეჩერება წლების შემდეგ აღმოჩნდა, რომ საუკეთესო გადაწყვეტილება ყოფილა, რადგან პრემიერლიგა მოვიგე, ეს კი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ერთ ჩვეულებრივ ტიტულს.

**- პირველივე სეზონი წაუგებლად დაასრულეთ. ოდესმე თუ წარმოიდგენდით, რომ მსგავსი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო?**

- ჩამოვედი თუ არა ვენგერს შევპირდი, რომ ფორმის აღდგენას მაქსიმალურად სწრაფად შევეცდებოდი. ვთხოვე, თუკი სიტყვათა მარაგი არ მეყოფა, დამეხმარეთ-თქო. დაცვის ორგანიზება მაშინ, როცა ენა არ იცი, რთულია. აღმოვაჩინე, რომ ამისთვის სულ 100 სიტყვა მჭირდებოდა, რომელთა სწავლა და წარმოთქმა იოლი აღმოჩნდა, უფრო იოლი, ვიდრე გერმანულად. მაგალითად, მობრუნდი, ინგლისურად არის ტურნ და გერმანულად დრეჰ დიცჰ უმ.

**- იმ მაქსიმუმზე თუ ფიქრობდით, რისი მიღწევაც შეგეძლოთ?**

- ჩვენ მხოლოდ მომდევნო თამაშზე ვფიქრობდით. გადამწყვეტი „ოლდ ტრეფორდზე“ თამაში აღმოჩნდა. ვან ნისტელროის ჰქონდა გატანის შანსი, თუმცა ხარიხას მოარტყა. წარმოდგენა არ გვქონდა, ასეთი ძლიერები თუკი შეიძლებოდა ვყოფილიყავით. დიდი ფეხბურთელების გვერდით მიწევდა თამაში. ორგანიზაციული მხარე კემპბელისა და კიოუნისგან ვისწავლე. ხშირად კარიდან შორს გამოვდიოდი, რადგან ჩემ წინ 30-40 იარდი რჩებოდა ცარიელი სივრცე. ვიცოდი, რომ შეცდომის შემთხვევაში კოული, ლორენი, კემპბელი ან ტურე დამაზღვევდნენ.

**- 2006 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალის გზაზე რიკელმეს პენალტი აუღეთ.**

- ერთი პერიოდი სკამზე მოვხვდი. 34 წლის ვიყავი, წინ მსოფლიოს ჩემპიონატი მელოდა, სადაც კანთან კონკურენცია უნდა მომეგო. მივხვდი, რომ რაღაც უნდა შემეცვალა და მედიტაციის ხერხს მივმართე. ათმატჩიანი პაუზის შემდეგ კი ძირითადში დავბრუნდი. ვიცოდი, რომ შეცდომის უფლება აღარ მქონდა. პენალტიც რომ დანიშნულიყო, მე ის უნდა ამელო. დარტყმამდე სწორედ ეს გავიფიქრე. ინტუიციამ მიკარნახა, რიკელმე რასაც იზამდა. ზუსტად იქ დაარტყა, სადაც ვივარაუდე.


იენს ლემანი

**- მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში როგორი იყო?**

- ხალხი დღემდე მოდის ჩემთან და 2006 წლისთვის მადლობას მიხდის. ეს გუნდური მიღწევა იყო. ცოტა უცნაურიც იყო, რადგან პრესაში ჩვენზე მხოლოდ ცუდს წერდნენ და არასახარბიელო შედეგები გვქონდა. კლინსმანი პარლამენტშიც კი დაიბარეს და სამზადისთან დაკავშირებით ანგარიშის ჩაბარება სთხოვეს. მასმედია იქამდე გვირტყამდა, ვიდრე არ მიხვდა, რომ საზოგადოება ამას განსხვავებულად აფასებდა და ის გუნდის მხარეს იყო. ტურნირის მიმდინარეობისას მათ ტონის შეცვლა მოუხდათ.

**- იტალიასთან 1/2-ფინალში წააგეთ. ალბათ ძალიან მტკივნეული იყო.**

- დიახ, თავს საშინლად ვგრძნობდი, რადგან უკანასკნელ წუთებზე გამოვვარდით, ეს კი ყოველთვის გულსატკენია. შესაძლოა, ეს ყველაზე დიდი იმედგაცრუებაა, რაც კი ოდესმე მიგრძვნია.

**- რამდენად რთულია კარიერის დასრულება და ფეხბურთისგან შორს ყოფნა?**

- თავიდან ეს რთული არ მეგონა, რადგან ხანგრძლივ შვებულებას ჰგავს. ჩემი პრობლემა ის იყო, რომ ყოველთვის უნდა მევარჯიშა. სპორტსმენმა გამუდმებით უნდა იმოძრაოს, რადგან გული ზომაზე დიდი გაქვს. თუკი არაფერს გააკეთებ, სერიოზული პრობლემები მაშინ დაიწყება. 3-4 თვის შემდეგ მივხვდი, რომ დაბრუნება შემეძლო და ვარჯიშს ვაგრძელებდი. ერთ დღესაც ლონდონიდან დამირეკეს და მკითხეს, ვიყავი თუ არა ფორმაში, რადგან „არსენალს“ ყველა მეკარე ტრავმირებული ჰყავდა. ეს ფანტასტიკური შანსი იყო. ჯილდოდ კი კლუბში მე-200 თამაში მივიღე.

## დოსიე

საკლუბო კარიერა: „შვარცვაისი“ - 1987/88, „შალკე“ - 1988/1998, „მილანი“ - 1998, „ბორუსია“ - 1999/2003, „არსენალი“ - 2003/08, „შტუტგარტი“ - 2008/10, „არსენალი“ - 2011

საკლუბო მიღწევები: უეფას თასი - 1996/97; გერმანიის ჩემპიონი - 2001/02; ინგლისის ჩემპიონი 2003/04; ჩერითი შილდი - 2004; ასოციაციის თასი 2004/05;

სანაკრებო კარიერა: დასავლეთ გერმანია U21 - 1989/90 (6 თამაში), გერმანია 1998/2008 (61 თამაში)

სანაკრებო მიღწევები: მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი 2002; მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი 2006; ევროპის ვიცე-ჩემპიონი 2008; კონფედერაციათა თასის ბრინჯაოს პრიზიორი 2005;

ინდივიდუალური მიღწევები: ევროპის საუკეთესო მეკარე - 1996, 2006; მსოფლიოს ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრების წევრი;

1998 წელს მიიღო მიუნსტერის უნივერსიტეტის ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი

ამბები


ლუკაკუ

### ლუკაკუს ახალი აგენტი ჰყავს

„ჩელსიდან“ „ევერტონში“ 1-წლიანი იჯარით გადაბარგებულმა **რომელუ ლუკაკუმ** გულშემატკივარს სოციალური ქსელების საშუალებით აუწყა, რომ მან ახალი მენეჯერი იპოვა. ლაპარაკია იტალიელ **მინო რაიოლაზე**. 20 წლის ბელგიელის გარდა აპენინელს რამდენიმე სახელგანთქმული კლიენტი ჰყავს, მათ შორის **ზლატან იბრაჰიმოვიჩი, მარიო ბალოტელი** და **პოლ პოგბა**. რაიოლა კულისებს მიღმა ბრძოლის ოსტატად არის აღიარებული და იოლი გამოსაცნობია, რომ სულ მალე ლუკაკუს სხვა კლუბში გადაბარგებაზე დაიწყება ლაპარაკი. ლუკაკუს ლონდონელებთან ხელშეკრულება 2016 წლამდე აკავშირებს.

### მაკედა დონკასტერში წავიდა

„მანჩესტერ იუნაიტედში“ **ფედერიკო მაკედას** დებიუტი სადღაც ოცნებაში ნანახს ჰგავდა. 2009 წლის 5 აპრილს შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა მატჩის უკანასკნელ წამებზე „ასტონ ვილას“ ზღაპრული გოლი გაუტანა და „ეშმაკებს“ 3:2 მოაგებინა. ექვსი დღის შემდეგ კი მან „სანდერლენდთან“ გაიტანა გამარჯვების ბურთი. იტალიელი ამ დროს 18 წლის იყო. ყველა ერთ ხმაში ალაპარაკდა მის დიდი მომავალზე, თუმცა ეს ასე არ მოხდა. 2009 წლის აპრილის შემდეგ ფეხბურთელს ჩემპიონატის თამაშებში გოლი არ გაუტანია. საქმე იმაზეც კი მიდგა, რომ ჩემპიონშიპის ერთ-ერთმა ყველაზე სუსტმა წარმომადგენელმა „დონკასტერმა“ მას 1-თვიანი გამოსაცდელი კონტრაქტი შესთავაზა, რაზეც ფეხბურთელმა თანხმობა თქვა. დღეს საღამოს მას ახალ გუნდში დებიუტი უნდა ჰქონდეს „უოტფორდთან“ შეხვედრაში.

### იანუზაი უკვე დიდი ეშმაკია

„მანჩესტერ იუნაიტედის“ 18 წლის ბელგიელმა ნახევარმცველმა **ადნან იანუზაიმ** პრემიერლიგის IV ტურში „კრისტალ პალასთან“ მოედანზე მხოლოდ 23 წუთი გაატარა, თუმცა ეს დროც ეყო **დევიდ მოიესის** მოსახიბლად. „დეილი მეილის“ ცნობით, შოტლანდიელი მენეჯერის მითითებით, ბელგიელს კერინგტონის ბაზის გასახდელში საკუთარი კარადა გამოუყვეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ადნანი ამიერიდან „იუნაიტედის“ ძირითადი გუნდის წევრია. მასზე უკვე აღარ ვრცელდება სერ **ალექს ფერგიუსონის** მიერ შემოღებული წესი, რომლის თანახმადაც დუბლების წევრებს მხოლოდ ერთგვაროვანი ბუცები უნდა სცმოდათ. ამას გარდა ძირითადი გუნდის წევრობა ფეხბურთელს სხვა პრივილეგიებსაც ანიჭებს.

მანჩესტერ სიტი. გამოხმაურება

# ცუდი საჩუქარი დაბადების დღისთვის

„მანჩესტერ სიტის“ ჩილელი მთავარი მწვრთნელი **მანუელ პელეგრინი** გუშინ 60 წლისა გახდა. მას შეიძლება იმედი ჰქონდა, რომ ორიოდე დღით ადრე ფეხბურთელები იუბილეზე საჩუქრად სამ ქულას მიართმევდნენ, მაგრამ „ბრიტანიაზე“ „სტოკი“ მეტოქეს მედგრად დაუდგა და უილბლობა რომ არა, მას სულაც უქულოდ გაისტუმრებდა უკან. აი, რა თქვა სამხრეთამერიკელმა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე:

- *რთული კვირა გამოგვივიდა, რადგან ტრავმების გამო ოთხი ფეხბურთელი დაგვაკლდა. წინასწარ ვიცოდით, რომ „სტოკთან“ გასვლაზე თამაში რთული ამოცანა იყო. შესაბამისად, მგონია, რომ ქულით უკმაყოფილო არ უნდა ვიყოთ. რთული კვირა იყო თუნდაც იმიტომ, რომ ფეხბურთელებმა თავიანთ ეროვნულ ნაკრებებში 2-2 მატჩი ჩაატარეს, შაბათის პრემიერლიგის შემდეგ მათ სამშაბათს ჩემპიონთა ლიგაში ელოდებათ კიდევ ერთი შეხვედრა. გამოდის, რომ 21 დღეში 7 მატჩი გვიწევს. ასეთ პირობებში კი თითოეული მოთამაშის გამოყენება მნიშვნელოვანია. მათ ძალების აღსადგენად დრო უნდა დარჩეთ.*

*„სტოკს“ დღეს მოგების მეტი შანსი ჰქონდა, თუმცა საერთო ჯამში ცუდად არც ჩვენ გვითამაშია. უბრალოდ რთულ ოპონენტს მაშინ გადავეყარეთ, როცა წარმატების მისაღწევად უამრავი ხელის შემშლელი გარემოება გვქონდა. აუცილებელი იყო, რომ მეტი საგოლე სიტუაცია შეგვექმნა. თავდასხმაში ისევე აქტიურად რომ გვეთამაშა, როგორც „კარდიფთან“, აუცილებლად მოვიგებდით. ამას გარდა კიდევ რამდენიმე კომპონენტში მკვეთრად გვაქვს მოსამატებელი.*

მოკლე კომენტარი გააკეთა მატჩის შემდგომ „მეთიხეთა“ დამრიგებელმა **მარკ ჰიუზმაც**, ვინც „ქალაქელებს“ 2008/09 წლებში თავად ედგა სათავეში: *„ყველას უნდა ესმოდეს, თუ რას ნიშნავს პრემიერლიგა. აქ ზედაპირული დამოკიდებულება ყოველი კონკრეტული მეტოქის მიმართ დამღუპველია. ამ ჩემპიონატში შეუძლებელია ერთი თამაშში ძალების დაზოგვის ხარჯზე მეორის მოგება, რადგან ამის გამო, შესაძლოა, სულაც ჰაერში დარჩე გამოკიდებული. ზოგადად აუტსაიდერები ლიდერებს იშვიათად უგებენ, თუმცა ჩვენთან ეს ნებისმიერ წამს შეიძლება მოხდეს. სწორედ ამიტომ არის, რომ მთელ მსოფლიოში გვიყურებენ“.*

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**


მანუელ პელეგრინი



ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. V ტურის შეჯამება

# შესანიშნავი ოთხეული

## 5 თამაში, 15 გოლი, 15 ქულა: კლოპის გუნდი შეუჩერებელია

**გერმანიის** ჩემპიონატის მეხუთე ტურის უმთავრესი მოვლენა უდავოდ დორტმუნდის „ბორუსიას" შთამბეჭდავი გამარჯვება იყო: იურგენ კლოპის გუნდმა „ჰამბურგი" 6:2 გაანადგურა, რაც პირველ რიგში „ბორუსიას" ბრწყინვალე შემტევი ოთხეულის დამსახურებაა: ობამეიანგი, მხითარიანი, როისი და ლევანდოვსკი „ჰამბურგის" მცველებს კატა-თაგვობანას ეთამაშებოდნენ. „ბორუსიას" ხუთ ტურში სულ 15 გოლი აქვს გატანილი და აქედან 14 სწორედ ამ ოთხეულის ანგარიშზეა. ალბათ თავადაც ხვდებით, რომ გერმანიის მიმდინარე ჩემპიონატში ყველაზე შედეგიანი წინა ხაზი ამ ეტაპზე სწორედ „დორტმუნდს" ჰყავს. ეს, რაც შეეხებოდა ტურის მთავარ პოზიტივს, ქვემოთ კი სხვა პოზიტივებსა და ნეგატივებზე ვისაუბრებთ.

### პოზიტივები

- **მანუელ ნოიერმა** „ჰანოვერთან" 2:0-ზე მოგებულ შეხვედრაში კარი მშრალად შეინახა. „ბაიერნის" 27 წლის მეკარემ რეკორდმაისტერის ფორმით ბუნდესლიგის შეხვედრაში ეს მეასედ გააკეთა. ამ ასაკში ასეთი მიღწევა აქამდე მიუნხენური გრანდის არცერთ გოლკიპერს არ ჰქონია.

- მთლად დორტმუნდისნაირი არა, მაგრამ ძალიან შედეგიანი წინახაზელები ჰყავს „ლევერკუზენსაც". „ვოლფსბურგთან" (3:1) „ბაიერს" **სიდნი სემმა** და **შტეფან კისლინგმა** მოაგებინეს და ხუთი ტურის შემდეგ ორთავეს 4-4 გოლი აქვს.

- ახლა უკვე საბოლოოდ დავრწმუნდით იმაში, რომ „შალკეს" „ბოლო წამს" ნაყიდი ფეხბურთელები ნაადგა და მომავალშიც ნაადგება. **კევინ-პრინს ბოატენგი** მისთვის მეორე შეხვედრაშიც ბრწყინვალე იყო და, რაც მთავარია, გამარჯვების გოლი გაიტანა, „ჰამბურგიდან" ნათხოვარი **დენის აოგო** ეხერხება. ამრიგად, „ბრაუნშვაიგმა" პირველი ქულა აიღო...

- პარასკევს „შტუტგარტმა" ბერლინში 1:0 მოიგო, რაც იმას ნიშნავს, რომ შვაბთა ახალ თავკაც **თომას შნაიდერს** ჯერჯერობით ასპროცენტიანი შედეგი (2 თამაში, 2 მოგება) აქვს. თუმცა „ჰერტასთან" გამარჯვებას შნაიდერი მეკარე **სვენ ულრაიხს** უნდა უმადლოდეს, რომელმაც პარასკევს სასწაულები აკეთა.

### ნეგატივები

- ვინც „ბრაუნშვაიგთან" 4:0-ის მერე ფიქრობდა, რომ „ჰამბურგი" დაბრუნდა და პროგრესი დაეწყო, მწარედ შეცდა - ჩრდილოელები დორტმუნდში პირწმინდად შერცხვნენ (2:6). არ გაგიკვირდეთ, ახლო მომავალში „ლელოში" ასეთი სათაური რომ ამოიკითხოთ: *„ტორსტენ ფინკი დაიფრინეს!"*

- ბრემენის „ვერდერს" შაბათს დაემართა ყველაფერი ცუდი, რაც შეიძლება, საფეხბურთო კლუბს ერთ შეხვედრაში დაემართოს: 0:3 საკუთარ მოედანზე, უსიცოცხლო და უიდეო ფეხბურთი, **ფრანკ დი სანტო** თამაშის დაწყებიდან ნახევარ საათში გააძევეს, **აარონ ჰანტმა** პენალტი ვერ გაიტანა, სებასტიან პრიოდლმა კი საკუთარი კარი დალაშქრა. ზედიზედ მესამე მარცხის შემდეგ „ვერდერს" კატასტროფულ სიტუაცია უახლოვდება.

- დი სანტო ცალკე სალაპარაკო თემაა: „ვერდერის" ახალწვეული თავდამსხმელი „აინტრახტის" მარცხენა მცველ **ბასტიან ოჩიპკასკენ** ისე გაფრინდა, როგორც **ბრიუს ლი** დაფრინავდა არც ისე შორეულ წარსულში და ფეხი პირდაპირ ფრანკფურტელის სახეზე ჰქონდა დამიზნებული. მსაჯმა **ფელიქს ბრიხმა** დი სანტოს მაშინვე წითელი აუფრიალა.



დორტმუნდის ბორუსიას ბრწყინვალე კვარტეტი: მარცხნიდან - ჰენრიხ მხითარიანი, რობერტ ლევანდოვსკი, პიერ ემერიკ ობამეიანგი და მარკო როისი. 15-დან 14 გოლი მათ ანგარიშზეა

კი გელზენკირხენულ კლუბში ისე კარგად ათამაშდა, რომ გამორიცხული არაა, **იოახიმ ლიოვმა** ახლო მომავალში გერმანიის ნაკრებში ისევ დაუძახოს.

- „აუგსბურგმა" ბუნდესლიგაში ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო, რაც ამ კლუბის ისტორიაში პირველი შემთხვევაა. ამრიგად, აუგსბურგელებს 5 ტურის შემდეგ 9 ქულა აქვთ. შედარებისთვის, წინა სეზონში 9 ქულა პირველი წრის, ანუ, 17 ტურის (!) შემდეგ ჰქონდათ. შედეგად, „აუგსბურგი", რომელსაც ამ სეზონში თითქმის ყველა მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას უწინასწარმეტყველებს, მეექვსე ადგილზეა.

- მიუხედავად იმისა, რომ „აინტრახტს" **პირმინ შვეგლერის, ალექს მაიერის, იან შლაუდრაფისა** და **შტეფან შრიოკის** სახით ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი აკლდა, ფრანკფურტელთა თავკაცმა **არმინ ფეემ** ბრემენში ამ დანაკლისის კომპენსირება შეძლო და „ვერდერი" მისსავე მოედანზე 3:0 შეარცხვინა, რაც პირველ რიგში ფრანკფურტელთა ახალი გოლეადორის, **ვაცლავ კადლეცის** დამსახურებაა. ჩეხმა ცენტრფორვარდმა დუბლი შეასრულა და **პრიოდლის** ავტოგოლშიც ლომის წვლილი შეიტანა. შესანიშნავი იყო **ტრანკვილიო ბარნეტაც**. ასეთი შემართებითა და კონცენტრაციით „აინტრახტი" ცხრილის პირველი მესამედის კანდიდატია.

- „ჰოფენჰაიმს" „გლადბახთან" ლიდერი **რობერტო ფირმინო** აკლდა, მაგრამ „სოფლელებმა" მაინც გაიმარჯვეს (2:1), რაც **ფოლანდისა** და **მოდესტეს** დამსახურებაა, რომელთა ანგარიშზე 4-4 გოლია.

- ბრაუნშვაიგში ბუნდესლიგურ გოლს 28 წელი ელოდებოდნენ და ეს პატივი კვირას წილად **ომარ ელაბდელაუის** ხვდა. „ნიურნბერგთან" (1:1) ნორვეგიელი მარჯვენა ნახევარმცველი ერთ-ერთი საუკეთესო იყო და დაამტკიცა, რომ გოლის გატანაც

- „ბაიერნიდან" „ვოლფსბურგში" გადაბარგებულმა **ლუის გუსტავომ** „მგლებში" მესამე მატჩი ჩაატარა და ამ უმოკლეს პერიოდში მეორედ გააძევეს! მართალია, ბრაზილიელი საყრდენი ნახევარმცველი სოლიდურად თამაშობს და „ვოლფსბურგის" ლიდერად გვევლინება, მაგრამ თავისი ზედმეტი სიხისტით თანაგუნდელები უკვე მეორედ დალუპა. საერთო ჯამში, ლუის გუსტავოს ბუნდესლიგაში 6 წითელი ბარათი აქვს მიღებული და **იენს ნოვოტნის** ანტირეკორდს (8 გაძევება) უახლოვდება.

- ჰანოვერელებს შეეძლოთ, მიუნხენში არც ჩასულიყვნენ, რადგან „ბაიერნის" მოედანზე ზედიზედ მეშვიდე მარცხი (0:2) იწვნიეს. ზოგადად, „ჰანოვერს" მიუნხენში ერთადერთხელ აქვს მოგებული - ეს 2006 წლის 8 ნოემბერს მოხდა: მაშინ „წითლებმა" „ალიანს არენაზე" **საბოლჩ ჰუსტის** გოლით 1:0 გაიმარჯვეს.

- წინა სეზონში „ფრაიბურგს" ბუნდესლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო დაცვა ჰყავდა, ახლა კი **კრისტიან შტრაიხის** გუნდის უკანა ხაზში „ორპირი ქარი ქრის": 5 თამაშში 11 გოლის მიღება საშინელი შედეგია, რაშიც ბრალი ყველაზე მეტად 19 წლის მცველ **მათიას გინტერს** მიუძღვის, რომლისთვისაც დაცვის ბურჯის სტატუსის მინიჭება შტრაიხის მხრიდან აშკარად ნაადრევი ნაბიჯი იყო.

- „მაინცი" „შალკესთან" **შინჯი ოკაზაკის** კატასტროფული პასის გამო დამარცხდა (კევინ-პრინს ბოატენგმა სწორედ ამის შემდეგ იხეირა). რაკი ოკაზაკიმ ეს შეცდომა შეტევაში ვერ გამოასწორა, **თომას ტუხელმა** იაპონელი 57-ე წუთზე შეცვალა.

- მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" სტუმრად მესამე შეხვედრა ჩაატარა და მესამედ დამარცხდა. მართალია, **ლუსიენ ფავრის** ბიჭები საკუთარ „ბორუსია-პარკზე" იგებენ (2 მოგება), მაგრამ თუ „გლადბახს" ევროსარბიელზე მოხვედრა უნდა, ქულების დაგროვება სტუმრადაც უნდა დაიწყოს.

გვერდი მოამზადა **გოტფრიდ ლენცმა**

II ტურის გმირი

### მარკო როისი (დორტმუნდი)



მარკო როისი ხანდახან უბურთოდაც გენიალურ რამეს აკეთებს ხოლმე. ასე იყო „ჰამბურგის" კარში გატანილი მეოთხე გოლის დროსაც, როცა ბურთი ჭკვიანურად გაატარა და რობერტ ლევანდოვსკის იდეალური დასარტყმელი პოზიცია შეუქმნა. შაბათს მარკო შეუდარებელი და შეუჩერებელი იყო - როისი ჰამბურგის მცველებს კოშმარებში დაესიზმრებათ. ორ ეპიზოდში **რენე ადლერმა** მისი დარტყმები რის ვაი-ვაგლახით მოიგერია, მაგრამ მარკომ მაინც გაიტანა, თანაც როგორ - მარჯვენა მცველ **დიკმაიერს** ბურთი ფეხებშუა გაუტარა და ადლერიც სტატისტის როლში დატოვა.

### საუკეთესო ფეხბურთელები

„კიკერის" შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | შეფასება | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. პიერ ემერიკ ობამეიანგი | დორტმუნდი | 5 | 2.00 |
| 2. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 5 | 2.00 |
| 3. რაფაელ შეფერი | ნიურნბერგი | 5 | 2.00 |
| 4. კევინ ფოლანდი | ჰოფენჰაიმი | 5 | 2.10 |
| 5. ვაცლავ კადლეცი | აინტრახტი | 3 | 2.17 |
| 6. არიენ რობენი | ბაიერნი | 4 | 2.17 |
| 7. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 5 | 2.25 |
| 8. მარკო როისი | დორტმუნდი | 5 | 2.30 |
| 9. სვენ ულრაიხი | შტუტგარტი | 5 | 2.30 |
| 10. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 5 | 2.40 |

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პიერ ემერიკ ობამეიანგი | დორტმუნდი | 5 | 5 | 2 | 7 |
| 2. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 5 | 4 | 3 | 7 |
| 3. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 5 | 4 | 2 | 6 |
| 4. ალექსანდრუ მაქსიმი | შტუტგარტი | 3 | 2 | 4 | 6 |
| 5. რობერტო ფირმინო | ჰოფენჰაიმი | 4 | 3 | 3 | 6 |
| 6. სიდნი სემი | ლევერკუზენი | 5 | 4 | 2 | 6 |
| 7. კევინ ფოლანდი | ჰოფენჰაიმი | 5 | 4 | 2 | 6 |
| 8. ვედად იბიშევიჩი | შტუტგარტი | 5 | 5 | 0 | 5 |
| 9. ნიკოლაი მიულერი | მაინცი | 5 | 5 | 0 | 5 |
| 10. ანტონი მოდესტე | ჰოფენჰაიმი | 5 | 4 | 1 | 5 |

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით






სამბო

# მეორე ოქრო ქურდიანს

## 8 სხვადასხვა სინჯის მედალი და მსოფლიოს ღია პირველობაზე 20 ქვეყნის ნაკრებს შორის გუნდური მეორე ადგილი




15-16 წლისასაკის სამბისტთა ანუ კადეტთა ევროპის ღია პირველობას შარშან ჩაეყარა საფუძველი, რომელიც ტალინში (ესტონეთი) ჩატარდა. წლევანდელ პირველობას კი რიგამ (ლატვია) უმასპინძლა. ქალაქის ოლიმპიური ცენტრის სარბიელზე ძველი კონტინენტის გარდა წლეულს აშშ-ს, ს. კორეის, მონღოლეთის და ყირგიზეთის წარმომადგენლებიც ჭიდაობდნენ. ამაში უცნაური არაფერია: სამბოს საერთაშორისო ფედერაცია FIAS-ი გაისად კადეტ სამბისტთა შორის, პირველ მსოფლიო პირველობის ჩატარებას გეგმავს.

ჩვენმა ბიჭებმა ათივე წონით კატეგორიაში იასპარეზეს. სხვათა შორის მათი გამგზავრება ევროპის ღია პირველობაზე ადგილობრივი რაიონებისა და ქალაქების მუნიციპალიტეტებმა და მერიებმა უზრუნველჰყვეს. რიგაში ჩვენი ორი გოგონას დებიუტიც შედგა, მაგრამ ისინი, როგორც მოსალოდნელი იყო, სამეულში ვერ მოხვდნენ...

ერთი გამონაკლისის გარდა, ძირითადად ჩვენი ბიჭებიც დებიუტანტები იყვნენ. გამონაკლისში ვგულისხმობთ შარშანდელ ევროპის ჩემპიონს კადეტებში ქუთაისელი **ჯამბულ ქურდიანს** (მწვრთნელი **ვეფხია ბალხამიშვილი**), რომელმაც ზედიზედ მეორედ დაიმშვენა მკერდი ოქროს მედლით. შარშან თუ 50 კგ-ში იპირველა, ახლა 55 კგ-ში აჯობა ყველას. თანაც შარშანაც და წლეულსაც ფინალურ დაპირისპირებაში ბულგარელ ბოჟიდა ტემელკოვს კვლავ 6:0 მოუგო...

საგარეჯოელმა **ბექა ტერტერაშვილმა** (60 კგ) ფინალურ შეხვედრაში ტრავმა მიიღო, ჭიდაობის გაგრძელება ველარ შეძლო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. მოწონება დაიმსახურა ყველაზე მჩატე წონის **გიორგი ნიაზაშვილმა** (42 კგ), რომელიც მეორე ადგილს დაეუფლა. მეორე ადგილები მოიპოვეს აგრეთვე ხაშურელმა **ვახტანგ მეტივიშვილმა** (46 კგ) და ქარელელმა **დავით იმერლიშვილმა** (84 კგ).მესამე პრიზიორები გახდნენ: დუშელი **ვანო ხუბაშვილი** (50 კგ), გურჯაანელი **გოგა ქევხიშვილი** (72) და ქარელელი **გიორგი მულაძე** (78 კგ). გუნდმა, რომელსაც ერთი საწვრთნელი შეკრებაც არ გაუვლია, 8 სხვადასხვა სინჯის მედალი და ღია პირველობაზე 20 ქვეყნის ნაკრებს შორის გუნდური მეორე ადგილი მოიპოვა (კადეტთა ნაკრების მწვრთნელები - **დავით ხაჩიძე** და **ემინ რაში**).

გუნდური: 1. რუსეთი 50 ქ, 2. საქართველო 38, 3. ბელარუსი 34,5.

კადეტმა სამბისტებმა გამოცდა წარმატებით ჩააბარეს. ჯერი მათ მომდევნო თაობაზეა. ოქტომბრის შუა რიცხვებში ბერძნულ ქ. სალონიკში ჩვენი ჭაბუკი და ახალგაზრდა სამბისტთა ნაკრები გუნდები მსოფლიოს პირველობაში ჩაერთვებიან.

**გაბრიელ ბარჯაძე**
ავტორის ფოტო



საქართველოს კადეტ სამბისტთა ნაკრები.
მარცხნიდან: პირველ რიგში - ვახტანგ მეტივიშვილი, გიორგი ნიაზაშვილი, ჯამბულ ქურდიანი, ვანო ხუბაშვილი; მეორე რიგში - დავით იმერლიშვილი, ბექა ტერტერაშვილი, ბექა უდესიანი, დავით რაზმაძე, გიორგი მულაძე და გოგა ქევხიშვილი.

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...



# ქარელლებს შინ ვინ აჯობებდა

## გუნდური პირველობა ჭაბუკთა შორის

სოფელ ბებნისში (ქარელის რ-ნი) ნახერხმოყრილმა საჭიდაო არენამ 1998-1999 წლებში დაბადებულთა შორის საქართველოს გუნდურ პირველობას უმასპინძლა ქართულ ჭიდაობაში თბილისის სამი („შევარდენი", „სამგორი," „ლიდერი"), კასპის, გორის, საჩხერის და ქარელის ორი გუნდის მონაწილეობით. გუნდები ერთმანეთს 7 წონით კატეგორიაში (50, 55, 60, 65, 70, 80, მძიმე) ეპაექრებოდნენ. საუკეთესოები ანგარიშში მცირე სხვაობით იმარჯვებდნენ, რაც ასპარეზობისადმი დიდ ინტერესზე მეტყველებს. ყველაზე დიდი ანგარიშით - 7:0 პირველივე ეტაპზე კასპს მომავალმა ჩემპიონმა ქარელის I-მა გუნდმა მოუგო. სამწუხაროდ, კასპის რაიონი მათთვის უჩვეულოდ სუსტი სპორტსმენებით იყო წარმოდგენილი. სხვა მეოთხედფინალური დაპირისპირებები დაძაბულად მიმდინარეობდა და ერთნაირი ანგარიშით 4 : 3 დასრულდა - საჩხერემ სძლია „სამგორს", გორმა - „ლიდერს", „ქარელი II"-მა - „შევარდენს". სამივე თბილისური გუნდი გამოეთიშა პირველობას. ნახევარფინალში საჩხერელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს „ქარელი I"-ს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ - 3:4. გორელებმა კი „ქარელი II"-ს შედარებით იოლად 5:2 მოუგეს. ამ უკანასკნელ შეხვედრაში ნაგებულმა თავის მხრივ ასევე 5 : 2 აჯობა მესამე ადგილისათვის მებრძოლ საჩხერელებს. ხოლო ფინალში ერთმანეთის პირისპირ გორი და „ქარელი I" წარსდგნენ. აქ თავდაპირველად გორელები იგებდნენ 1:0, 2:1, მაგრამ მასპინძელთა გუნდის წევრებმა **გაგა ლიჩელმა** (65 კგ) და **გაგა ქიტიაშვილმა** (70) სუფთა გდებებით გაათანაბრეს და წინაც გაიყვანეს თავისი გუნდი. შემდეგ კი **ნიკა სიდამონიძემ** (80 კგ) საბოლოოდ განამტკიცა ქარელელთა უპირატესობა. ბოლო შეხვედრაში მართალია გორელმა **ოთარ გოგიძემ** (მძიმე) იმარჯვა, მაგრამ ამით მხოლოდ ანგარიში შეიცვალა - 4:3. ხსენებულთა გარდა გამარჯვებული „ქარელი I"-ის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: **ვაჟა მარჯანიძე, ნიკა კაკაშვილი, ზ[illegible]ად ბერუაშვილი, ნიკა სიდამონიძე, გაგა პოლიტაშვილი.**

შეჯიბრება ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების მიერ იყო ორგანიზებული. საპრიზო თანხაც მათ დააწესეს. გამარჯვებულმა გუნდმა მიიღო 300, ფინალისტმა - 200, მესამე პრიზიორმა 100 ლარი. პირველობას ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **გელა ბერუაშვილი** ესწრებოდა, რომელმაც გვაცნობა, რომ მომდევნო კვირას სამი დიდი შეჯიბრება გაიმართება ფედერაციის ორგანიზებით. 19 სექტემბერს სოფელ ხოვლეში (კასპის რ-ნი), 21 - ში - წნორში, ხოლო 22-ში - კაკაბეთში.

**ვასილ ბალახაძე**
ბებნისიდან

წყალბურთი

# მე-13 ადგილს დასჯერდნენ

წლეულს გაზაფხულზე 1996-1997 წლებში დაბადებულ წყალბურთელ ვაჟთა ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ნაკრებმა შესარჩევ B ჯგუფს თბილისში უმასპინძლა. სამი შეხვედრა მოიგო (მოლდოვასთან 16:6, სლოვაკეთთან - 13:6, ჰოლანდიასთან - 10:9) და ერთი ფრედ (გერმანიასთან - 7:7) დაამთავრა, ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებაც მოიპოვა.

სერბი სპეციალისტის იოვან პოპოვიჩის შეგირდებმა 8-15 სექტემბერს მალტაში დასკვნით რაუნდში მოსინჯეს ძალები. ჩვენს ბიჭებს (**ლუკა ჯანჯღავა, ლევან მოსაშვილი, რევაზ იმნაიშვილი, მამუკა თუხარელი, ბექა ჭოლოკავა, ზურაბ ჩიკვაიძე, ირაკლი რაზმაძე, გიორგი ზაქარეიშვილი, ხვიჩა ჯახაია, ანდრია ბითაძე, გიორგი მაგრაქველიძე, გიორგი გაბადაძე, დავით რევია**) წილისყრამ D ჯგუფში ძლიერი მეტოქეები არგუნა. პირველ მატჩში გერმანელებთან 9:11 დამარცხდნენ, უნგრელებთან 5:9 დათმეს შეხვედრა, ხოლო იტალიელებთან 10:19 წააგეს. საბოლოდ ჯგუფში მე-4 ადგილზე გავიდნენ და მხოლოდ მეცამეტე-მეთექვსმეტე ადგილებისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს. იქ კი ჯერ მალტას აჯობეს 11:6, ხოლო მე-13 ადგილისთვის პაექრობაში უკრაინელები დაჯაბნეს 12:8.

რაც შეეხება მედლებისთვის ბრძოლას, ნახევარფინალში ჩერნოგორიამ დაძაბულ შეხვედრაში იტალიას სძლია - 6:5, უნგრეთმა სერბეთთან წააგო - 10:12, ფინალში ჩერნოგორიელებმა სერბებსაც აჯობეს 7:5 და ოქროს მედლები მოიპოვეს. მესამე ადგილზე იტალიელები გავიდნენ, რომლებმაც ბრინჯაოსთვის პაექრობაში უნგრეთს სძლიეს - 10:9.

**ვაჟა დანელია**



სუმო. აკი ბაშო. 15-29 სექტემბერი

# გაგამარუს ფეხი დაუცდა

სექტემბრის ბაშოზე კვლავ დამარცხდა მე-9 მაეგაშირა **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)**. 203-კილოგრამიანი ქართველის მეტოქე **იოშიკაძე** იყო.

გაგამარუმ შეუტია და შეტევისას ფეხი დაუცდა დოჰიოზე.

მესამე დღეს ჩვენებურის მეტოქე **ფუჯიაზუმაა**, რომელსაც აქამდე 4-ჯერ შეხვედრია და 4-ჯერ მოუგო.



**II დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): შოჰოზანი-ჰარუმაფუჯი (ოშიდაში), ჰაკუჰო-იკიოი (უვატენაგე), კაკურიუ-ტაკაიასუ (ცუკიოდოში), კოტოშოგიკუ-აოიამა (სუკუინაგე), კოტოოშუ-ტაკარაფუჯი (იორიკირი), კისენოსატო-ტოჩიოძანი (იორიკირი), ოკინოუმი-გოეიდო (სუკუინაგე), იოშიკაძე-**გაგამარუ** (ცუკიოტოში).

**III დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-შოჰოზანი, ჰარუმაფუჯი-იკიოი, კოტოშოგიკუ-ტაკარაფუჯი, კოტოოშუ-ჩიოტაირიუ, კისენოსატო-ოკინოუმი, **გაგამარუ**-ფუჯიაზუმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

თარიღები და მოვლენები

## 17-19 სექტემბერი

**17. 1915.** დაიბადა **ანდრო ნავასარდოვი** - კრივი. გარდაიცვალა 1999 წელს
**17. 1946.** დაიბადა **თემურ ქურციკიძე** - ბ\რ ჭიდაობა
**17. 1968.** დაიბადა **გიორგი დარასელია** - ფეხბურთი
**17. 1980.** თბილისის „დინამომ", თასების თასის გათამაშების 1\16-ფინალის პირველ მატჩი, სალონიკში „კასტორიასთან" 0:0 ითამაშა
**17. 1987.** თბილისის „დინამომ", უეფას თასის 1\32-ფინალის პირველ მატჩში, სოფიაში „ლოკომოტივთან" 1:3 წააგო
**17. 1988.** სეულში ოცდამეთოთხმეტე ოლიმპიური თამაშები გაიხსნა. ქართველთაგან ჩემპიონები გახდნენ: ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა), დავით გობეჯიშვილი (თ\ ჭიდაობა), ვლადიმერ აფციაური (ფარიკაობა), გელა კეტაშვილი (ფეხბურთი) და ვლადიმერ გოგოლაძე (სპორტული ტანვარჯიში)
**17. 2006.** პარიზში, მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე ძიუდოში საქართველოს ნაკრებმა ისტორიაში პირველად მოიპოვა მსოფლიოს საუკეთესო გუნდის ტიტული
**17. 2007.** ბაქოში ბ\რ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა **დავით ბედინაძე** (60 კგ)
**18. 1969.** დაიბადა **ბახვა თედეევი** - ფეხბურთი
**19. 1973.** თბილისის „დინამომ", უეფას თასის 1\32-ფინალის პირველ მატჩში სოფიას „სლავიას" 4:1 მოუგო თბილისში.

თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# მსოფლიო დღევანდელის იმედად

## უმედლო დღე

ბუდაპეშტში დაწყებულ მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მედალთან ძალზე ახლოს ვიყავით, მაგრამ საბოლოოდ მაინც ჯილდოს გარეშე დავრჩით და ნუგეშად ორი მეხუთე ადგილი დაგვრჩა, ესეც თუ ნუგეშია. ბრინჯაოსთვის გუნდის დებიუტანტმა **ლევან ქელეხსაშვილმა** (66) და **დავით ქერაშვილმა** (96) იჭიდავეს. ქელეხსაშვილი (როგორც გაირკვა, ის არა **რევაზ მინდორაშვილის** ექსპერიმენტის შედეგი, არამედ ფილას შეცდომა ყოფილა - თავდაპირველად მის ნაცვლად წილისყრის ოქმში **კონსტანტინე ხაბალაშვილი** ეწერა), პირველ სეზონს ატარებს ეროვნულ ნაკრებში და მეხუთე ადგილი თითქოს ურიგო შედეგი არაა, მაგრამ უმედლობა რამდენადაა დამაიმედებელი გამოსვლა, აი, ეს კი საკითხავია. არადა, ამ ბიჭმა იომა, იბრძოლა, სპორტული შემართება და შემტევი ხასიათი, კარგი ფიზიკური მომზადებაც გამოავლინა და ბელარუს **ალექსანდრ კონტოევს** ბოლო წამზე წაგებული შეხვედრაც შემოუტრიალა - 7:5. ეს იმან მოიტანა, რომ მანამ სდია და მოსვენება არ მისცა ბელარუსს, ვიდრე შეცდომა არ დააშვებინა. ეს ამბავი მესამე შეხვედრაში მოხდა, წინა ორში კი იოლად, პირველივე პერიოდში იმარჯვა - ინდოელ **არუნ კუმარს** 8:0 სძლია, ეგვიპტელ **აიად იბრაჰიმ ხალილ იბრაჰიმს** - 8:1. ქელეხსაშვილმა ამას ორი წაგება მიაყოლა - ჯერ ნახევარფინალში სომეხთა მომავალ ჩემპიონ **დავიდ საფარიანთან** (სხვათა შორის, ამან წლეულს დუბლი შეასრულა) დამარცხდა 5:6, ბრინჯაოსთვის ბრძოლა კი რუსთა დებიუტანტ **მაგომედ კურბანალიევთან** 5:7 დათმო.

დამამშვიდებლის ფინალში ვერც ქერაშვილი გახდა რამეს, თუმცა მას ბევრად ძლიერი მეტოქე ჰყავდა - უკრაინელი **პავლო ოლეინიკი**, ვინც წლეულს მარტში თბილისში გახდა ევროპის ჩემპიონი. ჩვენებურმა მხოლოდ ორი ქულის ალება მოახერხა, როცა ჩოქბჯენი დაუხურა და თვითონ გადავიდა ქულაზე. თუმცა ეს ოლეინიკის ერთადერთი შეცდომა აღმოჩნდა, წარმატება კი სწორედ ჩოქბჯენში კარგმა ჭიდაობამ მოუტანა - რამდენჯერმე შედეგიანად დაატრიალა ჩვენებური.

ძირითად ბადეში ქერაშვილიც მომავალ გამარჯვებულთან, ირანელ **რეზა იაზდანისთან** დამარცხდა. ვინც მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი - 2:8. თავიდან ქართველმა მძიმე ბრძოლაში გაიარა აზიის კორეელ პრიზიორ **ჯაე-განგ კიმის** ბარიერი - 2:1, ალბანელ **ეგზონ შალას** კი 12:5 სძლია. დამამშვიდებელში ბელარუს ევროპის პრიზიორ **ივან იანკოუსკისაც** მოუგო - 9:7.

გუშინ ადრეულ ეტაპზე მხოლოდ ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **გიორგი ედიშერაშვილი** (55) გამოგვივარდა, ვისიც ყველაზე მეტად გვეიმედებოდა, თუმცა იქნებ ეს წაგება უფრო მსაჯთა ბრალია. ყოველ შემთხვევაში, რუს **ნარიმან ისრაპილოვისთვის** მიცემული ქულები საეჭვო იყო, თუ სულაც ამას არ ეკუთვნოდა. ეს მესამე ორთაბრძოლაში მოხდა, წინა ორში კი ჩვენებურმა სომეხ **მიჰრან ჯაბურიანს** 6:2, ესპანელ **ლევან მეტრეველი-ვართანოვს** კი 4:1 მოუგო.



გიორგი ედიშერაშვილი უმედლოდ დარჩა

### დღეს იჭიდავებენ

დღეს „ლასლო პაპის“ არენაზე მორიგი ქართული ტრიო გავა და სამივე მედლის მოპოვების უმთავრესი ფავორიტია - **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (60), **დავით მარსაგიშვილი** (84) და **გენო პეტრიაშვილი** (120). ამათგან წილისყრამ შედარებით მარსაგიშვილი „დაჩაგრა“, თუმცა ესეც პირობითად.

ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი ხინჩეგაშვილი ასცდა მთავარ კონკურენტებს - აზერბაიჯანელ, რუს, ირანელ, თურქ, უკრაინელ მეტოქეებს, პუერტო რიკოელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **ფრანკლინ გომესსაც**. გორელი ფალავანი პირველ შეხვედრას პერუელ **აბელ ხერალდ პასტორ ჰერერასთან** გამართავს, მასთან წარმატების შემთხვევაში კი კორეელ **სეუნგ-ჩულ ლეესა** და კუბელ **ალეხანდრო ტაბიერ ვალდესს** შორის მოგებულს დაეჭიდება.

ევროპის ორგზის ჩემპიონს, მსოფლიოსა და ოლიმპიური ბრინჯაოს მედალოსან მარსაგიშვილს პირველ წრეში ქვედა წონებიდან ამონაცვლებული ბულგარელი მსოფლიოს ჩემპიონი **ნიკოლაი პასლარი** ერგო, ამათში გამარჯვებულს კი მომდევნო შეხვედრა ებრაელ **მიხეილ ცოცელაშვილსა** და ამერიკელ **მიხაელ კეიტ გავინს** შორის მოგებულთან ელოდება. ბადის ამავე ნახევარშია რუსი **შამილ კუდიამაგომედოვი**, ირანელი ოლიმპიური ბრინჯაოს პრიზიორი **ესან ნასერ ლაშგარი** და თურქი **სერდარ ბოკეც**. დაგვეთანხმებით, უძნელესი ბადეა, მაგრამ ჩემპიონობა მით უფრო ფასეულია, რაც უფრო რთულ ბრძოლაშია მოპოვებული.

ევროპის მესამე პრიზიორი პეტრიაშვილი მერვედფინალში ინდოელ **ჰიტენდერ ჰიტენდერს** ხვდება, მეოთხედფინალში ამათში გამარჯვებულის მეტოქე კი ბულგარელი **დიმიტარ კუმჩევის**, რუმინელი **დანიელ პარეს ჩინტოანუს** და ბელარუსი **იუსუპ ჯალილოვის** პაექრობაში გაირკვევა. ნახევარფინალში პეტრიაშვილის სავარაუდო მეტოქეთა შორის ყველაზე ცნობილები რუსთა სახელოვანი ვეტერანი, ქვედა წონიდან ამონაცვლებული მსოფლიოს ოთხგზის და ოლიმპიური ჩემპიონი **ჰაჯიმურატ გაცალოვი**, ასევე ქვევიდან ამოსული უზბეკთა მსოფლიოს პრიზიორი **ყურბან ყურბანოვი** და ახალგაზრდა უნგრელი, ევროპის ვიცე-ჩემპიონი **დანიელ ლიგეტი** არიან. თუმცა პეტრიაშვილს ფინალამდე ასცდნენ თურქი ევროპის ჩემპიონი **ტაჰა აკგული** და უკრაინელი ვიცე-ჩემპიონი **ალან ზასეევი**.

**ირაკლი თავაძე**

#### კვარცხლბეკი

**55 კგ.** 1. ჰასან რაჰიმი (ირანი); 2. ამიტ კუმარი (ინდოეთი); 3. სეზარ აკგული (თურქეთი), ნარიმან ისრაპილოვი (რუსეთი); **10. გიორგი ედიშერაშვილი (საქართველო).**

**66 კგ.** 1. დავიდ საფარიანი (სომხეთი); 2. ლივან ლოპეს აზქუი (კუბა); 3. მაგომედ ყურბანალიევი (რუსეთი), მანდაკნარან განზორიგი (მონღოლეთი); **5. ლევან ქელეხსაშვილი (საქართველო).**

**96 კგ.** 1. რეზა იაზდანი (ირანი); 2. ხეტაგ გოზიუმოვი (აზერბაიჯანი); 3. პავლო ოლეინიკი (უკრაინა), ანზორ ბოლტუკაევი (რუსეთი); **5. დავით ქერაშვილი (საქართველო).**

ჭადრაკი

# ორმა მოიგო, ერთი დამარცხდა

ქ. ქოჯაელში (თურქეთი) გუშინ 20-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობის მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართა. **მერი არაბიძემ** შავი ფიგურებით უნგრელ ბარბარა იუჰასს აჯობა, **ანა კუჭავამ** კი ინდოელი შეტი შრიტი დაამარცხა. ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთა პაექრობები კი ასე დასრულდა: ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი) - ჟაო მო (ჩინეთი) 0,5:0,5, აულია მედინა (ინდონეზია) - იუე ვანი (ჩინეთი) 0,5:0,5, ალინა კაშლინსკაია (რუსეთი) - ჟანსაია აბდუმალიკი (ყაზახეთი) 1:0, ანდრეა როდრიგესი (კოლუმბია) - დეიზი კორი (პერუ) 0,5:0,5, ირინა ბულმაგა (რუმინეთი) - ჰუნგ ნგუენი (ვიეტნამი) 1:0, მონიშა (ინდოეთი) - სარასადათ ხადემალშარი (ირანი) 1:0, დინარა სადუაკასოვა (ყაზახეთი) - დანიტ სტეცკო (ბელარუსი) 1:0.

ვაჟებში სამი ტურის შემდეგ ზურაბ ჯავახაძეს 2,5 ქულა ჰქონდა, მაგრამ გუშინ თეთრი ფიგურებით სატოშ ვიდითთან (ინდოეთი) დამარცხდა და ლიდერებს ჩამორჩა. უდანაკარგოდ მხოლოდ ჩინელი იუ იანი მეწინავეობს, რომელმაც გუშინ სალეხ სალემი (არაბთა გაერთიანებული საამიროები) დაჯაბნა. სამქულიანები - იან-კრიშტოფ დუდა (პოლონეთი) და ალექსანდრ იპატოვი (თურქეთი) დაზავდნენ.

დღეს მე-5 ტურის შეხვედრებია.

## ფინიშამდე ტურით ადრე

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დღეს დამთავრდება ნონას თასის გათამაშება. გუშინ მე-8 ტურში ლიდერთა 10 პარტიიდან 8 შედეგიანად დასრულდა: ტიგრან პეტროსიანი (სომხეთი) - **ლევან ფანცულაია** 0:1, გიგა ყუფარაძე - ლუკა პაიჭაძე 0:1, ოლეგ კორნეევი (ესპანეთი) - **დავით მალალაშვილი** 1:0, **მერაბ გაგუნაშვილი - შოთა აზალაძე** 0,5:0,5, **მაია ლომინეიშვილი - ლელა ჯავახიშვილი** 0,5:0,5, **ნინო ხურციძე - პარმენ გელაზონია** 1:0.

8 ტურის შემდეგ 7 ქულით ფანცულაია ერთპიროვნულად მეწინავეობს. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან პაიჭაძე და კორნეევი. მოჭადრაკეთა დიდ ჯგუფს 6-6 ქულა აქვს.

## დღეიდან ტაშკენტში

უზბეკეთის დედაქალაქში დღეს საზეიმოდ გაიხსნება და 30 სექტემბერს დასრულდება ფიდეს ქალთა გრან პრის მესამე ეტაპი, რომელშიც 12 უძლიერესი დიდოსტატი იბრძოლებს საპრიზო ადგილებისთვის. ესენი არიან (რეიტინგის მიხედვით): **ჰამფი კონერუ** (ინდოეთი, 2607), **ჟაო სიუე** (ჩინეთი, 2579), **ცზიუ ვენძიუნი** (ჩინეთი, 2535), **კატერინა ლაგნო** (უკრაინა, 2532), **ბელა ხოტენაშვილი** (საქართველო, 2514), **ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი, 2496), **ალექსანდრა კოსტენიუკი** (რუსეთი, 2495), **ჰარიკა დრონავალი** (ინდოეთი, 2475), **ელინა დანიელიანი** (სომხეთი, 2470), **ოლგა გირია** (რუსეთი, 2439), **გულისკან ნახბაევა** (ყაზახეთი, 2307), **ანფისა მუმინოვა** (უზბეკეთი, 2293).

ტურნირის სიძლიერეზე ისიც მეტყველებს, რომ სტეფანოვა და კოსტენიუკი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები არიან, ლაგნომ ევროპის ჩემპიონატებზე ორჯერ გაიმარჯვა, კონერუმ ორჯერ მსოფლიოს პირველობის ფინალურ მატჩში ითამაშა, თანაც დილიჟანში (სომხეთი) გრან პრის მეორე ეტაპი მოიგო, ჟენევაში პირველი რაუნდის გამარჯვებულია ბელა ხოტენაშვილი. ტურნირზე 22 და 27 სექტემბერი დასვენების დღეებია. პირველი ტური 18 სექტემბერს გაიმართება.

**ვაჟა დანელია**



ბელა ხოტენაშვილი



# ანატოლი პევცოვი

კიდევ ერთი ღვაწლმოსილი პიროვნება გამოაკლდა ქართული სპორტის ამაგდარ ვეტერანთა რიგებს. მოსკოვში 83 წლისა გარდაიცვალა საქართველოში 1950-იან წლებში თანამედროვე ხუთჭიდის დაფუძნების პიონერი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ანატოლი პევცოვი.

დაიბადა თბილისში 1930 წლის 24 მაისს. დიდ სპორტში აქვე გადადგა პირველი ნაბიჯები და წარმატებითაც - გახდა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი ცურვაში. მერე ნიჭიერმა ახალგაზრდამ თანამედროვე ხუთჭიდში განაგრძო დაოსტატება და 1955 წელს საქართველოდან გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველი პრიზიორი - მოიპოვა ბრინჯაოს მედალი, გუნდურ პირველობაში კი ვერცხლის მედალი ხვდა წილად ასევე ჩვენში სპორტის ამ რაინდული სახეობის ფუძემდებლებთან, რევაზ მანჯავიძესთან და ივანე მიხაილიცკისთან ერთად. საქართველოს ნაკრებში გამოდიოდა აგრეთვე სსრ კავშირის ხალხთა I და II სპარტაკიადების თანამედროვე ხუთჭიდელთა ტურნირში. აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ, მწვრთნელობაშიც გამოიჩინა თავი, გახდა მაღალი კლასის სპეციალისტი და 1959 წლიდან მოსკოვში მიიწვიეს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს უფროს მწვრთნელად. მერე იყო სამმართველოს უფროსი, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი. კვალიფიციურმა და ალღოიანმა სპეციალისტმა მოამზადა მრავალი მაღალი კლასის სპორტსმენი, მათ შორის საქართველოშიც. წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე იყო. პენსიაზე გავიდა ვიცე-პოლკოვნიკის ჩინით. მიღებული ჰქონდა ორდენები და მედლები. მეუღლე ნომა, ათეული წლები მუშაობდა ნაკრებ გუნდებთან ექიმად, შვილებმა სერგომ და დიმიტრიმ სახელი გაითქვეს საზოგადოებრივ სარბიელზე. დიმიტრი - ცნობილი მსახიობია.

ბრწყინვალე სპეციალისტის და პიროვნების ანატოლი პევცოვის ნათელი ხსოვნა დავიწყებას არასდროს მიეცემა. მისი სახელი და ღვაწლი ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ქართული სპორტის ისტორიაში.

ვალერიან (სულიკო) როგავა
უფროსი თაობის თანამედროვე ხუთჭიდელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ხუთჭიდელი, საქართველოში სპორტის ამ სახეობის ფუძემდებელი, დამსახურებული მწვრთნელი

**ანატოლი პევცოვი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჩოგბურთი

# ძირითად ბადეში ოთხი ქართველი

ბათუმში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) გუშინ საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო შეხვედრები გაიმართა. ქართველთაგან იქიდან ძირითად ბადეში ვერავინ მოხვდა, ამის მიუხედავად, ოთხი ჩვენიანი მაინც ითამაშებს მთავარი პრიზისთვის. ესენი არიან მე-6 ნომრად განთესილი **სოფიო შაფათავა**, „უალდ ქარდით“ მიწვეულები - **მარგალიტა ჩახნაშვილი, სოფიო ქვაცაბაია** და **ეკატერინე გორგოძე**. პირველ წრეში ბოლო სამეულის მეტოქეები იქნებიან, შესაბამისად, ანა ცაია (გერმანია), ილონა კრემენი (უკრაინა, 5) და მარგალიტა ლაზარევა (რუსეთი). ასპარეზობის რეიტინგფავორიტია ალექსანდრა პანოვა (რუსეთი), მეორე ნომრად კი უკრაინელი კატერინა კოზლოვაა განთესილი.

**ვაჟა დანელია**

# ანა მესამე ასეულშია

თბილისელი ჩოგბურთელი **ანა ტატიშვილი** შარშან ოქტომბრისთვის კლასიფიკაციაში 50-ე იყო, ბოლოდროინდელი წარუმატებლობების შემდეგ მას 240 ქულალა შემორჩა და ბოლო ერთ კვირაში 194-დან 227-ე საფეხურზე დაქვეითდა. 19 ადგილით წაიწია წინ **სოფიო შაფათავამ**, რომელსაც 230 ქულით 233-ე ადგილი უკავია. ჩვენიანთაგან რეიტინგში შემდეგ მოდიან: 265 (175). **ოქსანა კალაშნიკოვა** (196), 435 (434). **მარგალიტა ჩახნაშვილი** (85), 558 (581). **ეკატერინე გორგოძე** (52), 643 (606). **სოფიო ქვაცაბაია** (35).

წყვილებში 51-ე ადგილზე დარჩა ოქსანა კალაშნიკოვა (1675 ქულა). მომდევნო ადგილებზე არიან: 88 (103). ანა ტატიშვილი (975), 237 (239). სოფიო შაფათავა (272), 573 (601). სოფიო ქვაცაბაია (65), 586 (5908). ეკატერინე გორგოძე (61), 954 (946). მარგალიტა ჩახნაშვილი (17).

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბარი
ბესიკ ლიპარტელიანი

# კალათბურთის სამყარომ უნდა გადაწყვიტოს!

**ქართული კალათბურთისთვის სექტემბერი უფრო ცხელი აღმოჩნდა, ვიდრე ზაფხულის რომელიმე თვე. ჯერ, საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა და სპეციალისტები აალაპარაკა, შემდეგ გაღვივდა დაპირისპირება კალათბურთის ფედერაციასა და სპორტის სამინისტროს შორის. „ლელო“ წლების განმავლობაში იცავდა სამართლიანობის პრინციპს და ნებისმიერი დაპირისპირებისას საკუთარ ფურცლებს უთმობდა როგორც ერთ, ასევე მეორე მხარეს. ამჯერადაც ასეა, რედაქციაში მოვიწვიეთ კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი ბესიკ ლიპარტელიანი და მისი ვიზავი „კალათბურთელთა კავშირის“ ხელმძღვანელი მიხეილ ახვლედიანი. გაზეთი ტელევიზიისგან იმით განსხვავდება, რომ „საეთერო“ დრო შეზღუდული არა აქვს და ამა თუ იმ მოსაზრების ვრცელი არგუმენტებით გამყარება შესაძლებელია. ფედერაციის პრეზიდენტს საშუალება ჰქონდა დეტალურად აეხსნა, რა გაკეთდა მისი მოღვაწეობის პერიოდში და „კალათბურთელთა“ კავშირის ხელმძღვანელს (რომელიც ახლო მომავალში გვესტუმრება) ასევე ვრცლად შეეძლება ჩამოთვალოს, რა ხარვეზებს ხედავს დღევანდელი ფედერაციის მუშაობაში.
როგორც მოგახსენეთ, საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა 9 სექტემბერს დაასრულა. საინტერესოა, როგორ აფასებს ბესიკ ლიპარტელიანი სლოვენიაში ქართველთა თამაშს.**

## ნაკრები

- ნაკრებმა პირველი მატჩი პოლონეთთან ჩაატარა. გუნდი ფიზიკურადაც კარგად აღმოჩნდა მომზადებული, ფსიქოლოგიურადაც. ამასთან, კალათბურთელებს ესმოდათ, რომ წაგების შემთხვევაში მომდევნო ეტაპზე გასვლა თითქმის შეუძლებელი იყო, იდეალურად ითამაშა და სასურველი შედეგიც მიიღო. მეორე შეხვედრა ხორვატიასთან გვქონდა. მანამდეც ვთქვი, რომ ხორვატია მზარდი გუნდია და ევრობასკეტზე თამაშს თანდათან გააუმჯობესებდა. ასეც მოხდა, გუნდმა ყველაზე ადრე გაინაღდა მეოთხედფინალის საგზური. ხორვატებთან ღირსეულად ვიბრძოლეთ და გამარჯვების დიდი შანსიც გვქონდა, თუმცა ტომიჩის ტყორცნამ ჩვენს კალათბურთელებს შრომა წყალში ჩაუყარა.

**- 9 წამში ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანა რთული იყო. ხომ არ ჯობდა იგორ კოკოშკოვს წუთშესვენებათა ლიმიტი მანამდე არ ამოეწურა?**

- მატჩის დასრულებამდე 38 წამი იყო დარჩენილი, როცა იგორ კოკოშკოვმა ბოლო წუთშესვენება აიღო და ის შეტევა შედეგიანად დავასრულეთ. სირენამდე 14 წამით ადრე ხორვატთა მწვრთნელმა ასევე ბოლო ტაიმ-აუტი აიღო და მეტოქემაც ზუსტად ისროლა. ბოლოსთვის ერთსაც არ დარჩა წუთშესვენების უფლება. ეს იმაზე მიგვითითებს, რომ მეოთხე პერიოდი მეტად დაძაბული იყო. ტაიმაუტი რომ ჰქონოდა, შესაძლოა, იგორ კოკოშკოვს 9-წამიანი შეტევა სხვანაირად დაეგეგმა, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ისევ გიორგი ცინცაძისთვის მიენდო შეტევის დასრულება, რადგან მან შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა და ხორვატებს ცინცაძის შეჩერება გაუჭირდათ.

**- შემდეგი თამაში მასპინძელ სლოვენიასთან გვქონდა.**

- ხორვატიის ნაკრებთან თამაშის შემდეგ ერთი დღე დასვენებისა იყო. ჩვენმა კალათბურთელებმა ენერგიის აღდგენა მოახერხეს და შემიძლია ვთქვა, რომ სლოვენიასთან თამაში მოვიგეთ. საქართველოს ნაკრების წევრებმა ყველაფერი გააკეთეს გამარჯვებისთვის, მაგრამ, მეორე მხრივ, მსაჯებმა არ დაგვანებეს მოგება. ჩეხეთის ნაკრებთან ჩავარდნა გვქონდა, რაც გადაღლილობამ განაპირობა. იქ გამოჩნდა, რომ ხუთი და ექვსი მოთამაშით სასურველ მიზანს ვერ მიაღწევ. მოხდა რაც მოსახდენი იყო, მოიგო ნაკრებმა, რომელიც იმ დღეს უკეთესად გამოიყურებოდა. ჩეხეთთან შეხვედრის შემდეგ მომდევნო ეტაპზე თამაშის შანსი დავკარგეთ. ესპანეთის ნაკრებთან ჩვენმა მწვრთნელმა თამაშის საშუალება ახალგაზრდებსაც მისცა და მათ დიდი გამოცდილება მიიღეს.

**- გუნდის გამოსვლით კმაყოფილი ბრძანდებით?**

- წინა წლებთან შედარებით აშკარად გამოჩნდა, რომ გუნდს ნებისმიერი მეტოქის წინააღმდეგ შეუძლია მაღალ დონეზე თამაში. ხორვატიასა და სლოვენიას თანაბრად „ვეჭიდავეთ“, რაც იმას ნიშნავს, რომ უკვე მათ დონეზე ვართ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევრობასკეტზე ორი ლიდერის ზაზა ფაჩულიასა და თორნიკე შენგელიას გარეშე ვითამაშეთ. მათი არყოფნა არათუ საქართველოს, ნებისმიერ ევროულ გუნდს დაეტყობოდა. საერთო ჯამში შედეგით კმაყოფილი არა ვარ, მაგრამ გუნდის მონდომებით და შემართებით ნამდვილად კმაყოფილი ვარ. მათ მაქსიმუმი გაიღეს.

**- იგორ კოკოშკოვს კონტრაქტის ვადა ამოეწურა. მისი დარჩენა-არდარჩენის ამბავი ბევრს აინტერესებს.**

- ჯერ უნდა ჩატარდეს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები და ვინც ფედერაციაში მოვა, ის გადაწყვეტს ამ საკითხს.

**- დამშვიდობების წინ, იგორ კოკოშკოვმა რა გითხრათ, ეტყობოდა, რომ კიდევ სურს ჩვენს გუნდთან მუშაობა?**

- ვთვლი, რომ მისთვის საკმარისი იყო ის ექვსი წელიწადი, რაც საქართველოს ნაკრებში გაატარა. ახლა ალბათ, საჭიროა ახალი მესაჭე.

## არჩევნები

როგორც ბესიკ ლიპარტელიანმა აღნიშნა, გადაწყვეტილი არა აქვს მიიღებს თუ არა ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას. მას სხვა კანდიდატებზე ვკითხეთ.

- მხოლოდ ორი პრეტენდენტი ვიცი, რომლებმაც ღიად გამოაცხადეს სურვილი - მიხეილ ახვლედიანი და ვლადიმერ ბოისა. რაც მეტი გამოჩნდება, კარგია, მაგრამ მთავარია, ღირსეული ადამიანი იყოს, რომელიც სწორად განაგრძობს დაწყებულ საქმეს. ამიტომაც გავაჟღერე, რომ მინისტრი არ უნდა ჩაერიოს საკალათბურთო ოჯახის საქმეებში, არავის უნდა დაუჭიროს მხარი. ფაქტია, რომ მინისტრს მიხეილ ახვლედიანის გაპრეზიდენტება სურს.

**- კონკრეტულად რაში გამოიხატება მინისტრის ერთი კანდიდატისადმი მხარდაჭერა?**

- სამი თვის წინათ მიხეილ ახვლედიანი საკალათბურთო სამყაროს წარმომადგენლებს ეუბნებოდა: ლევან ყიფიანი მხარში რომ მიდგას, ამას დაგანახებთ და პირველი, რასაც გავაკეთებ, ნაკრების მწვრთნელებს კლუბებიდან მოვხსნიო. ასეც მოხდა, „ოლიმპიდან“ გია კაზანჯიანი გაუშვეს, „რუსთავიდან“ - მიშა ბერუაშვილი, „ქუთაისიდან“ - დავით უსტიაშვილი. კოტე ტულუშიც თითქმის მოხსნილი იყო, მაგრამ „არმიას“ ხელმძღვანელობა საქმეში კარგად გაერკვა და კოტე პოსტზე დარჩა. ეს ყველაფერი კი წინასაარჩევნოდ გაკეთდა.

**- კიდევ ერთ კანდიდატ ბოისაზე რას იტყვით?**

- კარგია, რომ გამოჩნდა ბოისა, რომელსაც ევროპის უამრავი კლუბი აქვს მოვლილი, დიდი გამოცდილება მოუგროვდა. შეიძლება, როგორც ფუნქციონერს სათანადო გამოცდილება არ ჰქონდეს, მაგრამ მაინც ბევრს სჯობს. მიხეილ ახვლედიანს კალათბურთის დარბაზში არ შემოუხედია, რასაც თავადაც აღიარებს. ხელისუფლება შეიცვალა და ამის შემდეგ მოინდომა შემოსვლა? მეორეც, ლაპარაკობენ, რომ კალათბურთი კვდება, არაფერი გაკეთებულა და ა.შ. მოდით, გავიხსენოთ, რა ჩავიბარე ფედერაციაში მოსვლისას და ახლა რა მდგომარეობაა.

**- გავიხსენოთ. ამის საშუალებას საგაზეთო ფორმატი ნამდვილად გვაძლევს.**

- ჩავიბარე გაპარტახებული ფედერაცია. ელემენტარული პირობები არ იყო დარბაზებში, სადაც ბავშვები, ან უფროსები თამაშობდნენ. 2001 წელს ვერის ბაღის არენა განადგურებული იყო, არც წყალი ჰქონდა, არც გათბობა, არც განათება. ფედერაციის პრეზიდენტად 2001 წლის ნოემბერში ამირჩიეს და 2002 წლის იანვარში, უმაღლესი ლიგის მეორე ტური უკვე ვერის ბაღის დარბაზში ჩავატარეთ - დარბაზი მოვაწესრიგეთ. ყველაზე დიდი პრობლემა ბავშვთა კალათბურთი იყო. შეჯიბრებები ტურების სახით ტარდებოდა და ყველაფერი ერთ თვეში მთავრებოდა. კალათბურთის ფედერაციას ესმოდა: თუ ნაკრებს შედეგი არ ექნებოდა, სახელმწიფოსგან მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონოდა. სადღეისოდ ზოგიერთი სპორტის სახეობა მეტად რთულ მდგომარეობაშია. შესაძლოა, ჩვენც ასეთივე სიტუაციაში აღმოვჩენილიყავით. ფედერაციაში რომ მოვედი, ნაკრები არ არსებობდა, გუნდმა ერთი ციკლი მთლიანად გამოტოვა. ჩამოვიყვანეთ უცხოელი მწვრთნელი, დავიმატეთ ლეგიონერი და მიუხედავად იმისა, რომ დღემდე რამდენიმე ნატურალიზებული კალათბურთელი და მწვრთნელი შეიცვალა, ყველამ თავისი წვლილი შეიტანა გუნდის წინსვლაში. მეორე დივიზიონიდან პირველში გადავედით, შემდეგ ევროპის ჩემპიონატის საგზური მოვიპოვეთ და დღეისთვის ჩვენს აქტივში უკვე ორი ევროპის ჩემპიონატია.

**- ბავშვთა კალათბურთში რა გაკეთდა?**

- დავიწყოთ იქიდან, რომ ნაკრების წარმატებამ გაზარდა კალათბურთისადმი ინტერესი და მეცადინეობის მსურველი ბავშვების რაოდენობამაც საგრძნობლად მოიმატა. სწორედ ამან მოგვცა საშუალება, გაგვეზარდა ასაკობრივი ჩემპიონატების ფორმატი, შეჯიბრებები ერთ თვეში კი არ დაგვემთავრებინა, არამედ ათ თვეზე გაგვენაწილებინა, ისე, როგორც უცხოეთშია. ვატარებთ ჩემპიონატებს არა სამ, არამედ ხუთ ასაკში და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაფერი უკვე გამართულად მუშაობს. თამაშობენ კარგ დარბაზში, ფიქსირდება სტატისტიკური მონაცემები, ყოველ შეჯიბრებას თავისი ინტერნეტ-გვერდი აქვს... ეს მეტად შრომატევადი საქმე იყო, ჩემთან ერთად ამაზე მთელი გუნდი მუშაობდა და ვფიქრობ, ძალიან რთული გზა გავიარეთ, რომელსაც კიდევ სჭირდება განახლება. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ მოვა ფედერაციაში, დაწყებულ საქმეს კარგად გაგრძელება სჭირდება.

**- დიდი პრობლემაა ბავშვების სწორი მიმართულებით აღზრდა. მასობრივად ვხვდებით ახალგაზრდებს, რომელთაგან ზოგი მარცხენა ხელით ვერ ისვრის, ზოგი ბურთს ვერ ატარებს და ა.შ. ამ მიმართულებით თუ შეეძლო ფედერაციას მწვრთნელებთან ემუშავა?**

- არც ერთი კლუბის თუ სკოლის საქმიანობაში ჩარევის უფლება არა გვაქვს. ერთადერთი, რაც ფედერაციას შეუძლია, ეს არის რეკომენდაცია. ამ მხრივ ვმუშაობდით. უცხოეთიდან ჩამოგვყავდა სპეციალისტები, რომლებიც ატარებდნენ სემინარებს. მაგრამ სამწუხაროდ, ბევრი ჩვენი მწვრთნელის მენტალიტეტი ისეა მოწყობილი, რომ სემინარი, ვთქვათ 90 მწვრთნელით იწყებოდა, მეორე დღეს მათი რიცხვი ჩამოდიოდა 50-ზე, მესამე დღეს 15-მდე მცირდებოდა. ამბობდნენ, უცხოელმა ჩვენ რა უნდა გვასწავლოსო. არადა, კალათბურთი მუდმივად ვითარდება და ფეხის აწყობაა საჭირო. პარალელი შეიძლება მსაჯობასთან გავავლოთ. ხუთი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გვყავს. ისინი მუდმივად დადიან სემინარებზე და ყოველწლიურად ახალ-ახალი ცვლილებები ჩამოაქვთ. ანალოგიური სიტუაცია მწვრთნელებზე გვინდოდა, მაგრამ არ გამოვიდა. საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებები სხვადასხვა დროს ჩამოვაყალიბეთ. ჯერ 20 და 16-წლამდელები გავიდნენ ევროპის შესარჩევზე, შემდეგ 18-წლამდელები. თავიდან ყოველ ნაკრებში ერთი-ორი მწვრთნელი გვყავდა, ახლა სამი-ოთხია. სადღეისოდ 16-დან ეროვნული ნაკრების ჩათვლით თორმეტი მწვრთნელი გვყავს, რომლებიც საერთაშორისო ასპარეზზე ღირებულ გამოცდილებას იღებენ.

**- საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში მწვრთნელები იშვიათად იცვლებოდა...**

- შეიძლება ამ საკითხში დაეთანხმო, ან არ დაეთანხმო. სამწუხაროდ, არა გვაქვს ფუფუნება ყოველწლიურად ავარჩიოთ და ახალ-ახალი მწვრთნელები მოვიყვანოთ. ამა თუ იმ ასაკობრივ ნაკრებში ხელმძღვანელები ერთი წლით ადრე ინიშნებიან, რომ მთელი სეზონის განმავლობაში იმუშაონ, არჩიონ და ავარჯიშონ ის კონტინგენტი, რომელსაც საერთაშორისო ასპარეზზე უნდა დაეყრდნონ. მწვრთნელთა როტაცია იყო, მაგრამ, ალბათ, შეიძლებოდა სხვებიც დანიშნულიყვნენ. მაგრამ კატასტროფაც არ მომხდარა. იყო შედეგიც: კადეტები ერთხელ გავიდნენ ევროპის ჩემპიონატზე, ხოლო ახალგაზრდები - ორჯერ. დასანანი ის არის, რომ ვერ ხედავენ რა გაკეთდა. შეიძლება იმაზე უკეთესად უნდა გამოსულიყო, ვიდრე შესრულდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არაფერი გაკეთებულა.



**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# საუკეთესო შვიდეული



საქართველოს სარაგბო ჩემპიონატში მეორე ტურის მატჩებიც მიილია. გასულ უქმეებზე გამართულ შეხვედრებში სტადიონზე მისულმა გულშემატკივარმა ყველა ის სარაგბო ასპექტი იხილა, რისთვისაც ასე უყვართ მათ სპორტის ეს სახეობა: თავდაუზოგავი ბრძოლა, დრამატიზმში გადაზრდილი მატჩის ბოლო წუთები, შესანიშნავად გათამაშებული კომბინაციები და ლელოები, აგრესიული დაცვის დემონსტრირება და მწვრთნელთა მიერ შემუშავებულ ტაქტიკურ მონახაზთა ჭიდილი. გთავაზობთ გასული ტურის 7 ყველაზე გამორჩეულ მოვლენას.

## 1. რაგბის ზეიმი რუსთავში

რუსთავის „ხარებს" 23-წლიანი სარაგბო ტრადიცია გააჩნია და ამ დროის განმავლობაში მათ ეროვნულ ჩემპიონატში თითოჯერ ყველა სინჯის მედლის მოგება მოახერხეს: 1993 წელს - ოქრო, 1994 - ვერცხლი, 1997 - ბრინჯაო. კლუბს თავის არსებობის ისტორიაში არაერთი მსოფლიო დონის მორაგბე აღუზრდია, რომელთაც წარმატებით გაუტანიათ საქართველოს სახელი საზღვრებს გარეთ. გუნდმა არაერთგზის გამოიარა ძნელბედობის პერიოდი, სამწვრთნელო შტაბს და მოთამაშეებს დიდი ხნის განმავლობაში არ გააჩნდათ ვარჯიშისა და თამაშის ელემენტარული პირობები, თუმცა რაგბის სიყვარულით ანთებული თაობა ჯიუტად მიიწევდა წინ - წარმატებისკენ. 2009 წელს რუსთაველები დიდხნიანი პაუზის შემდეგ კვლავ დაბრუნდნენ უმაღლეს ლიგაში და მეოთხე წელიწადია სტაბილურად ინარჩუნებენ ადგილს უძლიერესთა შორის.

რაგბის კავშირის დაუღალავი შრომისა და მთავრობის ხელშეწყობით წლევულს რუსთავში უმაღლესი დონის სარაგბო ბაზის მშენებლობა დასრულდა და „ხარებმაც" ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩში „არმიას" საკუთარ სტადიონზე უმასპინძლეს. შეხვედრას ესწრებოდნენ ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, საფეხბურთო და საკალათბურთო გუნდის წევრები, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს რაგბის პოპულარობას რუსთავში.

## 2. არმიელთა 8 წუთი

რუსთავის „ხარებისა" და „არმიის" მატჩში პირველი წუთებიდანვე უშელავათო ბრძოლა გაჩაღდა. თავდაპირველად სტუმრები დაწინაურდნენ ადრიანი ლელოთი, თუმცა მასპინძლებმა დროულად მოახერხეს კონცენტრაცია და 24-ე წუთისთვის უკვე თვითონ გავიდნენ წინ - 11:10. „არმიის" მთავარმა მწვრთნელმა **ნიკო ჭავჭავაძემ** შექმნილი ვითარებიდან დროული დასკვნები გამოიტანა და საკუთარი გუნდის ტაქტიკა გადააწყო - „არმიამ" თამაში გაშალა და შეტევაში ძირითადი აქცენტი უკანახაზელ მოთამაშეებზე გააკეთა - შედეგმაც არ დააყოვნა: პირველი ტაიმის დასრულებამდე 8 წუთით ადრე გარემარბმა **რატი ნუცუბიძემ** დაალელოვა მეტოქე, სამიოდე წუთში იგივე შუამარბმა **ვანო გაბროშვილმა** შეძლო, ხოლო ბოლო წამებზე **გიორგი შკინინის** ლელოთი სტუმრებმა საბოლოოდ გატეხეს მეტოქე - 31:11.

## 3. სანახაობა „შევარდენზე"

კვირას „შევარდენის" სარაგბო ბაზაზე მისულ გულშემატკივარს ნამდვილად არ უნანია: მათ უმაღლესი დონის მატჩი იხილეს „ჯიქებისა" და „ბოლნისის ყოჩების" შესრულებით. ორივე გუნდი უკომპლექსო, სანახაობრივ რაგბის თამაშობს და საბოლოოდ დაფიქსირებული შედეგიც ალბათ კანონზომიერია. თავდაპირველად **გიორგი ამირხანაშვილის** დამოძღვრილმა „ჯიქებმა" მოიპოვეს უპირატესობა და პირველ ტაიმში 16:5 დაწინაურდნენ, თუმცა ბოლო წუთზე ბორჯღალოსან **გიორგი ბეგაძისგან** დასანანი ლელო გაუშვეს და მატჩის პირველი ნახევარიც 16:12 დასრულდა. მეორე ტაიმი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, ორივე გუნდს შეეძლო გამარჯვება, 79-ე წუთზე **თემო სოხაძის** ფეხჩუბინობის წყალობით ბოლნისელები 3-ქულიანი სხვაობით გავიდნენ წინ - 22:19, თითქოს გამარჯვებაც მათ დარჩებოდათ, თუმცა „ჯიქების" რიგებში ბრწყინვალედ მოასპარეზე **რამაზ ხარაზიშვილმა** მსაჯის მიერ ძირითად დროს დამატებულ მეორე წუთზე ზუსტი საჯარიმო დარტყმით პირადი მონაგარი 22 ქულამდე აიყვანა და საბოლოო ანგარიშად ფრე - 22:22 დაფიქსირა.

## 4. მუშტი-კრივი

„აკადემიისა" და „ლელოს" თბილისური დერბი ყოველთვის გამოირჩეოდა დაძაბულობით და ემოციებიც ჭარბობდა ხოლმე, მაგრამ რაც მეორე ტურის მატჩში მოხდა, ეს ყველანაირ საზღვრებს სცილდება: მთელი მატჩის განმავლობაში ორივე გუნდის მოთამაშეთა მხრიდან დაფიქსირდა მსაჯთან გაუთავებელი კამათი ამა თუ იმ სადავო სიტუაციაზე, რაც ყოვლად დაუშვებელია. მოთამაშეთა უკმაყოფილება მოგვიანებით რამდენიმე ჩხუბში გადაიზარდა: 45 წუთზე ატეხილ მუშტი-კრივში მსაჯმა „აკადემიელთა" მხრიდან **გიორგი ჩაბრაძე** დაადანაშაულა და გააძევა ყვითელი ბარათით, ხოლო „ლელოდან" **ელგუჯა სურგულაძე**. 20 წუთში ვითარება სტადიონზე კიდევ უფრო დაიმუხტა, მსაჯთან შელაპარაკების გამო აკადემიკოსთა მარბიელმა **დავით ნიბლაძემ** 10-წუთიანი სინბინი მიიღო, სულ მალე კი ხელმეორედ ატყდა გუნდური ჩხუბი, რომელმაც 2 წუთს გასტანა - ამჯერად მთავარი არბიტრი გაცილებით უფრო მკაცრი იყო და წითელი ბარათის გამოყენებით დაითხოვა თამაშიდან **გიორგი ქოპილაშვილი** (აკადემია) და **სანდრო მინდიაშვილი** (ლელო), ხოლო **გიორგი ლომთაძეს** ყვითელი აკმარა.

რაგბი კონტაქტური თამაშია და ხშირია მატჩის დროს გაწევ-გამოწევა, თუმცა ეს ტრადიციად არ უნდა იქცეს. იმედია, მომხდარი უსიამოვნო ფაქტი კონკრეტულად მხოლოდ ამ მატჩის შემადგენელ ნაწილად დარჩება და არა ამ გუნდების გასული სეზონის შეხვედრაში მომხდარი დაპირისპირების ქრონოლოგიურ გაგრძელებად.

## 5. ირაკლი აბუსერიძე ეროვნულ ჩემპიონატში

თბილისის „არმაზი" ყოველწლიურად პროგრესირებს და მიმდინარე სეზონში საპრიზო სამეულში შესვლის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია. ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში გუნდის ხელმძღვანელობამ საკმაოდ იაქტიურა და საფრანგეთის ფედერალ დივიზიონში მოასპარეზე „ოსერიდან"' **ირაკლი აბუსერიძე** დაიმატა. „აბუ" დიდი ხნის განმავლობაში ბორჯღალოსანთა კაპიტანი გახლდათ, კარიერის განმავლობაში მის ანგარიშზე 85 სანაკრებო კეპი და 7 გატანილი ლელოა.

უდიდესი გამოცდილების მქონე ჰავბეკის დებიუტი „არმაზის" რიგებში მეორე ტურის მატჩში შედგა „ლოკომოტივის" წინააღმდეგ. მოლოდინისამებრ, აბუსერიძემ მაღალი დონის რაგბი ითამაშა და დიდი წვლილი შეიტანა რკინიგზელთა დამარცხებაში - 21:7.

## 6. დავით ლოსაბერიძის გადამწყვეტი ლელო

ზღვისპირა ქალაქში გამართული დაპირისპირება „ბათუმსა" და „აიას" შორის უაღრესად დაძაბული გამოდგა. ქუთაისელები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და ანგარიშში წინაც გავიდნენ, თუმცა **ლევან მგელაძის** დამოძღვრილი გუნდი თავის შანსს ელოდებოდა - მატჩის 69 წუთზე სტუმრები 4-ქულიანი ჰანდიკაპით იყვნენ წინ და გამარჯვებულის ბედი ჯერ კიდევ სასწორზე იყო, როდესაც მთავარმა მსაჯმა „აიას" მეორეხაზელი **თორნიკე ძაგნიძე** ყვითელი ბარათით დასაჯა. ეს მასპინძელთათვის რეალური შანსი იყო და ისინი მთელი ძალებით გადავიდნენ შეტევაზე, ქუთათურებმა თავის მხრივ დათმეს პოზიციები და უმძიმესი წუთებისთვის მოემზადნენ, თუმცა მოულოდნელად კაცნაკლულმა „აიამ" გააზრებული კონტრშეტევა წამოიწყო, რომელიც **დავით ლოსაბერიძემ** ლელოთი დაასრულა და მატჩში გამარჯვებულიც გამოვლინდა.

## 7. სატურნირო მდგომარეობა

მეორე ტურის შემდეგ ეროვნული ჩემპიონატის ცხრილის სათავეში სამხელისუფლებიანობაა: **„არმია"**, **„არმაზი"** და **„აია"** 9-9 ქულით ინარჩუნებენ ლიდერობას, 6 მოპოვებული ქულით მეოთხე საფეხურზე იმყოფება **„ბოლნისის ყოჩები"**, ხოლო მეხუთე პოზიციაზე მოქმედი ჩემპიონი თბილისის **„ლელოა"** 5 ქულით. საპლეიოფო ზონაში იმყოფება **„ლოკომოტივი"** - 4ქულა, **„ჯიქები"** და **„ხარები"** თითო-თითო მოპოვებული ქულით მეშვიდე-მერვე ადგილებს იყოფენ, ხოლო **„ბათუმი"** და **„აკადემია"** ჯერჯერობით უპირობო აუტსაიდერები არიან.

ქართული ლეგიონი

# კლერმონი გალიდერდა




პარასკევს, საფრანგეთის ტოპ 14-ის მეექვსე ტურის სასტარტო მატჩში, **გიორგი ჟღენტის** „პერპენიანმა" **მამუკა გორგოძის** და **მიხეილ ნარიშვილის** „მონპელიეს" უმასპინძლა და დამაჯერებელი ანგარიშით - 28:16 დაამარცხა მეტოქე. **ჟღენტი** სასტარტო შემადგენლობაში გახლდათ და 51-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო სტუმრებმა ქართველი ლეგიონერების გარეშე იასპარეზეს - **გორგოძემ** აგვისტოში მიღებული ტრავმა ახლახან მოიშუშა და მსუბუქად ვარჯიშობს, ხოლო **ნარიაშვილს** ფეხის კუნთი აქვს გაწყვეტილი. მატჩი პირველი წუთებიდანვე „პერპენიანის" აშკარა უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ მასპინძლებმა გამარჯვებასთან ერთად მეტოქეზე სამი ლელოთი მეტის გატანისათვის ბონუს ქულაც ირგუნეს.

შაბათს, ტურის ცენტრალურ მატჩში მოქმედი ჩემპიონი „კასტრი" საკუთარ არენაზე ჰეინეკენის თასის მფლობელ „ტულონს" დაუპირისპირდა და მძიმე ბრძოლაში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა - 22:15. შეხვედრის ერთადერთი ლელო 37-ე წუთზე მასპინძელთა ჰუკერმა **ბრის მაჩმა** გაიტანა, მატჩში გადამწყვეტი კი „კასტრის" ძირითადი მგეზავის, სამხრეთ აფრიკელი **დანიელ კოკოტის** ფეხჩუბინობა გამოდგა, რომელმაც პირწმინდად მოუგო პირადი დუელი **ჯონი ვილკინსონს** და საკუთარ გუნდს 17 ქულა შესძინა. ქართული ლეგიონიდან შეხვედრაში მონაწილეობა მხოლოდ მხტომელმა **კონსტანტინე მიქაუტაძემ** მიიღო, რომელიც მე-60 წუთიდან ჩაერთო მატჩში სტუმართა რიგებში, **ჩილაჩავა** განაცხადში არ გახლდათ, ხოლო **ანტონ ფეიქრიშვილი** კვლავ ტრავმირებულია.

„ტულონის" მარცხით მშვენივრად ისარგებლა **დავით ზირაქიშვილის** „კლერმონმა", რომელმაც შინ იოლად 27:13 დაამარცხა „გრენობლი" და სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა 20 ქულით. მოგებულ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია ქართველ ბურჯს, რომელიც ჯერჯერობით ტრავმას იშუშებს, შეხვედრის გმირი კი მასპინძელთა მარბიელი **დამიენ ჩული** გახდა, რომლის ანგარიშზეც 2 გატანილი ლელოა.

18 ქულით ლიდერთა სამეულში იმყოფება **ზურაბ ჟვანიასა** და **დავით ქუბრიაშვილის** „სტად ფრანსე". მათ გასულ ტურში უმაღლეს დივიზიონში ახლად ალზევებული, **კარლენ ასეიშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „ბრივი" დაამარცხეს - 25:18. სასტარტო შემადგენლობაში გახლდათ **ქუბრიაშვილი**, რომელმაც 66 წუთი დაყო მინდორზე, ხოლო სტუმართა რიგებიდან **ასეიშვილი** თამაშში 56-ე წუთიდან ჩაერთო. მატჩში გადამწყვეტი ფაქტორი „სტად ფრანსეს" ფულბეკის **ჯერომ პორიკალის** კარგი თამაში გახდა, რომელმაც საკუთარ კლუბს ერთბაშად 20 ქულა მოუტანა.

**ჯაბა ბრეგვაძის** და **ვასილ კაკოვინის** ტრავმების მიუხედავად საფრანგეთის ჩემპიონატის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა „ტულუზამ" იოლად დაამარცხა საკუთარ არენაზე ქართული ფესვების მქონე **დიმიტრი იაშვილის** „ბიარიცი" - 31:7 და 16 ქულით სატურნირო ცხრილში მეექვსე პოზიციაზე დამკვიდრდა. მასპინძლებმა პირველივე ტაიმში სოლიდური, 21-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს და მატჩის მეორე ნახევარში უპრებლემოდ დაიბევეს ბონუს ქულაც.

**ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდომ" 35:10 გაანადგურა „იონაქსი" და სატურნირო ცხრილში მეათე ადგილი მეცხრეზე გადაუცვალა მეტოქეს. ქართველი ლეგიონერი განაცხადში არ გახლდათ.

ტურის დასკვნით მატჩში **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგ 92"-მა უაღესად დაძაბულ ბრძოლაში სტუმრად 19:16 დაამარცხა „ბაიონა" და სატურნირო ცხრილში 16 ქულით მეოთხე საფეხურზე დამკვიდრდა. ქართველი ბურჯი ძირითად შემადგენლობაში გახლდათ და 71-ე წუთზე შეცვალეს.

საფრანგეთის ჩემპიონატის მეშვიდე ტურის მატჩები 20-21 სექტემბერს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გიორგი ბარბაქაძემ**

ევრობასკეტი 2013
წარმოგიდგენთ
europe-bet.com

# ოვერტაიმების დღე

**სლოვენიაში მიმდინარე ევრობასკეტზე პლეი ოფების დრო მოვიდა. დასრულდა მეორე ჯგუფური ეტაპი და დაკომპლექტდა მეოთხედფინალური წყვილები. გუშინდელი დღის პირველი მატჩი ცენტრალური იყო - საბერძნეთს აუცილებლად უნდა დაემარცხებინა ხორვატია იმისთვის, რომ პლეი ოფში გასვლის მინიმალური შანსი შეენარჩუნებინა. შედეგად, ვიხილეთ ამ ევრობასკეტის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი...**

## F ჯგუფი

**ხორვატია 92 (2ო)**
16:17, 20:17, 15:16, 19:20, 7:7, 15:11
**საბერძნეთი 88**

ხ: ბოგდანოვიჩი (22), ტომიჩი (15+12 მოხსნა), უკიჩი (14+5 მოხსნა+5 პასი), დრეიპერი (13).
ს: ბურუსისი (21+9 მოხსნა), სპანულისი (18), ზისისი (14+5 პასი), კაიმაკოგლუ (14).
**ორქულიანები:** 30/58 (51,7%) - 20/47 (42,6%)
**სამქულიანები:** 7/22 (31,8%) - 6/27 (22,2%)
**საჯარიმოები:** 11/17 (64,7%) - 30/35 (85,7%)
**მოხსნები:** 54-42. **პასები:** 13-13. **შეცდომები:** 18-9.

**გადამწყვეტი მომენტი:** როცა **ზისისმა** მეორე ოვერტაიმის დასრულებამდე 19 წამით ადრე ორქულიანი ააცილა, ბერძნებმა ჯარიმა აილეს **ბოგდან ბოგდანოვიჩზე**, რომელმაც ორივე საჯარიმო ჩააგდო და ხორვატების უპირატესობა 17 წამით ადრე ოთხი ქულა გახდა - 90:86.

**მატჩის გმირი:** ბოგდანოვიჩმა მხოლოდ ცხრა ქულა დააგროვა ძირითად დროში, სამაგიეროდ, პირველი ოვერტაიმის დასრულებამდე 25 წამით ადრე სამქულიანი ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა – 77:77, მეორე დამატებით დროში კი რვა ქულის მოგროვება შეძლო.

**სტატისტიკა არ ტყუის:** ხორვატიამ მეტოქეზე ორჯერ მეტი – 18 შეცდომა დაუშვა, აქედან 17 ძირითად დროზე მოდის. სამაგიეროდ, ამ გუნდმა დაჯაბნა საბერძნეთი ფარქვეშ ბრძოლაში (54:42) და დაცვაშიც შესანიშნავად ითამაშა, როცა მეტოქეს მხოლოდ 35.1 პროცენტის სიზუსტით ასროლინა.

ცენტრალურ მატჩში თავიდანვე დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა და გუნდები ერთმანეთს წინ არ უშვებდნენ. ბერძნების რიგებში **ბურუსისი** გამოირჩეოდა, ხორვატები კი აქცენტს სამქულიანებზე აკეთებდნენ, თუმცა, ამჯერად, ეს საქმე ბოლომდე კარგად არ გამოსდიოდათ. სწორედ ამ მიზეზით პირველი მეოთხედი ბერძნებმა ერთი ქულით მოიგეს.

მეორე მეოთხედში საინტერესო დუელი მოაწყვეს **დონტეი დრეიპერმა** და ბერძნების ღრმა რეზერვისტმა **ვასილის კავადასმა.** ეს უკანასკნელი შესანიშნავად მოქმედებდა ფარქვეშ, დრეიპერი კი ყველა სროლას ათავსებდა კალათში. ხოლო, როცა მოედანზე სასტარტო მოთამაშეები დაბრუნდნენ, საბერძნეთმა **სპანულისისა** და **კაიმაკოგლუს** დახმარებით გაქცევა სცადა, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლო წუთები უკეთ ხორვატიას გამოუვიდა და მან დიდი შესვენებისთვის ორქულიანი უპირატესობა მოიპოვა.

დაიწყო მეორე ტაიმი და გააქტიურდა **ანტე ტომიჩი,** რომელიც სამწამიანში ჯობნიდა ბურუსისს. ძირითადად მისი წყალობით, ხორვატია ყველაზე დიდი სხვაობით გავიდა წინ - ექვსი ქულით დაწინაურდა. ამ დროს, საკუთარ თავზე აილო თამაში ბოლო ორი ევროლიგის საუკეთესო მოთამაშემ სპანულისმა, რომელიც მუდმივად გამწვავებაზე მიდიოდა, მეტოქეს დაჯარიმებას აიძულებდა და საჯარიმოს ხაზიდან არ ცდებოდა. თუმცა ბოლო მეოთხედის წინ დაწინაურებული მაინც ხორვატია იყო, ოღონდ მინიმალური სხვაობით.

ქულა ქულაში თამაში მეოთხე მეოთხედში გაგრძელდა, მაგრამ ძირითად დროში მაინც უფრო ახლოს გამარჯვებასთან ხორვატია იყო - ბოგდანოვიჩმა და **უკიჩმა** სირენამდე წუთნახევრით ადრე ოთხქულიანი უპირატესობა მოუტანეს თავის გუნდს. როცა დასასრულამდე 21 წამი რჩებოდა, ხორვატები სამი ქულით იგებდნენ. ამ უმძიმეს მდგომარეობაში საბერძნეთი გადაარჩინა ზისისმა, რომელიც მთელი მატჩი "ჩუმად" იყო. მან რთული სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა. ხორვატებს ჰქონდათ დრო საბოლოოდ წინ გასასვლელად, მაგრამ უკიჩმა შორიდან ნასროლი მიზანს ააცილა - 70:70.

პირველი ოვერტაიმი ბერძნების უპირატესობით წარიმართა და ახლა უკვე ხორვატიას მოუწია მატჩის გადარჩენაზე ზრუნვა და როგორც ზემოთ გითხარით, ზუსტი სამქულიანით მეორე დამატებით დროში გადაიყვანა შეხვედრა ბოგდანოვიჩმა. ბოლო შეტევა ბერძნებმა გააფუჭეს - ამჯერად, ზისისმა ფარქვეშიდან ვერ ჩააგდო.

ბოგდანოვიჩის გმირული თამაშის წყალობით, მეორე ოვერტაიმის შუაში ხორვატია 7 ქულით გავიდა წინ, მაგრამ ამით მატჩი არ დასრულებულა. ზისისს წუთნახევარი ეყო ანგარიშის გასათანაბრებლად - მიზანს მიაღწია სამქულიანმა და ორმა ორქულიანმა. ხორვატთა დამრიგებელმა ბოლო ტაიმ-აუტი აიღო და მის მიერ დაგეგმილი კომბინაცია დრეიპერის ორქულიანით დასრულდა, საპასახო შეტევაში კი ზისისმა ვერ იყოჩაღა.

ხორვატიამ პირველი ადგილი დაიკავა ურთულეს ჯგუფში და მეოთხედფინალში ყველაზე იოლ მეტოქეზე - უკრაინაზე გავიდა, საბერძნეთმა კი სამარცხვინოდ დაასრულა ევრობასკეტი და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის გარეშე დარჩა.



ესპანეთს გასოლის 32 ქულამ ვერ უშველა

**იტალია 86 (ო)**
24:12, 13:25, 8:19, 25:14, 16:11
**ესპანეთი 81**

ი: ჯენტილე (25+7 მოხსნა), არადორი (17), ბელინელი (16+8 მოხსნა), დატომე (11), კუზინი (4+11 მოხსნა+3 დაფარება).
ე: მ. გასოლი (32+10 მოხსნა), როდრიგესი (18+6 პასი).
**ორქულიანები:** 24/41 (58,5%) - 27/52 (51,9%)
**სამქულიანები:** 6/26 (23,1%) - 5/25 (20,0%)
**საჯარიმოები:** 20/26 (76,9%) - 12/20 (60,0%)
**მოხსნები:** 48-38. **პასები:** 9-12. **შეცდომები:** 17-9.

**გადამწყვეტი მომენტი:** **ლუიჯი დატომემ** ძირითადი დროის ბოლო წამებზე ზუსტი ორქულიანით ოვერტაიმში გადაიყვანა შეხვედრა. დამატებით დროში კი **ალესანდრო ჯენტილეს** მონდომებით, იტალია 8:0 გაიქცა და კომფორტული უპირატესობა მოიპოვა, რომელიც ბოლომდე ხელიდან აღარ გაუშვა - 80:72. ბოლოს ასეთი დიდი სხვაობა მატჩში მეორე მეოთხედში დაფიქსირდა, მას შემდეგ კი ქულა ქულაში თამაში მიდიოდა.

**მატჩის გმირი:** **პიეტრო არადორიმ** ძირითადი დროის ბოლო შვიდ წუთში ცხრა ქულა ჩააგდო და დიდი როლი ითამაშა ჩამორჩენის გაბათილებაში, მაგრამ ასევე იმსახურებს გმირის სტატუსს მატჩის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე ჯენტილე, რომელმაც 25 ქულა მიითვალა და 11-დან 11 საჯარიმო მოათავსა კალათში. და, რა თქმა უნდა, აუცილებლად აღსანიშნავია **მარკ გასოლის** გმირობა. მან საერთაშორისო დონეზე პირადი რეკორდი დაამყარა - 32 ქულა ჩააგდო, რასაც 10 მოხსნაც დაუმატა.

**სტატისტიკა არ ტყუის:** იტალია საშუალოდ ყველაზე დაბალი გუნდია ევრობასკეტზე, მაგრამ მაინც აჯობა მოხსნებში მეტოქეს - 48:28. შთამბეჭდავი იყო ორქულიანების გამოყენების პროცენტი - 58.5.

**ფინეთი 92**
22:26, 20:16, 29:14, 21:20
**სლოვენია 76**

ფ: ლი (17+6 მოხსნა), სალინი (16+5 მოხსნა), კოივისტო (16), კოპონენი (14+6 პასი), აჰონენი (11).
ს: ნახბარი (15+5 მოხსნა), ბალაჟიჩი (14).
**ორქულიანები:** 19/30 (63,3%) - 19/38 (50,0%)
**სამქულიანები:** 17/32 (53.1%) - 8/20 (40,0%)
**საჯარიმოები:** 3/8 (37.5%) - 14/23 (60,9%)
**მოხსნები:** 32-30. **პასები:** 19-16. **შეცდომები:** 13-11.

**გადამწყვეტი მომენტი:** მასპინძლები მეორე მეოთხედის ბოლოს ხუთი ქულით იყვნენ წინ, მაგრამ ფინეთმა დიდ შესვენებამდე 5:0 გაქცევით გაათანაბრა ანგარიში, მესამე მეოთხედი კი სკანდინაველთა 20:3 სპურტით დაიწყო. ეს ყველაფერი ექვს წუთში მოხდა და დაფიქსირდა მატჩში ყველაზე დიდი სხვაობა - 62:45.

**მატჩის გმირი:** მიკო კოივისტო გადამწყვეტი გაქცევის სულისჩამდგმელი იყო, თუმცა მატჩის გმირი **ჯერალდ ლი** გახლდათ, რომელმაც თამაშიდან რვიდან შვიდი ტყორცნა ჩააგდო და 17 ქულა დააგროვა.

**სტატისტიკა არ ტყუის:** ფინეთმა ფანტასტიკური პროცენტით ისროლა სამქულიანები - საწყისი 23 შორეული ტყორცნიდან 12 მოათავსა კალათში. მიუხედავად სიმაღლეში უპირატესობისა, სლოვენიამ წააგო მოხსნებში: 30:32.

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 5 | 4 | 1 | 372-361 | 9 |
| 2. სლოვენია | 5 | 3 | 2 | 385-379 | 8 |
| 3. იტალია | 5 | 3 | 2 | 374-357 | 8 |
| 4. ესპანეთი | 5 | 2 | 3 | 357-339 | 7 |
| 5. ფინეთი | 5 | 2 | 3 | 341-385 | 7 |
| 6. საბერძნეთი | 5 | 1 | 4 | 381-407 | 6 |

**1/4 ფინალი**

**18 სექტემბერი**
19:45 სერბეთი-ესპანეთი
23:00 სლოვენია-საფრანგეთი

**19 სექტემბერი**
19:45 ხორვატია-უკრაინა
23:00 ლიტვა-იტალია

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| სუონსი-ლივერპული | 2:2 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| პარმა-რომა | 1:3 |

**სერია B**

| | |
|---|---|
| ტერნანა-ბრეშა | 1:2 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ელჩე-ვალიადოლიდი | 0:0 |
| ბილბაო-სელტა | 3:2 |

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| კოტბუსი-კიოლნი | 0:4 |

**რეგიონალლიგა (ბაიერნი)**

| | |
|---|---|
| ფიურტი II-ვიურცბურგერი | 2:2 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ოსერი-ბრესტი | 0:0 |

**ჰოლანდია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ტვენტე II-ემენი | 1:2 |
| პსვ II-ფორტუნა | 0:0 |

**დანია**

| | |
|---|---|
| მიდტიულანდი-ნორდსიელანდი | 2:1 |

**ნორვეგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბოდო გლიმტი-ჰამ კამი | 2:0 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| მალმიო-იურგარდენი | 0:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ლაჰტი-ჰიკ | 0:2 |
| იარო-ჰონკა | 1:3 |
| მარიეჰამნი-მიუპა | 3:2 |
| როვანიემი-იუვიასკიულა | 1:1 |
| ტურკუ-ინტერი | 1:1 |
| ვაასა-კუოპიო | 2:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვიიკინგიტი-კოტკავე | 3:1 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| იანინა-ატრომიტოსი | 1:0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ქასიმფაშა-ფენერბაჩე | 2:3 |

**ირლანდიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| დროგედა-ფინ ჰარპსი | 2:0 |

**კვიპროსი**

| | |
|---|---|
| ერმისი-ალკი | 3:1 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| ბრეიდაბლიკი-ფრამი | 1:2 |
| ჰაფნარი-ვალური | 3:3 |
| ვესტმანაიეარი-სტიარნანი | 1:0 |
| რეიკიავიკი-ფილკირი | 4:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ზნოიმო-სპარტა | 0:2 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ურალი-დინამო | 1:4 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სკა ენერგია-ანგუშტი | 2:1 |
| ენისეი-ნეფტიხიმიკი | 1:0 |
| სიბირი-ალანია | 1:1 |
| გაზოვიკი-უფა | 0:0 |
| მორდოვია-ბალტიკა | 1:0 |
| შინიკი-ხიმიკი | 4:0 |
| ნალჩიკი-როტორი | 1:1 |
| არსენალი-ლუჩ ენერგია | 0:3 |
| ტორპედო-სალუტი | 2:1 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| გურნიკი-ზაგლებე | 2:1 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ჩახლაული-ბრაშოვი | 1:1 |
| ვიიტორული-ბოტოშანი | 0:0 |
| ვასლუი-პოლი ტიმიშოარა | 1:0 |

**ლატვია**

| | |
|---|---|
| დაუგავა (რ)-მეტალურგსი | 2:2 |

### კალათბურთი

**ევრობასკეტი**

| | |
|---|---|
| ხორვატია-საბერძნეთი | 92:88 (2ო) |
| იტალია-ესპანეთი | 86:81 (ო) |
| სლოვენია-ფინეთი | 76:92 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (მ)-მეტალურგი (ნ) | 3:1 |
| ს. იულიაევი-ამური | 3:4 (ო) |
| ნეფტიხიმიკი-ადმირალი | 6:5 (ბ) |
| სევერსტალი-დინამო (მნ) | 4:2 |
| ლოკომოტივი-დონბასი | 3:4 (ო) |
| სკა-ზაგრები | 3:0 |

### ჩოგბურთი

**ATP. მეცი**

| | |
|---|---|
| კუერი-კარლოვიჩი | 4:6, 7:6, 6:4 |

**ATP. სტ. პეტერბურგი**

| | |
|---|---|
| ჰანესკუ-**ხაჩანოვი** | 6:7, 6:7 |
| **იუჟნი**-კარატცევი | 6:7, 6:2, 6:2 |
| **გოლუბევი**-შტრუფი | 6:7, 6:3, 6:1 |

**WTA. გუანგჯოუ**

| | |
|---|---|
| **ვოსკობოევა**-ჩეტკოვსკა | 6:3, 6:1 |
| **ჰსიე**-ორმაეჩეა | 6:1, 6:2 |
| **კინგი**-სხეპერსი | 2:6, 6:1, 6:3 |
| **ჟანგი**-პუჩკოვა | 6:0, 7:6 |
| კიჩენოკი-**პუიგი** | 5:7, 6:7 |
| **კარ. პლიშკოვა**-ლარსონი | 6:4, 6:3 |
| **კონტა**-ჰოგენკამპი | 6:3, 6:2 |

**WTA. სეული**

| | |
|---|---|
| **გორგესი**-დოი | 6:3, 7:5 |
| **რაზანო**-დომინგეს ლინო | 6:1, 6:1 |
| **დუშევინა**-სოლერ ესპინოსა | 6:4, 6:1 |
| ჰანი-**დულგერუ** | 0:6, 6:7 |
| **არუაბარენა**-სვიტოლინა | 7:5, 2:6, 6:4 |
| **ლი**-გავრილოვა | 6:4, 6:1 |
| მ. გარიგესი-**პავლიუჩენკოვა** | 7:5, 2:6, 3:6 |

## TV პროგრამა

**17 სექტემბერი. შაბათი**

**I არხი**

18:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ტორპედო-დილა (LIVE).
22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. V ტური. ლევერკუზენი-ვოლფსბურგი.
15:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. IV ტური. ბრაგა-ეშტორილი.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. V ტური. ჰოფენჰაიმი-ბორუსია (მ).
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. VI ტური. აიაქსი-ცვოლე.
21:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
22:00 ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
22:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. Online. ყველა მატჩის სახიფათო მომენტი.
00:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბაიერნი-ცსკა.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰანოვერი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-მინესოტა.
14:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
17:00 რაგბი. ოთხი ერის თასი. ავსტრალია-ახალი ზელანდია.
19:00 სპორტ-NEWS.
19:30 საჩოგბურთო მიმოხილვა.
20:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-მინესოტა.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
22:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. კოპენჰაგენი-იუვენტუსი (LIVE).
00:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალი. სერბეთი-კანადა.
13:15 სპორტ-NEWS.
13:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
17:20 სპორტ-NEWS.
17:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
22:20 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
22:05 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
22:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბაიერნი-ცსკა (LIVE).

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 14 | 27 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 14 | 29 | (მზე) |
| ბათუმი | 15 | 26 | (მზე) |
| ფოთი | 15 | 28 | (მზე) |
| ზუგდიდი | 13 | 28 | (მზე) |
| გორი | 11 | 28 | (მზე) |
| თელავი | 14 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| სიღნაღი | 13 | 25 | (მზე) |
| ბაკურიანი | 6 | 23 | (მზე) |
| ბორჯომი | 9 | 27 | (მზე) |
| მესტია | 5 | 23 | (მზე) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2128 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6585 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6398 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1362 |

# ...იგა 2013/2014

## (...რების მიხედვით)

| ...ური | III ტური |
|---|---|
| ...მბერი | 22 ოქტომბერი |
| ...უსტრია | შალკე-ჩელსი |
| ...ჩელსი | სტიაუა-ბაზელი |
| ...-შალკე | არსენალი-დორტმუნდი |
| ...-მარსელი | მარსელი-ნაპოლი |
| ...-ნაპოლი | აუსტრია-ატლეტიკო |
| ...ლეტიკო | პორტუ-ზენიტი |
| ...მილანი | სელტიკი-აიაქსი |
| ...არსელონა | მილანი-ბარსელონა |
| ...მბერი | 23 ოქტომბერი |
| ...ლზენი | ცსკა-მანჩესტერ სიტი |
| ...ჩესტერ იუნ | ლევერკუზენი-შახტარი |
| ...-სოსიედადი | მანჩესტერ იუნ-სოსიედადი |
| ...ალათასარაი | რეალი-იუვენტუსი |
| ...ენჰაგენი | გალათასარაი-კოპენჰაგენი |
| ...ნფიკა | ანდერლეხტი-პსჟ |
| ...ოლიმპიაკოსი | ბენფიკა-ოლიმპიაკოსი |
| ...ტი-ბაიერნი | ბაიერნი-პლზენი |





| ...ტური | VI ტური |
|---|---|
| ...ემბერი | 10 დეკემბერი |
| ...ტლეტიკო | მანჩესტერ იუნ-შახტარი |
| ...-ჩელსი | სოსიედადი-ლევერკუზენი |
| ...-შალკე | კოპენჰაგენი-რეალი |
| ...-მარსელი | გალათასარაი-იუვენტუსი |
| ...დი-ნაპოლი | ბენფიკა-პსჟ |
| ...აუსტრია | ოლიმპიაკოსი-ანდერლეხტი |
| ...-მილანი | პლზენი-ცსკა |
| ...არსელონა | ბაიერნი-მანჩესტერ სიტი |
| ...ემბერი | 11 დეკემბერი |
| ...აიერნი | შალკე-ბაზელი |
| ...-მანჩესტერ იუნ | ჩელსი-სტიაუა |
| ...ოსიედადი | ნაპოლი-არსენალი |
| ...ლათასარაი | მარსელი-დორტმუნდი |
| ...კოპენჰაგენი | ატლეტიკო-პორტუ |
| ...ტი-ბენფიკა | აუსტრია-ზენიტი |
| ...მპიაკოსი | მილანი-აიაქსი |
| ...იტი-პლზენი | ბარსელონა-სელტიკი |

## ...ა ფინალი

| | |
|---|---|
| ბაიერნი-ატლეტიკო | 4:0 |
| ბაიერნი-ლიდსი | 2:0 |
| ბაიერნი-სტ. ეტიენი | 1:0 |
| ლივერპული-ბორუსია (მ) | 3:1 |
| ლივერპული-ბრიუგე | 1:0 |
| ნოტინგემი-მალმიო | 1:0 |
| ნოტინგემი-ჰამბურგი | 1:0 |
| ლივერპული-რეალი | 1:0 |
| ასტონ ვილა-ბაიერნი | 1:0 |
| ჰამბურგი-იუვენტუსი | 1:0 |
| ლივერპული-რომა | 1:1 პენ. 4:2 |
| იუვენტუსი-ლივერპული | 1:0 |
| სტიაუა-ბარსელონა | 0:0 პენ. 2:0 |
| პორტუ-ბაიერნი | 2:1 |
| ეინდჰოვენი-ბენფიკა | 0:0 პენ. 6:5 |
| მილანი-სტიაუა | 4:0 |
| მილანი-ბენფიკა | 1:0 |
| ცრ. ზვეზდა-მარსელი | 0:0 პენ. 5:3 |
| ბარსელონა-სამპდორია | 1:0 დ.დ. |

| | | |
|---|---|---|
| 1992-93 (მიუნხენი, 64 400) | მარსელი-მილანი | 1:0 |
| 1993-94 (ათენი, 70 000) | მილანი-ბარსელონა | 4:0 |
| 1994-95 (ვენა, 49 730) | აიაქსი-მილანი | 1:0 |
| 1995-96 (რომი, 67 000) | იუვენტუსი-აიაქსი | 1:1 პენ. 4:2 |
| 1996-97 (მიუნხენი, 59 000) | დორტმუნდი-იუვენტუსი | 3:1 |
| 1997-98 (ამსტერდამი, 48 500) | რეალი-იუვენტუსი | 1:0 |
| 1998-99 (ბარსელონა, 90 045) | მანჩესტერ იუნ-ბაიერნი | 2:1 |
| 1999-00 (პარიზი, 78 759) | რეალი-ვალენსია | 3:0 |
| 2000-01 (მილანი, 71 500) | ბაიერნი-ვალენსია | 1:1 პენ. 5:4 |
| 2001-02 (გლაზგო, 52 000) | რეალი-ლევერკუზენი | 2:1 |
| 2002-03 (მანჩესტერი, 63 215) | მილანი-იუვენტუსი | 0:0 პენ. 3:2 |
| 2003-04 (გელზენკირხენი, 52 000) | პორტუ-მონაკო | 3:0 |
| 2004-05 (სტამბოლი, 70 024) | ლივერპული-მილანი | 3:3 პენ. 3:2 |
| 2005-06 (პარიზი, 79 500) | ბარსელონა-არსენალი | 2:1 |
| 2006-07 (ათენი, 74 000) | მილანი-ლივერპული | 2:1 |
| 2007-08 (მოსკოვი, 67 310) | მანჩესტერ იუნ-ჩელსი | 1:1 პენ. 6:5 |
| 2008-09 (რომი, 62 467) | ბარსელონა-მანჩესტერ იუნ | 2:0 |
| 2009-10 (მადრიდი, 73 170) | ინტერი-ბაიერნი | 2:0 |
| 2010-11 (ლონდონი, 87 695) | ბარსელონა-მანჩესტერ იუნ | 3:1 |
| 2011-12 (მიუნხენი, 62 500) | ჩელსი-ბაიერნი | 1:1 პენ 4:3 |
| 2012-13 (ლონდონი 86 298) | ბაიერნი-დორტმუნდი | 2:1 |

## E

| ჯგუფი | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | | | | | |
| შალკე | | | | | |
| ბაზელი | | | | | |
| სტიაუა | | | | | |

| I ტური. 18 სექტემბერი | IV ტური. 6 ნოემბერი |
|---|---|
| ჩელსი-ბაზელი | ჩელსი-შალკე |
| შალკე-სტიაუა | ბაზელი-სტიაუა |
| **II ტური. 1 ოქტომბერი** | **V ტური. 26 ნოემბერი** |
| სტიაუა-ჩელსი | ბაზელი-ჩელსი |
| ბაზელი-შალკე | სტიაუა-შალკე |
| **III ტური. 22 ოქტომბერი** | **VI ტური. 11 დეკემბერი** |
| შალკე-ჩელსი | შალკე-ბაზელი |
| სტიაუა-ბაზელი | ჩელსი-სტიაუა |

## F

| ჯგუფი | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | | | | | |
| მარსელი | | | | | |
| დორტმუნდი | | | | | |
| ნაპოლი | | | | | |

| I ტური. 18 სექტემბერი | IV ტური. 6 ნოემბერი |
|---|---|
| მარსელი-არსენალი | დორტმუნდი-არსენალი |
| ნაპოლი-დორტმუნდი | ნაპოლი-მარსელი |
| **II ტური. 1 ოქტომბერი** | **V ტური. 26 ნოემბერი** |
| დორტმუნდი-მარსელი | არსენალი-მარსელი |
| არსენალი-ნაპოლი | დორტმუნდი-ნაპოლი |
| **III ტური. 22 ოქტომბერი** | **VI ტური. 11 დეკემბერი** |
| არსენალი-დორტმუნდი | ნაპოლი-არსენალი |
| მარსელი-ნაპოლი | მარსელი-დორტმუნდი |

## G

| ჯგუფი | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | | | | | |
| ატლეტიკო | | | | | |
| ზენიტი | | | | | |
| აუსტრია | | | | | |

| I ტური. 18 სექტემბერი | IV ტური. 6 ნოემბერი |
|---|---|
| აუსტრია-პორტუ | ზენიტი-პორტუ |
| ატლეტიკო-ზენიტი | ატლეტიკო-აუსტრია |
| **II ტური. 1 ოქტომბერი** | **V ტური. 26 ნოემბერი** |
| ზენიტი-აუსტრია | ზენიტი-ატლეტიკო |
| პორტუ-ატლეტიკო | პორტუ-აუსტრია |
| **III ტური. 22 ოქტომბერი** | **VI ტური. 11 დეკემბერი** |
| აუსტრია-ატლეტიკო | ატლეტიკო-პორტუ |
| პორტუ-ზენიტი | აუსტრია-ზენიტი |

## H

| ჯგუფი | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | | | | | |
| მილანი | | | | | |
| აიაქსი | | | | | |
| სელტიკი | | | | | |

| I ტური. 18 სექტემბერი | IV ტური. 6 ნოემბერი |
|---|---|
| ბარსელონა-აიაქსი | ბარსელონა-მილანი |
| მილანი-სელტიკი | აიაქსი-სელტიკი |
| **II ტური. 1 ოქტომბერი** | **V ტური. 26 ნოემბერი** |
| აიაქსი-მილანი | სელტიკი-მილანი |
| სელტიკი-ბარსელონა | აიაქსი-ბარსელონა |
| **III ტური. 22 ოქტომბერი** | **VI ტური. 11 დეკემბერი** |
| სელტიკი-აიაქსი | მილანი-აიაქსი |
| მილანი-ბარსელონა | ბარსელონა-სელტიკი |

ჩოგბურთი


როჯერ ფედერერი

# როჯერი ისევ ხუთეულში

მიუხედავად იმისა, რომ გასულ კვირას მამაკაცთა პროფესიულ ტურში ტურნირები არ ჩატარებულა, ATP-ის რეიტინგში ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. კერძოდ, ლეგენდარული შვეიცარიელი ჩოგბურთელი **როჯერ ფედერერი** კლასიფიკაციის საუკეთესო ხუთეულში დაბრუნდა.

ფედერერმა, რომელიც მანამდე მეექვსე პოზიციაზე იმყოფებოდა, ადგილები გაუცვალა ჩეხ **ტომაშ ბერდიხს**. ბოლოს, შვეიცარიელი ATP-ის რეიტინგის ტოპ-ხუთეულში ერთი თვის წინ იმყოფებოდა, რის შემდეგაც მეშვიდე ადგილამდე დაქვეითდა.

კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე კვლავაც სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩია**, რომლის შემდეგაც მოდიან ესპანელი **რაფაელ ნადალი** და ბრიტანელი **ენდი მარეი**. მეოთხე პოზიციაზე იმყოფება ესპანელი **დავიდ ფერერი**.

ცვლილებები არ მომხდარა WTA-ის ქალთა კლასიფიკაციაში, კერძოდ, აქ უცვლელია პირველი სამეული - ამერიკელი **სერენა უილიამსი**, ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** და რუსი **მარია შარაპოვა**.

# ტოკიო და პეკინი მარიას გარეშე


მარია შარაპოვა

რთული დროება უდგას რუსული ჩოგბურთის ვარსკვლავს **მარია შარაპოვას**. მას კვლავინდებურად აწუხებს მხარის ტრავმა, რის გამოც მსოფლიოს მესამე ჩოგანმა უარი თქვა ორ მსხვილ ტურნირზე, რომელიც სექტემბრის ბოლოსა და ოქტომბრის დასაწყისში გაიმართება.

კერძოდ, შარაპოვა ვერ ითამაშებს ტოკიოსა და პეკინის უმაღლესი კატეგორიის ტურნირებში. შეჯიბრება იაპონიაში 22-28 სექტემბერს გაიმართება, ჩინეთში კი ტურნირი სტარტს 28 სექტემბერს აიღებს და 6 ოქტომბერს დასრულდება.

შეგახსენებთ, რომ სწორედ მხარის ტრავმის გამო ვერ შეძლო ამერიკის ღია პირველობაზე გამოსვლა მარია შარაპოვამ.

ველოსპორტი

# სასჯელს გადარჩენილი


კრის ჰორნერი

მცირე სკანდალში გაეხვა ესპანური ველომარათონის გამარჯვებული, 41 წლის ამერიკელი **კრის ჰორნერი**. ცნობილი გახდა, რომ რბოლის მსვლელობისას ვეტერანმა სპორტსმენმა ერთხელ დოპინგ-შემოწმება არ გაიარა, რაც მკაცრად ისჯება ანტისადოპინგო კანონების მიხედვით. მაგრამ, როგორც ირკვევა, ჰორნერი წესის დარღვევისთვის არ დაისჯება, რადგან მან დოპინგ-ტესტი იმის გამო ვერ გაიარა, რომ ესპანეთის ანტისადოპინგო სააგენტოს ოფიცრებს სასტუმრო აერიათ.

*"მას არ გამოუტოვებია დოპინგ-ტესტი. უბრალოდ, ანტისადოპინგო სააგენტოს თანამშრომლები სხვა სასტუმროში მივიდნენ და ეს ოფიციალურად არის დადასტურებული. ჰორნერმა სასტუმრო აშშ-დან მისი მეუღლის ჩასვლის შემდეგ გამოიცვალა და ამის შესახებ წინასწარ გამოაცხადა. მან დადასტურებაც მიიღო, რომ ამ ცვლილებას ეთანხმებოდა ვუელტას საორგანიზაციო კომიტეტი. ის, რომ ანტისადოპინგო სააგენტოს თანამშრომლები სხვა სასტუმროში მივიდნენ, ჰორნერის ბრალი არ არის. სამაგიეროდ, მათ დაუშვეს ამ ინფორმაციის პრესაში გაჟონვა"*, - განაცხადა ჰორნერის გუნდის - "რედიოშეკის" წარმომადგენელმა.

არსებული წესების თანახმად, ველომრბოლები ვალდებულნი არიან ანტისადოპინგო ორგანიზაციებს ინფორმაცია მიაწოდონ თავიანთი ადგილსამყოფელის შესახებ. აშშ-ის ანტისადოპინგო სააგენტოს ინფორმაციით, ჰორნერმა ვუელტაზე ბოლო სამი დღის განმავლობაში ექვსჯერ გაიარა დოპინგ-ტესტი.

ფორმულა 1

# მასას ლოტუსის და მაკლარენის შანსი აქვს

იტალიური "ფერარიდან" დათხოვილ **ფელიპე მასას** კარგი შანსი აქვს იმისა, რომ მომავალი სეზონისთვის უმუშევარი არ დარჩეს და რომელიმე ტოპ-გუნდთან გააფორმოს კონტრაქტი. თუ უცხოურ პრესას ვერწმუნებით, ბრაზილიელი პილოტი მოლაპარაკებებს აწარმოებს "ლოტუსთან" და "მაკლარენთან".

*"ამაყი ვარ ფორმულა 1-ში ჩემი კარიერის გამო, მიუხედავად ამისა, კვლავ მაქვს იმედი, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გავხდები"*, - ამბობს მასა, რომელიც ამ სეზონის შემდეგ დატოვებს იტალიურ საჯინიბოს.

*"ახლა, მე თავისუფალი ვარ, რაც ერთგვარად დადებითი მომენტია. მინდა კონკურენტუნარიანი ბოლიდი მივიღო ახალი სეზონისთვის და მოგების შანსი მქონდეს.*

*ჩვენ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ "ლოტუსთან". მათ კარგი ბოლიდი ჰყავთ და ეს ის არის, რაც მჭირდება. "მაკლარენი"? გვქონდა მათთან კონტაქტი, მაგრამ ჯერ ნაადრევია ამაზე ლაპარაკი. რთული სათქმელია, აღმოვჩნდები თუ არა 2014 წელს ბრიტანულ საჯინიბოში"*, - დაასრულა თავისი კომენტარი ბრაზილიელმა პილოტმა.

შეგახსენებთ, რომ სწორედ "ლოტუსიდან" გადადის "ფერარიში" **კიმი რაიკონენი**, რომელიც ფელიპე მასას ადგილს დაიკავებს.



ფელიპე მასა

კრივი

# ხანი ფლოიდს ემუქრება


ამირ ხანი

ბრიტანელმა **ამირ ხანმა** ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერთან** ბრძოლის სურვილი გამოთქვა. შეგახსენებთ, რომ მეივეზერმა შაბათს, ლას ვეგასში ქულებით დაამარცხა მექსიკელი **საულ ალვარესი**. თავად ამირ ხანს 7 დეკემბერს ელის სატიტულო ბრძოლა ამერიკელ **დევონ ალექსანდერთან**.

*"მეივეზერი საოცარი ტაქტიკოსია, მაგრამ მე ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ უპირატესობა გამაჩნია სისწრაფეში. საუკეთესოებთან ბრძოლა მსურს, ამიტომაც მეივეზერი - ნომერ პირველი სამიზნეა. არ ვამტკიცებ, რომ ჩვენს ბრძოლას ნოკაუტით დავასრულებ, მაგრამ უპირატესობა სისწრაფეში მისი დამარცხების საშუალებას მომცემს. მასზე მოგება მსოფლიოში უძლიერეს მოკრივედ მაქცევს"*, - დაწერა თავის "ტვიტერზე" ხანმა.

თავის მხრივ, საულ ალვარესის დამარცხების შემდეგ, ფლოიდ მეივეზერმა განაცხადა, რომ მომავალთან დაკავშირებით კონკრეტული გეგმები არ გააჩნია. მან მხოლოდ ის თქვა, რომ მაისში აპირებს შემდეგი ბრძოლის ჩატარებას.

დოპინგი

# უკრაინაში სკანდალია

სერიოზულ დოპინგ-სკანდალში გაეხვა უკრაინული მძლეოსნობა. ოთხი უკრაინელი სპორტსმენი ჩავარდა აკრძალული პრეპარატის მიღებაზე და მათ უკვე გამოუტანეს სასჯელი - ორწლიანი დისკვალიფიკაცია.

თავდაპირველად ამხილეს შუბის მტყორცნელი **რომან ავრამენკო**, თუმცა ის არ აღმოჩნდა ერთადერთი, ვისმა სინჯმაც დადებითი შედეგი აჩვენა. ყველა ტესტი მოსკოვში ამასწინათ ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე იქნა აღებული.

ავრამენკოს გარდა, ორწლიანი სასჯელი მიიღეს უროს მტყორცნელმა **ალექსანდრ დრიგოლმა** (46 წლის ასაკში ის ლონდონის ოლიმპიადის ყველაზე ასაკოვანი მონაწილე იყო) და ბადროს მტყორცნელმა **ელენა ანტონოვამ**, აგრეთვე სპრინტერმა **ელიზავეტა ბრიზგინამ**, რომელიც ბრინჯაოს პრიზიორი იყო ლონდონის ოლიმპიადაზე 4x100 ესტაფეტაში.

ეს მონაცემები გამოაქვეყნა უკრაინის მძლეოსნობის ფედერაციის ალმასკომმა. ბრიზგინას ანალიზში აღმოჩნდა დროსტანოლონი - პრეპარატი, რომელიც კუნთის მასის გასაზრდელად გამოიყენება და ამაღლებს ამტანობას. დისკვალიფიკაცია 28 აგვისტოს შევიდა ძალაში.

სპორტსმენი დაეთანხმა ფედერაციის გადაწყვეტილებას, მაგრამ ბრალი არ აღიარა. იგივე გააკეთა ავრამენკომ. რაც შეეხება 2008 წლის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორ ანტონოვას, სასჯელს მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მან უკვე დაასრულა სპორტული კარიერა.



ელიზავეტა ბრიზგინა

გოლფი

# შევას გოლფი არ ეხერხება

წარსულში ცნობილმა უკრაინელმა ფეხბურთელმა, „მილანის" ყოფილმა ფორვარდმა **ანდრეი შევჩენკომ** სპორტის ახალ სახეობაში სცადა ბედი - მას დებიუტი ჰქონდა გოლფის ტურნირში - Superior Cup-ში, რომელსაც უკრაინის ქალაქმა ხარკოვმა უმასპინძლა.

დებიუტი არც ისე წარმატებული აღმოჩნდა. შევჩენკომ პირველ რაუნდში აჩვენა შედეგი - "+12" და მე-118 ადგილი დაიკავა. 36 წლის უკრაინელის თქმით, წარუმატებელი დებიუტის მიუხედავად, მას მოეწონა ახალი გამოცდილება.

*"ეს სრულიად განსხვავებული თამაშია, რომლის დროსაც მუდმივად წნეხის ქვეშ იმყოფები. მაგრამ მე დიდი სიამოვნება მივიღე აქ ყოფნისგან, მიუხედავად იმისა, რომ არ მქონდა მაღალი შედეგები"*, - განაცხადა ESPN-თან კომენტარში შევჩენკომ.


ანდრეი შევჩენკო

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28)**, **გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**;
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76)**, **ერემო მახათაძე (1952-53)**, **ირაკლი უგულავა (1953-64)**, **ანზორ ბასილაია (1976-83)**, **არჩილ გოგელია (1984-85)**, **თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 23:50. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია თვალაბეიშვილი**
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონი: **599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ტელ: **238 84 44; 238 74 44;** ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608